ეთიკის კომისიის საქმიანობა

პრეცედენტები, რეკომენდაციები

2014-2016 წ.წ.

სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ეთიკის კომისიის საქმიანობა

პრეცედენტები, რეკომენდაციები

2014-2016 წ.წ.

თბილისი

2016

ავტორი
თამარ ხუბულური - *ეთიკის კომისიის მთავარი იურისტი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ტრენერი*

რედაქტორი
სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისია
თამჯდომარე: ***ციცინო ცხვედიანი****, წევრები:* ***გია ტაბლიაშვილი, ნინო მიქიაშვილი, ქეთევან უტიაშვილი, პავლე აბაიაძე, თეა ჭეიშვილი, ნელი ვარდიაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ინგა სეხნიაშვილი, გოჩა სვანიძე, თორნიკე ბაქრაძე, სათუნა გრიგალაშვილი, ია გაბედავა***

კორექტორი
თამარ ხუბულური - *ეთიკის კომისიის მთავარი იურისტი, ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ტრენერი*

პუბლიკაცია მომზადებულია ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო“ ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტის ფინანსური დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია პუბლიკაციის ავტორი და გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

რედაქტორთა წინათქმა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია აგრძელებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე შეფასებების გამოცემის ტრადიციას და ამჯერად განმარტებებს 2014-2016 წლების გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მიხედვით აქვეყნებს. ეთიკის კომისიის საქმიანობის პირველი გამოცემა, ეთიკის კომისიის 2010-2013 წლების პრეცედენტებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომლითაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დაინტერესებულ პირებს მოწესრიგებული სახით მიეწოდა კოდექსის თითოეული მუხლის შესახებ კომისიის განმარტებები, 2013 წელს გამოქვეყნდა. პროექტი განხორციელდა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა" ევროკავშირის პროექტის "Human Dynamics" ფინანსური მხარდაჭერით.

წლების მანძილზე პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭიროა ადვოკატები სისტემურად იყვნენ ინფორმირებული თუ რას აკეთებს ეთიკის კომისია ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და კლიენტთა ინტერესების დაცვისათვის. წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია, ძირითადად, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, თუმცა მისი არსებობა და ამ ტრადიციის გაგრძელება მნიშვნელოვანია როგორც მოქმედი, ასევე, მომავალი, ახლად ასარჩევი ეთიკის კომისიისათვის და უმაღლესი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც მიმდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კურსის სწავლება სტუდენტებისათვის.

გამოცემა ემსახურება პრეცედენტულ პროფესიულ ეთიკურ სამართალს, მნიშვნელოვანია კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის შენარჩუნებისათვის და მკითხველს აწვდის ამა თუ იმ პროფესიული ქცევისადმი კომისიის დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციას. გამოცემაში ასახული შემთხვევები და მათი შეფასებები წარმოადგენს კარგ საშუალებას დაეხმაროს ადვოკატს არაპროფესიონალური, არაეთიკური ქცევის თავიდან არიდებაში.

მადლობა ეკუთვნის ეთიკის კომისიის თითოეულ წევრსა და იურისტს, რომელთაც აღებული პასუხისმგებლობისადმი თავდადებული დამოკიდებულების შედეგად დაგროვილი გამოცდილება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადეს კომისიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა სახით.

ასევე მადლიერებას გამოვხატავთ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო" ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტის მიმართ, რომლის დახმარებით შესაძლებელი

გახდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის უახლესი, 2014-2016 წლების ეთიკის კომისიის პრაქტიკის ორგანიზებული სახით მიწოდება.

დღეის მდგომარეობით ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური ორგანო, ერთ-ერთი პირველია საჯარო და არასაჯარო სექტორში, არსებულ იმ დისციპლინურ ინსტიტუციებს შორის, რომელმაც შეძლო თავისი პრეცედენტული განვითარებით და გამოცდილებით შექმნას პროფესიული სტანდარტების სწორი ხედვა და შეასრულოს აქტიური საგანმანათლებლო როლი.

ციცინო ცხვედიანი
გიორგი ტურაზაშვილი
08 ივნისი, 2016 წელი

სარჩევი

რედაქტორთა წინათქმა	3
მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები	**9**
მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი	**11**
მუხლი 3. ნდობის პრინციპი	**16**
მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი	**18**
4.1 კონფიდენციალურობის ვალდებულების რეგულირება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით	19
4.2 ადვოკატის ვალდებულება გაამართლოს კლიენტის ნდობა	19
4.3 კლიენტის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა	22
4.4 კლიენტთან შეთანხმების გარეშე საქმის მასალების სხვა ადვოკატისთვის გადაცემა	24
4.5 დისციპლინური საქმისწარმოებისას თავდასაცავად წარსადგენი ინფორმაციის შეფასების ვალდებულება	25
4.6 კლიენტის ინტერესები და იურიდიული დახმარების მიერ განხორციელებული მონიტორინგი	26
მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი	**30**
5.1 კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან	30
5.2 კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება	32
მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი	**35**
6.1 ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის მიმართება ადვოკატის პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან	38
6.2 ინტერესთა კონფლიქტის მქონე სიტუაციები	42
6.2.1 არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი	43
6.2.2 ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტებს შორის	47
6.2.3 პირადი ინტერესთა კონფლიქტი	54
6.2.4 ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე	55
6.3 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციები შესრულების შეზღუდვა	60
6.4 „გავრცელებული” ინტერესთა კონფლიქტი	61
6.5 ადვოკატის მოვალეობანი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად	62

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი **64**
მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის **66**
1. ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის დაწყება 68
1.1 ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის დაწყება ურთიერთშეთანხმებით 68
1.2 შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი პირი 70
2. ადვოკატის მიერ საქმის წარმოების თავისებურებანი - კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს კომპეტენტური პირის მითითებები 72
3. გარანტიის მიცემის დაუშვებლობა 73
4. ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა 74
5. კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება 76
5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი 76
5.2 ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა გაცვლის წესების დარღვევა 77
5.3 საზოგადოებრივი ადვოკატის განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება 80
5.4 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების კომპონენტები ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად 83
5.5 კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით მოქმედება 86
5.6 კლიენტის ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება 88
5.7 ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და სტრატეგიის, ასევე საპროცესო მოქმედებათა ხარისხის არსებითი შეფასება 91
5.8 მომსახურების ხარისხის კონტროლი სავალდებულო დაცვის შემთხვევებში 92
5.9 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც მას სპეციალიზაცია არ აქვს 92
5.10 ფორმალური წარმომადგენლობა 94
5.11 კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით ადვოკატის მიერ ხელმოწერის შესრულების დაუშვებლობა 97
6. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება 100
6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება 101
6.2 სარჩელის შინაარსის და საქმის მსვლელობის გაცნობის ვალდებულება 101
6.3 ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება 102
6.4 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის

განხორციელების უფლების შეწყვეტის თაობაზე 103
6.5 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარისთვის (რომელიც არ არის კლიენტი) 104
6.6 კლიენტის ინფორმირება საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე 105
8.7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები 106
8. ადვოკატის ჰონორარი 108
9. საქმის წარმოებაზე უარი 109
10. ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღება 110
11. დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოება 111
12. კლიენტის ფინანსური სახსრების ჩანაწერი 112
13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვა და განკარგვა 114
14. კლიენტის ინტერესების დაცვა 114
15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე 115
მუხლი 8 პრიმა. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება 121
8.1 რეკლამირების პირობა: 122
რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია სწორია; 122
რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი და არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს. 122
8.2 თვითრეკლამა თუ პირდაპირი ან ირიბი მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე? 123
მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან 125
9.1 სასამართლოსთან კომუნიკაციის ზოგადი სტანდარტი 125
9.2 პროფესიული კრიტიკის ფარგლები 127
9.3 სასამართლოსადმი უპატივცემულობა და მოქმედი წესების დარღვევა 128
9. 4 გამოხატვის თავისუფლება თუ სასამართლოს შეურაცხყოფა 132
9.5 სასამართლოსადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები 134
9.6 სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულების წარდგენის აკრძალვა 137
9.7 ეთიკის კომისიისთვის ყალბი მტკიცებულების წარდგენის აკრძალვა 138
9.8 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან 139
9.8.1 მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი 140

9.8.2 დისციპლინური წარმოებისას მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი 142
9.9 ეთიკის კომისიისადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები 145
მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის 150
10.1 კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლები 151
10.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა 153
10.2.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი 159
10.3 კომპენსაციის მიღების აკრძალვა რეკომენდირებისას 164
10.4 ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესი 164
10.5 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები 166
ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში კოლეგის მიმართ გაკეთებული შეფასება 166
მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები 170
11.1 ეთიკის კოდექსის გავრცელება კომპანიის იურისტზე 172
11.2 ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას 176
დანართი 179

მუხლი 1.
პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2006 წლის 15 აპრილს საერთო კრებაზე დაამტკიცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომ ტექსტში მოხსენიებულია "აპეკ"-ი ან ეთიკის კოდექსი).

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის ხანგრძლივი საუკეთესო ტრადიციებისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების გათვალისწინებით, ეთიკის კოდექსმა ასახა ადვოკატთა ასოციაციის თითოეული წევრის პროფესიული ღირებულება, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახუროს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ღირსეულად განახორციელოს საქმიანობა, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირმა და წარმოაჩინოს პროფესიული სახე იმგვარად, რომ საზოგადოების მხრიდან მოიპოვოს ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი.[1]

„თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან"[2], საქართველოს ადვოკატებმა ეთიკის კოდექსის მიღებით დაადასტურეს ისეთი ღირებულებებისადმი პატივისცემისა და შესრულების ვალდებულებები, როგორიცაა საადვოკატო საქმიანობაში კანონით დადგენილი შემდეგი პრინციპები:[3]

ა) კანონიერება;
ბ) საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება;
გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;

---

1 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 8-9

2 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) –მუხ.1.2.2.- ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge

3 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3

ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების ამომწურავ ჩამონათვალს ასახავს პირველივე მუხლში და ადვოკატის ვალდებულებად განიხილავს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კოლეგიალობის პრინციპებით ხელმძღვანელობას.[4]

კანონი ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებასა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას.[5]

ეთიკის კოდექსის თითოეული პრინციპი, როგორც საადვოკატო საქმიანობისას სახელმძღვანელო ღირებულების მნიშვნელობა საინტერესოდ წარმოჩინდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს პრაქტიკაში.

4 აპეკი - მუხლი 1, პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები
5 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5

მუხლი 2.
დამოუკიდებლობის პრინციპი

1.ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენის ან ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (08.12.2012).

2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ (08.12.2012).

დამოუკიდებლობის პრინციპი, ადვოკატს, როგორც თავისუფალი პროფესიის პირს, იცავს ყოველგვარი შინაგანი თუ გარეშე ზემოქმედების ფაქტორებისაგან.[6] ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, ბუნებრივია, შებოჭილია პროფესიულ საქმიანობაში და ამგვარი ბოჭვა გამომდინარეობს კანონმდებლის ნებიდან: ადვოკატი ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის კოდექსს, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.[7] ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა მესამე პირთა მხრიდან გავლენის/ზეწოლის გარდა კლიენტის უკანონო მოთხოვნის შესრულების არიდების ვალდებულებას მოიცავს, რაც საბოლოოდ ემსახურება თვით კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ადვოკატთა კორპორაციულ მიზანს - ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფალ გარემოში განახორციელონ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისას პროფესიული საქმიანობა და გაამართლონ საზოგადოების მოლოდინი პროფესიისადმი ნდობის თვალსაზრისით.[8]

დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვას არა მხოლოდ არსებითი მნიშვნელობა და უშუალო ზეგავლენა აქვს კლიენტის ინტერესზე, არამედ ადვოკატის

---

6 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 10

7 „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლები 1, 6

8 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 12

პროფესიულ იმიჯს ემსახურება, რომელსაც საზოგადოება კეთილსინდისიერი და პატიოსანი, ღირსეული თვისებებით შემკულს უნდა ხედავდეს.[9]

პროფესიის კორპორაციული მიზნიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მოქმედებაზე და დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დაადგინა საქმეში, როდესაც დაცვის უფლების განხორციელებისას საგამოძიებო მოქმედებაში ჩართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, იგი გამთენიისას პოლიციიდან ბინის ნომერზე დაკავშირების შედეგად მივიდა პოლიციის განყოფილებაში, დაესწრო ბრალდებულის დაკითხვას და სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში. ადვოკატმა იცოდა, რომ ბრალდებულს ჰყავდა შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი, რომელიც იმ ღამეს პოლიციის შენობაში არ იმყოფებოდა.[10]

ეთიკის კომისიის შეფასებით, „ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მოწვევით, რითიც დაარღვია ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობისა და სხვა პირთა ნების სასარგებლოდ, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას კომპრომისის დაუშვებლობის შესახებ საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპი. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა შეთანხმების საფუძველზე პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის - კლიენტის ინტერესების დასაცავად.“[11]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის განმარტება, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა დაკავებულს საქმეში მისი ადვოკატად ჩართვისა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, არ მიიჩნევა კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე დაცვის განხორციელებად. ადვოკატი ბრალდების მხარის თხოვნით ჩაერთო საქმეში და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწოდა ინფორმაცია დაცვის ქვეშ მყოფ პირს, ადვოკატმა გამოწერა ორდერი, შესაბამისად, საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კლიენტისათვის დაგვიანებული იყო. გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.[12]

ადვოკატმა იმ პირობებში მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რომ არ შეუთანხმებია კლიენტთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა - არ მიუღია

9 იქვე
10 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 061/14, 29 მარტი, 2016 წელი
11 იქვე
12 იქვე

ადვოკატს კლიენტისაგან ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის თაობაზე, ადვოკატი არ გასცნობია სისხლის სამართლის საქმის მასალებს. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის ფორმალური მონაწილეობით და დაცვის უფლების არასათანადო განხორციელების შედეგად შეიქმნა საპროცესო დოკუმენტი - საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი.[13]

„ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ" ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს „დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად" და ეყრდნობოდეს პროფესიული გაერთიანებების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და ქცევის კოდექსს.[14] მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანად განხორციელებისათვის, გაცნობიერებულია ადვოკატის დამოუკიდებლად საქმიანობის მნიშვნელობა ნებისმიერი პირისაგან, ნებისმიერი მიზეზით, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, გავლენის, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის ან ჩარევის გარეშე.[15]

საადვოკატო საქმიანობაში დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად სახელმწიფოს ვალდებულებად მოიაზრება, პროფესიულ საქმიანობაში ადვოკატებს შეუქმნან ისეთი პირობები, რომ ადვოკატებმა:

„ა) შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე;

ბ) შეძლონ თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სანქციების მიხედვით".[16]

ადვოკატი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, რათა „იმოქმედოს თა-

---

13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 061/14, 29 მარტი, 2016 წელი

14 ევროპის საბჭოს რეკომენდაცია REC. (2000) 21. პრინციპი III. პუნქტი 1. http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

15 იქვე, შესავალი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

16 გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პუნქტი 16 http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxeb.pdf

ვისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად“.

აპეკ-ი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული და საადვოკატო საქმიანობა სწორედ კლიენტისადმი ერთგულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში უმთავრესი პრინციპია ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ერთგულების მოვალეობა. კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ადვოკატმა დაცვის უფლების განხორციელებისას კლიენტის უფლებების სათანადოდ დაცვისათვის ყველა გონივრული შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რაც სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობისას, კლიენტისაგან ინფორმაციისა და შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე უფლებამოსილების მიღებით გამოიხატება, ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, კლიენტმა უნდა მოიწონოს.[17]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროფესია ადვოკატი არის კლიენტის კანონიერი ინტერესების ერთგული დამხმარე იურიდიული ფორმით და ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, კლიენტის ინტერესების პერსპექტივას გაიზიარებენ თუ არა სუსტი მხარეები. ასეთ დროსაც კი კლიენტი ადვოკატთან ურთიერთობისას განეწყობა იმედით და ამას ემატება მისი ნების გამოვლენა მოიწვიოს ადვოკატი და მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა, მიუხედავად წინ არსებული რისკებისა, რის შესახებაც ადვოკატი კლიენტს აძლევს განმარტებებს.“18

კომისიამ ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპის განმარტებისას ყურადღება გაამახვილა კვალიფიციურობის კომპონენტზე. „ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის არსი, მისი საქმიანობისას, არა მხოლოდ გავლენებისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობს, არამედ ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკურობაში, რაც მოქმედებათა იურიდიულ ბუნებას/სახეს გულისხმობს, რის გამოც კლიენტი მიმართავს ადვოკატს. შესაბამისად, ადვოკატი პროფესიული საქმიანობისას განსაზღვრავს სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და არჩევს მტკიცებულებებს, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს,

17 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 061/14, 29 მარტი, 2016 წელი
18 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 062/15, 30 ივლისი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2016/02/02/3f5272f79e35383e6b990a03195b84d1.pdf

სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“[19]

კომისია ასევე შეეხო საადვოკატო საქმიანობის კანონიერებასაც, რაც რიგ შემთხვევებში კლიენტის ინტერესს არ წარმოადგენს. „სასამართლოში და მის გარეთ ადვოკატი იყენებს პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც წარმოების ზოგიერთ ეტაპზე არ აძლევს მხარეს (მოსარჩელეს, მოპასუხეს, მომჩივანს ან დაზარალებულს) შესაძლებლობას, საკუთარი პოზიცია ყოველთვის დააფიქსიროს იმგვარად, როგორც ეს კლიენტს სურს. საამისოდაც არსებობს ადვოკატი, რომ მან კლიენტის ინტერესი კანონის ჩარჩოებში მოაქციოს და იმოქმედოს პროცედურული სამართლის ნორმებით.“[20]

19 იქვე
20 იქვე

მუხლი 3. ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)

ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. კლიენტის მოლოდინი ადვოკატისადმი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლისადმი, იმაში გამოიხატება, რომ ადვოკატის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი მორალურ-ზნეობრივი ვალდებულება ამგვარ ურთიერთობას აღმოაცენებს არა მხოლოდ ისეთ ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველზე, როგორიცაა ხელშეკრულების ხელმოწერა, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობაზე მინდობილობის მინიჭება, არამედ სწორედ ეთიკური ნორმების საფუძველზე. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ვალდებულებაა და "ამ ვალდებულებათა შორის უდავოდ უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში".[21]

ადვოკატისადმი კლიენტის ნდობისა და ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპები ერთგვარად თანაარსებობენ, რადგან ნდობის მოლოდინის გარეშე, იურიდიული რჩევის მისაღებად კლიენტს გაუჭირდება მისთვის ზოგჯერ რთული, მოსარიდებელი, მგრძნობიარე საკითხების განდობა იმ პირისათვის, რომლის პროფესიული დამოუკიდებლობა, პირადი პატიოსნება, შეუვალობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სწორედ ადვოკატის პირადი ღირსებისა და პატიოსნების საქმეა, არ დაექვემდებაროს შესაძლო ზეგავლენის ფაქტორებს, იქნება პირადი ინტერესებით ნაკარნახევი, თუ გარეშე ფაქტორებით განპირობებული. [22]

„ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია.

---

21 მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით", ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 8.

22 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 12

კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი."[23]

ერთ-ერთ საქმეში ადვოკატი დროულად არ აწვდიდა კლიენტს მისი საქმის მსვლელობის შესახებ სწორ ინფორმაციას, პერიოდულად უზღუდავდა მასთან დაკავშირების საშუალებას, კლიენტის ყოველი მცდელობისას, ადვოკატისაგან მიეღო მისი საქმის შესახებ ინფორმაცია, საქმის მასალები, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი განმარტებით და დაიმედებით, რომ ადვოკატი ყველაფერს ჯეროვნად აკეთებდა, რაც ადვოკატსა და კლიენტს შორის დროდადრო კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა. კომისიამ ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას კლიენტის ინტერესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეაფასა კლიენტისათვის მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულების დარღვევად.[24]

გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისია დაეყრდნო ნდობის პრინციპთან მიმართებაში არსებულ პრაქტიკას და დასაბუთებისას მიუთითა ეთიკის კომისიის 2011 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება №034/11, რომელშიც აღნიშნულია: „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ნდობის პრინციპი. კოდექსი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებად მიიჩნევს იმგვარ დამოკიდებულებას კლიენტთან ურთიერთობაში, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ნდობის პრინციპი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის საკუთარი პრობლემის განდობით იწყება და ყოველი შემდგომი ნაბიჯი კლიენტის დაცვისათვის სათანადოდ განმარტებული და შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან. ადვოკატი, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირი, ვალდებულია, კლიენტს მიაწოდოს კანონიერი რჩევა, სრული და ამომწურავი ინფორმაცია გასაგებ ენაზე."[25]

ადვოკატსა და კლიენტს შორის გართულებული კომუნიკაციის შედეგად კლიენტმა დაკარგა რა ადვოკატის მიმართ არსებული ნდობა, მას მინდობილობა გაუუქმა საქმის პირველ ინსტანციაში განსახილველად დაბრუნების შემდეგ.[26]

---

23 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 077/13, 12 ივნისი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/01/20/6492db2955d8b873fcf127e26cb38f94.PDF

24 იქვე

25 იქვე

26 იქვე

მუხლი 4.
კონფიდენციალობის პრინციპი

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმ-გვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენ-ციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან და-კავშირებით. (08.12.2012)

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორ-მაცია:
ა) კლიენტის წინააღმდეგ;
ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალ-დებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. (08.12.2012)

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას, რომ-ლის ძირითადი საყრდენია ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვა. კონფი-დენციალურობის ვალდებულებას „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კა-

ნონი პროფესიულ საიდუმლოებად განიხილავს და ადგენს, რომ ადვოკატის მოვალეობაა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს კონფიდენციალური ინფორმაცია და პროფესიული საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში, ადვოკატს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონითა და აპეკ-ით დადგენილი წესით.[27]

ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობას ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიასაც უწოდებენ, რაც ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობისა და დაცვის მაღალ სტანდარტს მოითხოვს. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა კი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს და საადვოკატო საქმიანობაში კლიენტის ინტერესების უპირატესობას, ადვოკატის პირადი და სხვა პირების ინტერესების არიდებას, ამ უკანასკნელთა კლიენტის ინტერესებში აღრევის დაუშვებლობას მოითხოვს; დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტთან მუდმივ კომუნიკაციას ნიშნავს და კლიენტის ინტერესების ერთგულად დასაცავად, მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის (მ.შ. მტკიცებულების) გამოყენებისათვის კლიენტისაგან თანხმობას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის იურიდიულ დახმარებას მისთვის მისაღები გაადწყვეტილების მიღებაში, კლიენტისათვის სასურველი იურიდიული ინტერესის დასაცავად და შედეგის მისაღწევად კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებულ საქმიანობას. ეს ვალდებულებებით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობას აკისრებს ადვოკატს და კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობას რამდენიმე თვალსაზრისით ასახავს აპეკ-ში.[28]

კონფიდენციალურობის ვალდებულება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში საინტერესოდ წარმოჩნდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს საქმიანობაში.

4.1 კონფიდენციალურობის ვალდებულების რეგულირება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით

27 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5, მუხლი 7.

28 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 23-24

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემის გზით შეფასა ადვოკატის შეკითხვა, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა თუ არა ეთიკის ნორმები იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი შეადგენდა ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, რომლის მიხედვითაც მას არ ექნებოდა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და კლიენტები ხელს მოაწერდნენ აღნიშნულ ხელშეკრულებას. [29]

კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით ან სრულად შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის იმპერატიული მოვალეობაა და, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება სახელშეკრულებო ვალდებულებით უარყოს იგი. მიუხედავად იმისა, ადვოკატი სამომავლოდ გაახმაურებს თუ არა კონფიდენციალურ ინფორმაციას, მის მიერ აღნიშნული პუნქტის ხელშეკრულებაში მითითება ეწინააღმდეგება აპეკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას - „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“ დაუშვებელია, ადვოკატმა საკუთარ თავს კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს შეეზღუდება უფლება - მისი საქმის შესახებ ადვოკატისათვის განდობილი ან თუნდაც სხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.“[30]

4.2 ადვოკატის ვალდებულება გაამართლოს კლიენტის ნდობა

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და ნდობის საფუძველზე იყოს ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა”. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა.[31] ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონფიდენციალურობის პატი-

29 წერილობითი რეკომენდაცია 009/15, 21 ოქტომბერი 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/10/21/239d90d85a216ce02c8d232f7a9929a0.pdf

30 იქვე

31 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) -2.3-2.3.1http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf

ვისცემა.[32] ადვოკატის მოვალეობაა პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას ეროვნული კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული საიდუმლოების ნებისმიერი სახის დარღვევა კლიენტის თანხმობის გარეშე, უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის სანქციებს.[33]

ადვოკატმა უნდა გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც კლიენტისაგან ან მის საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ეხება ანუ ეს არის სრულიად გონივრული მოლოდინი კლიენტის მხრიდან, რომელიც ადვოკატს სწორედ იმიტომ უმხელს მისთვის ყველაზე სათუთ, შესაძლოა მტკივნეულ, მორალურად მძიმე, საზოგადოების მხრიდან გასაკიცხ ინფორმაციას, რომ ადვოკატისაგან ელოდება დახმარებას, სამართლებრივი გამოსავლის მოძებნას, მოსალოდნელი შედეგიდან, კანონიერების პრინციპის დაცვით, მისთვის ყველაზე უფრო მისაღები მიზნის მისაღწევად პროფესიულ თანადგომას.[34]

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის შეკითხვა „დაირღვევა თუ არა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი კონსულტაციას და/ან სამართლებრივ დახმარებას (მაგ. განცხადების, ადმინისტრაციული საჩივირის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელის მომზადება) გაუწევს კლიენტს იმ ოთახში, რომელშიც ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია.“[35]

კომისიამ აღნიშნა, რომ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ადვოკატს ადვოკატის ქცევის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მომწესრიგებელი აქტების შესაბამისად ეკისრება. ამიტომ, ადვოკატი ვალდებულია მისი ქმედებები, მათ შორის კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განახორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროვოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კლიენტი ადვოკატს ამ ინფორმაციას აწვდის არსებული თანამშრომლობისა და ნდობის გამო. შესაბამისად, ადვოკატმა

---

32 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21-პრინციპი I, პუნქტი 6 http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

33 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2000)21-პრინციპი III, პუნქტი 2 http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf

34 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 26

35 წერილობითი რეკომენდაცია 007/15, 20 ოქტომბერი 2015 წელი

საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა. ადვოკატმა, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ, ადვოკატი წინასწარ შეუთანხმდება კლიენტს, რომ კონსულტაციას თუ სხვა სახის სამართლებრივ დახმარებას გაუწევს სწორედ შეკითხვაში აღნიშნულ პირობებში (ოთახში ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი, მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია) და კლიენტი ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს, მიუხედავად არსებული პირობებისა, მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია, ადვოკატი თავიდან აირიდებს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლო საფუძვლის არსებობას.[36]

4.3 კლიენტის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციების პროექტის ფარგლებში წერილობითი მოსაზრება გასცა ჰიპოთეტურ შეკითხვაზე, რომელიც ადვოკატის მიერ კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ისეთი ინფორმაციის გაცემას ეხებოდა, რომლის გამჟღავნებაც კლიენტს ადვოკატისთვის სპეციალურად არ აუკრძალავს, მაგრამ ადვოკატმა თავისი წყაროებით იცის, რომ კლიენტს ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ სურს. (მაგალითად, ეს ინფორმაცია კლიენტმა ადვოკატთან გასაუბრების დროს დამალა, ან სხვისგან გაიგო და ა.შ). სასამართლო პროცესზე ადვოკატმა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გააჟღერა ეს ინფორმაცია, რამაც პროცესი კლიენტის სასარგებლოდ წარმართა.[37]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნა, რომ კონფიდენციალურობის დაცვის დროში შეუზღუდავი ვალდებულება პირდაპირ ემსახურება კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს. ეთიკის კოდექსი, როგორც კლიენტზე ორიენტირებული მოდელი, იცავს კლიენტის ინტერესების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობას. თავის მხრივ, ადვოკატისადმი ნდობა იმ მოლოდინს ეფუძნება, რომ ადვოკატი, როგორც საკუთარი კლიენტის წარმომადგენელი და იურიდიული მრჩეველი, სწორედ მასთან შეთანხმებით, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით კლიენტთან სათანადო, გასაგებ ენაზე კომუნიკაციითა და ნებისმიერი ინფორმაციის დროულად მიწოდების შედეგად დაგეგმავს საქმის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, მათ შორის, გარკვეული ინფორმაციის (მისი ნაწილის) თუნდაც კლიენტის ინტერესების სასიკეთოდ გამოყენების საკითხს. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის

36 იქვე
37 წერილობითი რეკომენდაცია 007/14, 26 სექტემბერი, 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/25/a6646376d7fcdb394815afba41d16619.pdf

მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება, რომელიც კლიენტის საქმეს უკავშირდება. ეთიკური ვალდებულებები მაღალ სტანდარტს ითხოვს ადვოკატისაგან და კონკრეტული ქმედების განხორციელებისას, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკური ვალდებულების შესრულება არ შეფასდება მხოლოდ ადვოკატის ქმედებით დამდგარი შედეგის მიხედვით.[38]

შესაძლებელია კლიენტთან შეუთანხმებელი ინფორმაციის გამოყენებით საბოლოოდ კლიენტის სასარგებლოდ წარიმართოს პროცესი, თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს ადვოკატის ქცევა ეთიკურ ჩარჩოში. ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი კლიენტთან შეუთანხმებლად მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენებით, რადგან ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის საფუძველზე მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტის ნების გარეშე ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომლის გამოყენება არ სურს კლიენტს და ეს ადვოკატმა სხვა წყაროდან იცის. ეთიკის კოდექსი კონფიდენციალურობის ვალდებულების დადგენისას უთითებს, რომ კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა უშუალოდ კლიენტისაგან ან მის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიიიღო.[39]

რეკომენდაციის გაცემისას, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ სხვა წყაროდან რაიმე ინფორმაციის შეტყობა, მათ შორის ისეთის, რომლის გამოყენებაც არ სურს კლიენტს, ადვოკატს ავალდებულებს ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისა (კონფიდენციალურობა) და მათ შორის არსებული განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, კლიენტს აცნობოს ამგვარი ინფორმაციის შეტყობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის (მისი ნაწილის) გამოყენება უნდა შეუთანხმოს კლიენტს. ამ უკანასკნელისათვის ინფორმაციის სათანადოდ განმარტებისა და სამართლებრივი რისკების ადვოკატ-კლიენტის მიერ ერთობლივი შეფასების საფუძველზე, გადაწყვეტილებას მიიღებს კლიენტი. ნებისმიერი პროცესის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვა, უპირველესად, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე ნიშნავს არა სამართლებრივად საუკეთესო გამოსავალს, არამედ კლიენტისათვის მისაღებ შედეგს, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სამართლებრივად საუკეთესო გადაწყვეტაც არ იყოს, თუმცა, თუ კანონიერების პრინციპს არ ეწინააღმდეგება, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესი გაითვალისწინოს.[40]

ადვოკატის კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად განიხილება და კონკრეტული კლიენტის ინტერესებსა და კონფიდენციალურ ინფორმაციას უქმნის

38 იქვე
39 იქვე
40 იქვე

საფრთხეს, არამედ ზოგადად ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადობის უნდობლობის საწინდარიც შეიძლება გახდეს. ეთიკის კოდექსის პრეამბულა თითოეულ ადვოკატს, როგორც კორპორაციის წარმომადგენელს, აკისრებს პროფესიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას, საზოგადოების წინაშე იმგვარად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, რომ ხელი შეუწყონ ნდობის მოპოვებას ადვოკატის საქმიანობისადმი და საზოგადოდ პროფესიისადმი.[41]

ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინ-ფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირდაპირ არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურე-ბოდეს. ადვოკატმა ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია უპი-რველესად კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს.[42]

4.4 კლიენტთან შეთანხმების გარეშე საქმის მასალების სხვა ადვოკატისთვის გადაცემა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევა დაადგინა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოება მიანდო სხვა ადვოკატს ისე, რომ ამის შესახებ არ შეთანხმებულა კლიენტთან. ადვოკატმა საქმეში ახლად ჩართულ ადვოკატს კლიენტის ინფორმირების გარეშე გადასცა საქმის მასალები. კერძოდ, კლიენტმა მიმართა ადვოკატს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ დავაზე და გადასცა მის ხელთ არსებული ყველა საბუთი. შეთანხმების თანახმად, ადვოკატი აწარმოებდა კლიენტის საქმეს ყველა ინსტანციის სასამართლოში. საადვოკატო მომსახურების საზღაურად განისაზღვრა 500 ლარი. კლიენტს სრული საზღაურის გადახდა იმ დროისთვის არ შეეძლო და ადვოკატს შეუთანხმდა, რომ მთლიან თანხას საბანკო ანგარიშზე მოგვიანებით ჩაურიცხავდა. კლიენტმა ადვოკატს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საზღაური ჩაურიცხა და როდესაც ჰკითხა ადვოკატს, ჩაერიცხა თუ არა თანხა, ადვოკატმა უპასუხა, რომ ჩარიცხული თანხის ნახევარი - 200 ლარი საქმის მასალებთან ერთად გადასცა სხვა ადვოკატს, რომელიც მის საქმეს მასთან ერთად აწარმოებდა; ეს ფაქტი ადვოკატმა იმით ახსნა, რომ ადვოკატი, რომელსაც ჰონორარის ნაწილი გადასცა, ადმინისტრაციულ სამართალში ძალიან ძლიერი იყო. კლიენტის განცხადებით, ის ადვოკატთან არ შეთანხმებულა საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვაზე და მისი საქმე უშუალოდ შეთანხმებით აყვანილ ადვოკატს უნდა ეწარმოებინა. ადვოკატის ასეთი ქმედების შედეგად, კლიენტს უნდობლობა

41 იქვე
42 იქვე

გაუჩნდა ადვოკატისადმი. მან ვერ გაიგო, ვინ იყო მისი წარმომადგენელი და რეალურად რომელი ადვოკატი აწარმოებდა საქმეს. აღმოჩნდა, რომ მეორე ადვოკატს მინდობილობის არარსებობის გამო საქმის წარმოება დაწყებული არ ჰქონია. საქმეში ჩართულმა მეორე ადვოკატმა კლიენტს განუცხადა, რომ საქმის წარმოებისათვის საჭირო იყო დამატებითი თანხის, 300 ლარის მის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა. კლიენტმა თანხის ჩარიცხვამდე აღმოაჩინა, რომ აღნიშნულ ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.[43]

ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამოსილ პირს შორის შეთანხმება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას იყოს ინფორმირებული მისი ინტერესების წარმომადგენლის შესახებ, ჰქოდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან მიიღოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.[44]

კომისიის განმარტებით, „საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.“[45]

4.5 დისციპლინური საქმისწარმოებისას თავდასაცავად წარსადგენი ინფორმაციის შეფასების ვალდებულება

ადვოკატის ინტერესი შეიძლება დაუპირისპირდეს კლიენტის ინტერესს, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ეთიკის კომისიას მომართავს ადვოკატის წინააღმდეგ საჩივრით, მაგრამ ადვოკატი ვალდებულია თავი დაიცვას საჩივარში ჩამოყალიბებული პრეტენზიების ფარგლებში ისე, რომ წინასწარ შეაფასოს ეთიკის კომისიაში წარსადგენი ინფორმაცია და თავიდან აირიდოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების დარღვევა.

ადვოკატმა ეთიკის კომისიაში მისი ერთ-ერთი კლიენტის საჩივრის საფუძველზე დაწყებული დისციპლინური წარმოებისას წარმოადგინა მისი მონაწილეობით წარმოებული სხვა კლიენტების სასამართლო საქმეთა მასალები, კერძოდ, რაიონული სასამართლოს რვა გადაწყვეტილება და ორი განჩინების ასლი. აღნიშნულ დოკუმენტაციაში არ იყო დაშიფრული პერსონალური მონაცემები, შესაბამისად, იდენტიფიცირებული იყო როგორც ადვოკატის ყოფილი კლი-

43 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 054/13, 21 მარტი, 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/484bf9f8724818e0b5dd4d6cf544e218.pdf
44 იქვე
45 იქვე

ენტების ვინაობა, ასევე, მათი საქმეთა დეტალები. ადვოკატის აზრით აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებდნენ მისი კვალიფიციურობის საკითხს და იგი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში დამატებით წარმოედგინა მსგავსი სახის სხვა მტკიცებულებები.[46]

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი ვალდებულია ყოველთვის დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.[47]

კომისიამ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჩივარში მითითებული პრეტენზიები არ უკავშირდებოდა ადვოკატის ყოფილი კლიენტების საქმეებს, ადვოკატის მაღალი პროფესიული სტანდარტებიდან გამომდინარე არსებობდა მსგავსი ქმედებების პრევენციის კორპორატიული ინტერესი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენისას, ადვოკატს არ წარმოუდგენია ყოფილი კლიენტების თანხმობა, რაც დაადასტურებდა მათ ნებას აღნიშნული მტკიცებულებების ეთიკის კომისიაში წარმოდგენის შესახებ. ადვოკატმა ყოფილი კლიენტების საქმის მასალები წარმოადგინა მათი წინასწარი თანხმობის გარეშე, საკუთარი ინტერესებისა და მიზნებისათვის, რითიც უხეშად დაარღვია ადვოკატის დროში შეუზღუდავი - კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვა კლიენტების კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არ უკავშირდებოდა ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში წარდგენილი საჩივრის წინააღმდეგ თავის დაცვის საჭიროებას და არ ჯდებოდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დასაშვებ გარემოებებში ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.[48]

4.6 კლიენტის ინტერესები და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგი

ეთიკის კომისიამ გასცა რეკომენდაცია შეკითხვაზე: „არღვევდა თუ არა ადვოკატი ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის პრინციპს იმ შემთხვევაში, თუკი იგი საქმის მასალებს მის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასების მიზნით მიაწვდიდა შემფასებელს. შემფასებელი პირი არის იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელი,

46 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 060/14, 01 მარტი, 2015 წელი
47 იქვე
48 იქვე

ხოლო ადვოკატის წარმოებაში არსებული საქმის მასალების მიწოდება არის ადვოკატის ვალდებულება. გარდა საქმის მასალებისა, მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს უნდა მიეწოდოს ასევე დასაცავ პირთან გასაუბრების ოქმები.“[49]

კომისიამ აღნიშნა, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით“. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები მოქმედებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად“.[50]

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე პრიმა მუხლი განმარტავს: „საზოგადოებრივი ადვოკატი საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად. დაუშვებელია საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე მის მიმართ სანქციის 3 გამოყენება ან სანქციის გამოყენების მუქარა იმ საქმიანობის გამო, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ადვოკატთა ეთიკის კოდექსს“. [51]

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებაში №057/10 აღნიშნა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეიქმნას საზოგადოებაში“. [52]

ეთიკის კომისიამ 2013 წლის 05 მარტის №142/12 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით...“[53]

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №112/11 აღნიშნა, რომ: „კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სა-

49 წერილობითი რეკომენდაცია 010/15, 10 დეკემბერი, 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2016/01/12/c6f71b4f4842e855324c87edd594783d.pdf
50 იქვე
51 იქვე
52 იქვე
53 იქვე

მართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად... კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ დაიცვას კლიენტის ინტერესები."[54]

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში №094/11 დისციპლინურ საქმეზე დაადგინა: „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ".[55]

ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ნებისმიერი მესამე პირისთვის, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.[56]

მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის საქმესთან დაკავშირებული, ადვოკატის წარმოებაში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის დასაცავ პირთან გასაუბრების ოქმები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვეოდა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებულ საზოგადოებრივ ადვოკატს აკისრია ვალდებულება წარუდგინოს ამავე სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები, რომლის მიზანი, როგორც შეკითხვიდან ირკვევა არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებული პირის - ადვოკატის მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხის შეფასება. ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივმა ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. კერძოდ, არ გადასცეს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები მო-

54 იქვე
55 იქვე
56 იქვე

ნიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს - შემფასებელს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადვოკატი მის მიერ ნაწარმოებ საქმის მასალებს მიაწვდის იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მისი შემოწმება შესაძლებელია ადმინისტრირების კუთხით, რაც ორგანიზაციულ საკითხებს უკავშირდება და არ ეხება უშუალოდ ადვოკატის მიერ განხორციელებული საქმიანობის დეტალურად შესწავლას და ადვოკატის მიერ მომსახურების ხარისხის არსებით შეფასებას.[57]

„იურიდიული დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, საზოგადოებრივი ადვოკატები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად მოქმედებენ. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ სხვა რაიმე დათქმა „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში, სადაც მითითებული იქნებოდა, რომ ადვოკატის საქმიანობის დამოუკიდებლობაში ჩარევა ან ადვოკატისა და კლიენტის ურითერთობის კონფიდენციალურობის გამჟღავნება შესაძლებელი იქნებოდა - არ არსებობს, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული პირდაპირი დათქმებისა.[58]

კომისიის დასკვნით, კლიენტის ურთიერთობასთან დაკავშირებული, ადვოკატის წარმოებაში არსებული საქმის მასალები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მისი გამჟღავნება, კერძოდ, საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს შემფასებლისათვის მოთხოვნის შემთხვევაში მისი გადაცემა, არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს. ადვოკატის მიერ კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამ სახით გამჟღავნება მხოლოდ კლიენტის თანხმობითაა შესაძლებელი.[59]

57 იქვე
58 იქვე
59 იქვე

მუხლი 5.
კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატის ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს. მიუხედავად კლიენტის ინტერესების უპირატესობისა, ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და აპეკ-ით დადგენილ სხვა პრინციპებს.[60]

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპზე კიდევ ერთხელ გვხვდება მითითება აპეკი-ს მე-10 მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც ადვოკატებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად ადგენს, რომ „დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“[61]

5.1 კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან

რეკომენდაციაში დასმული შეკითხვის თანახმად, ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე, იცავდა ერთ-ერთი ბრალდებულის ინტერესებს გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განიხილა სასამართლომ და ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ბრალდებულმა, რომლის ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი, უჩივლა პოლიციის თანამშრომლებს და საჩივარში მიუთითა, რომ იგი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანებები, რის შესახებაც პირველი შეხვედრისას წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოსდა მან აცნობა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს. რეალურად, ხსენებულ ბრალდებულს, აღნიშნული

60 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 29

61 იქვე

ინფორმაცია ცემის ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატისათვის არ უცნობებია. ასევე, მას არ აღენიშნებოდა დაზიანების კვალი სახის არეში.

საქმის გამომძიებელი ითხოვდა ადვოკატის დაკითხვას იმ ფაქტთან დაკავშირებით, აცნობა თუ არა ხსენებულმა ბარლდებულმა ადვოკატს აღნიშნულის შესახებ და, ასევე, ემჩნეოდა თუ არა სახის არეში დაზიანებები. ადვოკატი აპირებდა სსსსკ-ის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, თუმცა, მას გამომძებელმა განუცხადა, რომ თუ არ მისცემდა ჩვენებას, ეს შეფასდებოდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმად და, შესაბამისად, ადვოკატის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა.

შეკითხვის თანახმად, ადვოკატი დაარღვევდა თუ არა ეთიკის კოდექსს იმ შემთხვევაში თუ მისცემდა მისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო ჩვენებას და იტყოდა სიმართლეს, რომ მისთვის ბრალდებულს არ უთქვამს არაფერი და არც სახის არეში შეუნიშნავს დაზიანება.[62]

კომისიის განმარტებით, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ამ შემთხვევაში ცრუ ჩვენების მიცემა დაუშვებელია, თუნდაც ეს კლიენტის ინტერესების დაცვისკენ იყოს მიმართული. სსსსკ 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უფლებას აძლევს ადვოკატს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და აპეკ-ის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არ უკრძალავს მას ჩვენების მიცემას, თუმცა ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ ჩვენების მიცემამ შესაძლოა წარმოშვას კლიენტის პასუხისმგებლობა ცრუ დასმენაზე, რაც წინააღმდეგობაში მოვა ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნასთან: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.[63]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სსსსკ 50-ე მუხლით მონიჭებული უფლების გამოყენებაზე უარის თქმა და ჩვენების მიცემა შესაძლოა შეფასდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. შესაბამისად ადვოკატმა უნდა ისარგებლოს სსსსკ 50-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და უარი უნდა თქვას ჩვენების მიცემაზე.[64]

---

62 წერილობითი რეკომენდაცია 001/14, 17 მარტი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/03/19/8085938561d49ca5aa685de8ae4ce507.pdf

63 იქვე

64 იქვე

5.2 კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება

საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.[65]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის სახით პასუხი გასცა შეკითხვას კლიენტის დავალებით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მოწმის გამოსაკითხად ორდერის გამოწერა და მისი გამოკითხვა გამოიწვევდა თუ არა ეთიკის ნორმების დარღვევას.[66]

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აღიარებს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, თუმცა, საზღვარს უწესებს თავად კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპსაც - ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციის შესაბამისად, რაც გულისხმობს მის მიერ მხოლოდ კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების მოვალეობას.[67]

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად „გამოძიების ორგანოში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.“[68]

---

65 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 35

66 წერილობითი რეკომენდაცია 009/14, 17 ნოემბერი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/11/18/530ad68085692c99d020ac0ce833bbba.pdf

67 იქვე

68 იქვე

ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კონკრეტულ საქმეზე კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი.[69]

ადვოკატმა ორდერი უნდა გამოწეროს მხოლოდ ორდერში მითითებული პირის დასაცავად, ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.[70]

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №044/10/ განმარტა: „საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა.“[71]

შესაბამისად, ადვოკატის მიერ მისთვის არადასაცავ პირზე ორდერის გამოწერა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, შესაძლოა ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის („ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.) დარღვევად.[72]

ადვოკატის მიერ, მოწმის გამოსაკითხად ორდერის გამოწერა, სავარაუდოდ, გამოიწვევს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, ვინაიდან ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს და ადვოკატმა ორდერი უნდა გამოწეროს მხოლოდ მასში მითითებული პირის დასაცავად. ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.[73]

---

69 იქვე
70 იქვე
71 იქვე
72 იქვე
73 იქვე

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის სახით პასუხი გასცა შეკითხვას ადვოკატის მიერ კლიენტის თხოვნით, მოწმის სახით ჩვენების მიცემა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ცნობილი გახდა მისთვის ამ კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას წარმოადგენდა თუ არა ადვოკატის მხრიდან, ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმის დარღვევას. კერძოდ, ადვოკატი 2004 წელს მონაწილებას იღებდა სისხლის სამართლის საქმეზე და წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს. აღნიშნულ საქმეზე კლიენტის მიმართვის საფუძველზე, მიმდინარებდა გამოძიება. კლიენტის თხოვნაა ადვოკატმა გამოძიებას იმ ფაქტებთან დაკავშირებით მისცეს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი კლიენტის დაცვისას გახდა.[74]

კომისიის განმარტებით, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდება ემსახურება მის ინტერესებს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში ადვოკატის უფლებაა გამოძიებას ჩვენება იმ საკითხზე მისცეს, რაც მისთვის ცნობილი ამ კლიენტის ინტერესების დაცვისას გახდა, რაც გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - „ადვოკატი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.“

კომისიის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს კლიენტი სთხოვს ჩვენება მისცეს გამოძიებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ცნობილი გახდა მისთვის კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას, ადვოკატს უფლება აქვს მოწმის სტატუსით მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა. ამ შემთხვევაში ადვოკატი არ დაარღვევს ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს.[75]

---

74 წერილობითი რეკომენდაცია 004/15, 24 ივლისი, 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/10/29/404dab215ab20fbcbba4161f59bfdc0a.pdf

75 კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ გამოცემაში: ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. , ხოლო 2007-2013 წლების გადაწყვეტილებები აღნიშნულ თემაზე ხელმისაწვდომია შემდეგ ლინკებზე:
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 3083/12/07, 05 დეკემბერი, 2007 წელი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/05.12.2007-gadawyvetileba.pdf;
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #001/10, 11 აპრილი, 2010 წელი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/11.04.2010.pdf;
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #044/10, 22 ნოემბერი, 2010 წელი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/22.11.2011_044_10.pdf;
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #032/11, 02 მაისი, 2011 წელი

მუხლი 6.
ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:
ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.
ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)

კლიენტთა, ისევე როგორც ადვოკატთა ინტერესები, საადვოკატო საქმიანობისას მრავალფეროვანია. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს

ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატის როლიდან, რომელიც ერთის მხრივ, კლიენტის წარმომადგენელია, ხოლო მეორეს მხრივ, სამართლის სისტემის ნაწილი, რაც მას კლიენტთა, მართლმსაჯულების, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე ავალდებულებს, რომ საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ეთიკის ნორმები დაიცვას.[76]

ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში საქმეზე #092/10 შეეცადა ინტერესთა კონფლიქტის ცნება ჩამოეყალიბებინა. აღნიშნული განმარტების თანახმად, „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ".[77]

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, ვინაიდან ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსით მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია, როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ.[78]; ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას კლიენტებს შორის, როდესაც ადვოკატი ახორციელებს ერთდროულად რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობას, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთს უპირისპირდება,[79] როდესაც ადვოკატი წარმოადგენს ახალ კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმოებულ ერთი და იმავე დავაში;[80]. ასევე, თავს იჩენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვა კლიენტების ან მესამე პირთა მიმართ არსებული ადვოკატის პირადი, ფინანსური, პროფესიული ან სხვა ინტერესების გამო.[81]

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიის პრაქტიკაში წამოჭრილმა შემთხვევებმა ეთიკის კოდექსის მე–6 მუხლის ცვლილება და დამატება განაპირობა, რასაც საფუძვლად დაედო ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური კოდექსის ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი წესები. სამუშაო ჯგუფი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ცვლილებებისა და

76 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 8-9

77 იქვე

78 ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 8; აპეკ-ი, მუხლი 6

79 აპეკ-ი, მუხლი 6, 1-ლი ნაწილი

80 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 8, მე-2 ნაწილი

81 აპეკ-ი, მუხლი 6, „ბ" ქვეპუნქტი

დამატებების პროექტზე მუშაობისას[82] მუხლის ფორმულირებისას შეეცადა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებას, რომელიც ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით გამოვლინდა.[83]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–6 მუხლში ცვლილება და დამატება გამოიხატა შემდეგში: ეთიკის კოდექსის 2006 წლის 15 აპრილის რედაქციის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ ერთი და იგივე საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევისას, კოდექსის ახალი რედაქციით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე წარმომადგენლობის აკრძალვასაც.[84]

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეთიკის კოდექსის მოცემული მუხლის წინა რედაქციით, როგორც ეთიკის კომისიის პრაქტიკით გამოვლინდა, ვერ იფარებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემცველი შემთხვევები. ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი იმგვარად განმარტა, რომ ის არსებითად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზეც გავრცელდა.[85] მოცემული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო მსგავს შემთხვევებში ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.[86]

ეთიკის კოდექსის ძველი რედაქციით (15.04.2006) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით განმარტებისას, ადვოკატს უფლება არ ჰქონდა მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოედგინა ერთი მხარე, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები დაეცვა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, თუმცაUმუხლის ასეთი ფორმულირებით წარმომადგენლობა შეზღუდული ვერ ექნებოდა, როდესაც ხდებოდა სარჩელის საფუძვლის ან საგნის ცვლილება, ვინაიდან აღნიშნული სარჩელის შეცვლას გულისხმობდა ან ადგილი ჰქონდა სარჩელის ორივე ელემენტის ცვლილებას, რაც ახალი სარჩელის შეტანაში გამოიხატებოდა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის დაუ-

82 2011 წელს ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობა დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 01 აგვისტოს #82 ოქმით. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და პროფესიული გაერთიანებები. ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი საერთო კრებამ მიიღო 2012 წლის 08 დეკემბერს.

83 იქვე

84 იქვე

85 იქვე

86 იქვე

შვებლობის ვალდებულების არსი იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატმა არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია ან არ გამოიყენოს სხვა კლიენტის სასარგებლოდ და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც შეინარჩუნოს მათ შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსი სახით ფორმულირება და სსსკ-ის მიხედვით ზემოხსენებული განმარტება ინტერესთა კონფლიქტის ცნებას ვიწროდ აყალიბებს და ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, არსებული კლიენტის საქმისწარმოებისას, მაშინ როდესაც ადგილი არა აქვს ერთი და იგივე საქმის წარმოებას, შეფასდება არა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევად, არამედ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებად.[87]

მუხლის ამჟამინდელი ფორმულირებით ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპზე ეთიკის კომისიამ 2006-2013 წლების განმავლობაში განიხილა პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეები, რამაც ხელი შეუწყო ეთიკის კოდექსში ცვლილების განხორციელებასა და ინტერესთა კონფლიქტის გავრცელებას არსებითად დაკავშირებულ საქმეებზე.[88]

6.1 ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის მიმართება ადვოკატის პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან

საადვოკატო საქმიანობისას კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ნდობის დაცვა თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისათვის დამახასიათებელია, მაგრამ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები ინტერესთა კონფლიქტის დროს ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის ნდობის პრინციპზე და ინტერესთა კონფლიქტით დაცულ მთავარ ღირებულებად

87 ჟურნალი "ადვოკატი" N2- ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 21-25

88 არსებითად დაკავშირებული საქმეებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტზე შეგიძლიათ იხილოთ:
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #092/10, 14 ივნისი, 2011. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, თუმცა გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა
http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/14.06.2011.pdf
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება #დს-შ/11-11

კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას განსაზღვრავს. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დაცვა დაკავშირებულია ასევე ადვოკატის მიერ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობასთან.

ადვოკატის დამოუკიდებლობა გარანტირებულია, როგორც „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით,[89] ასევე ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსით. ადვოკატის პროფესია თავისუფალ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება. ადვოკატი მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს ემორჩილება.[90] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამოთვლისას, დამოუკიდებლობაზე მითითება ორ სხვადასხვა კონტექსტში გვხდება: საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა[91] და საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა, რომელიც ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის დამოუკიდებლად და სხვისგან ჩაურევლად განხორციელებას გულისხმობს.[92]

ნდობის პრინციპის დაცვის გარანტიაც ადვოკატის დამოუკიდებლობაა. კლიენტი ადვოკატს ნებისმიერ ინფორმაციას ანდობს იმ იმედით, რომ ის მისი ნების საწინააღმდეგოდ მესამე პირთათვის არ გახდება ცნობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული იქნება როგორც კონფიდენციალურობის, ისე დამოუკიდებლობის პრინციპები.Aადვოკატის დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ ერთის მხრივ, ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს კანონს და კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტის ინტერესები, მეორეს მხრივ, თავად იყოს დაცული, რათა ვერავინ შეძლოს მის საქმიანობაში ჩარევა და მისი თავისუფლების შეზღუდვა.[93] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ინტერესთა შეუთავსებლობას აწესრიგებს კლიენტის ინტერესებზე წინ ან ადვოკატის პირად ინტერესებზე წინ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის დამოუკიდებლობას აყენებს.

პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები, კოდექსი ადგენს ადვოკატის ვალდებულებას იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპო-

---

89 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, მუხლი 3, „ბ" ქვეპუნქტი, მუხლი 38; აპეკ-ი, მუხლები 1,2

90 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1

91 ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ბ" ქვეპუნქტი

92 მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით", ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 6

93 იქვე, გვ. 7

ვებისათვის.[94] ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ადვოკატის პირად თვისებებზე – ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა არის დაფუძნებული.[95]

ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, ვინაიდან ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის საფრთხის არსებობისას ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს კლიენტთა საქმისწარმოება.[96] პასუხისმგებლობა ადვოკატზეა, რომელმაც არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.[97]

კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხის შექმნა, ინტერესთა კონფლიქტისას, გადამწყვეტი გარემოებაა, რომ ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის გაგრძელების შემთხვევაში მის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება დადგინდეს.[98] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებით, იყენებს პროფესიული საიდუმლოების ცნებას და გასული დროის მიუხედავად, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას აკისრებს, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია ყოფილი კლიენტისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეძენილი ინფორმაციის დაცვის ვალდებულება. დაცვის ვალდებულება უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნების, არამედ მისი გამოყენების აკრძალვად ახალი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ან თავად ადვოკატის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.[99] ეთიკის კოდექსით, ადვოკატს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია კლიენტის ინფორმაციის გამჟღავნება: კლიენტის თანხმობის არსებობისას, თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის. [100]

---

94 მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორძახია, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით", ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, 2011, გვ. 7

95 აპეკ-ი, მუხლი 2

96 აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 4

97 აპეკ-ი, მუხლი 2

98 აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 4

99 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 48

100 აპეკ-ი, მუხლი 4, ნაწილი 4

ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს იგივე ვალდებულების შესრულება.[101]

ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის ამოსავალი დებულება კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაა, რაც ინტერესთა კონფლიქტის დროს გულისხმობს ადვოკატის მიერ ისეთი მდგომარეობის თავიდან არიდებას, როდესაც კლიენტის ინტერესები ეწინააღმდეგება ადვოკატის პირად ინტერესებს ან სხვა პირის ინტერესებს, რაშიც შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც სხვა კლიენტები, ისე ის მესამე პირები, ვის მიმართაც ადვოკატს მოვალეობები აკისრია.[102] შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმებს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გარდა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპშიც აყალიბებს პირადი ან მესამე პირთა მიმართ არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის სახით და ადგენს ადვოკატის ვალდებულებას, რომ გადაწყვეტილება კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს.

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი იცავს კლიენტის ავტონომიურობას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კლიენტს ადვოკატისაგან აქვს მოლოდინი, რომ ისე მოიქცევა, როგორც თავად მოიქცეოდა სათანადო ცოდნა, უნარები ან დრო, რომ ჰქონოდა.

ინტერესებში იგულისხმება ის სარგებელი ან უპირატესობა, რომლის მიღება ან დაცვა სურს პირს, რაც დაკავშირებულია პირად ან საქმიან ურთიერთობებთან, ფინანსურ ან ქონებრივ ინტერესებთან. რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია ყველა სახის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიძლება მათი თავიდან არიდება არც იყოს სასურველი. მაგალითად, არ არის მიზანშეწონილი ადვოკატმა თავის მორალურ პრინციპებზე უარი თქვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც კლიენტი ადვოკატს სთხოვს ყალბი მტკიცებულების წარდგენას სასამართლოში, ამ დროს წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებასა და კლიენტის ინტერესებს შორის. თავად ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეც, შეუძლებელია ერთმა პირმა იმოქმედოს მეორე პირის ინტერესების განუხრელად დაცვით, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატს საადვოკატო საქმიანობისას, კლიენტის ინტერესების გარდა, სხვა პირთა ინტერესების მხედველობაში მიღებაც უწევს, მაგალითად, სხვა კლიენტების ან პარტნიორების. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ ადვოკატი ყოველთვის შესძლებს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას,

101 აპეკ-ი, მუხლი 4, ნაწილი 5
102 აპეკ-ი, მუხლი 5

რეალობას არის მოკლებული, თუმცა, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტისას ადვოკატის პროფესიული ქცევის განმსაზღვრელი ნორმები ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.[103]

ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას არსებობს ობიექტური საფრთხე, რომ ადვოკატი ვერ შეძლებს კლიენტს კვალიფიციური მომსახურება გაუწიოს და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას არ გამოიყენებს.

6.2 ინტერესთა კონფლიქტის მქონე სიტუაციები

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–6 მუხლის მე–2 ნაწილი წარმოადგენს დამატებას, რომელიც მე-6 მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც ზოგადი ხასიათის ნორმაა და ადგენს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, აკონკრეტებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევებს. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევები არ არის ამოწურული.[104]

მე-6 მუხლის "ა" ქვეპუნქტი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას, რაც გამოიხატება ადვოკატის ვალდებულებების ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთწინააღმდეგობით ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით. ამავე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულია პირადი ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევა, კერძოდ, კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების წინააღმდეგობით ან ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობით ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.[105]

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას ხშირად ხდება საკამათო, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირი ჩაითვალოს კლიენტად და ადვოკატს წარმოეშვა თუ არა მის მიმართ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს

103 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 49

104 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 50

105 იქვე

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად, უთითებს: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)", ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილიც უთითებს „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე.....".[106]

შესაძლებელია ადვოკატსა და პირს შორის კონსულტაციისა და დოკუმენ-ტაციის გაცნობის შემდეგ არ მოხდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკ-რულების დადება, მაგრამ ადვოკატმა კონსულტაციის შემდეგ მიიღო რა კონფიდენციალური ინფორმაცია, ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება.[107] ინტერესთა კონფლიქტის მიზნებისათვის, შესაძლებელია კონკრეტული შემ-თხვევიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვალოს.Dეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან." [108]

6.2.1 არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი

ხშირად ორი ან მეტი მხარისათვის მოხერხებულია, რომ ერთ სამართლებრივ დავაში, მათ ინტერესებს ერთი ადვოკატი წარმოადგენდეს ან გარიგების ორივე მხარეს ერთი ადვოკატი ემსახურებოდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ინტერესები არ არის ბოლომდე თანმხვედრი და მათთვის ცნობილია ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხის ან არსებობის შესახებ. აღნიშნულის მი-ზეზი ბევრია, მაგალითად, როგორიცაა საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის დაზოგვა; შესაძლებელია იმ ადვოკატის მიერ მიღწეული შედეგი, რომელსაც არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე ადვოკატისათვის გადასახდელი ჰონორარი; შესაძლებელია მხარეები იცნობენ და ენდობიან ადვოკატს ან ის ძალიან კვალიფიციურია. მიუხედავად ამისა, კლიენტები შესაძლებელია დათანხმდნენ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი თავს იჩენს ერთობლივი წარმომადგენლობის დროს, როდესაც ორ კლიენტს შორის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის და აქედან ერთი კლიენტის ინტერესების დაცვა ზიანს მიაყენებს მეორე კლიენტს.[109]

---

106 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 51

107 აპეკ-ი, მუხლი 4

108 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 52

109 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-

აპეკ-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

ადვოკატი წარმოადგენდა მომჩივანის A-ის მეუღლის - B-ის ინტერესებს მომჩივან A-ის სარჩელის გამო, თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის დავაში. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფლდა A-ის სასარჩელო მოთხოვნა და მომჩივანი A ცნობილ იქნა მოპასუხის - B-ის საკუთრებაში აღრიცხული ქონების ½ წილის მესაკუთრედ.[110]

მომჩივანის განმარტებით, იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე არ დარეგისტრირებულიყო მისი საკუთრების უფლება, ყოფილი მეუღლის, B-ის მიმართ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით ფიქტიური სარჩელი აღძრა B-ს დეიდაშვილმა, C-მ. C-ის სარჩელი ეხებოდა მასსა და B-ის შორის ურთიერთვალდებულების შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იყო იმავე მიწის ნაკვეთზე, რომლის ½-წილის მესაკუთრეც 2010 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით გახდა საჩივრის ავტორი. B C-ს სარჩელს სრულიად დაეთანხმა და სარჩელის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა A-ს ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. A–მ ვერ შეძლო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.[111]

ადვოკატი, C-ს მიერ წარმოებულ დავაში მოპასუხე მხარეს B-ს წარმოადგენდა რწმუნებულების თანახმად, როგორც მისი ადვოკატი, ხოლო ამავე დროს ფაქტობრივად მოსარჩელე მხარესაც წარმოადგენდა. კერძოდ, ადვოკატმა C-ს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და შეუდგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.[112]

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ადვოკატს, როგორც B-ს წარმომადგენელს, ჩამოერთვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება.[113]

2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 50

110 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 079/14, 06 აგვისტო 2015 წელი

111 იქვე

112 იქვე

113 იქვე

ადვოკატის განმარტებით, მან A-სა B–ს შორის სამოქალაქო დავისას სასამართლოზე დააყენა შუამდგომლობა C-ს მესამე პირად ჩართვის თაობაზე, თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ადვოკატი C-ის მიერ B-ს წინააღმდეგ წარმოებულ დავაში არ იყო C-ს წარმომადგენელი, თუმცა ამ პერიოდში C მასთან მივიდა და როგორც იურისტს სთხოვა კონსულტაციის გაწევა ამ ხელშეკრულების თაობაზე. ადვოკატმა მას გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია. აუხსნა, რომ უნდა დაეწყო დავა და მოეთხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რაზეც ადვოკატმა C-ს, მისივე თხოვნით სასამართლოში წარსადგენად ნიმუშად შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება. ადვოკატი განცხადების შედგენამდე დაუკავშირდა თავის მარწმუნებელს B-ს და აცნობა იმის თაობაზე, თუ რა სთხოვა მას C-მ. B-მ ნება დართო ადვოკატს, რომ შეედგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება C-სთვის, თუმცა ადვოკატი ამავდროულად რჩებოდა B-ის წარმომადგენლად სასამართლოში და სხვა კავშირი მას C-სთან არ ექნებოდა. ადვოკატს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს მისი მარწმუნებლის გარეშე, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იმ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ B-მ მას კვლავ გაუფორმა მინდობილობა/რწუნებულება და კვლავ მიანდო თავისი საქმეები A–სთან წარმოებულ სხვა დავებში.[114]

ადვოკატის განცხადებით, ამ საქმის წარმოების დროს მომჩივანმა A–მ მოითხოვა საქმეში მხარედ ჩართვა და ის სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ჩართო მოპასუხედ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა, ყადაღა ჯერ-ჯერობით არ გაუქმებულა. ამიტომ A მიწაზე თანამესაკუთრეობას ვერ არეგისტრირებს საჯარო რეესტრში, რაც არცერთი მხარის ბრალი არაა.[115]

ადვოკატს მიმართა C-მ, რომელსაც მან მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და შეუდგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნით ნიმუშად. მისი წარმომადგენელი არ ყოფილა. ამ დროს ადვოკატი ამავე საქმეზე წარმოადგენდა C-ს მოწინააღმდეგეს.[116]

კომისიის განმარტებით, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის საუკეთესო ინტერსების დაცვას თუ ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ. ეთიკის კომისიამ საქმეში N015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ საა-

114 იქვე
115 იქვე
116 იქვე

დვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონ-ფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი". კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.[117]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძუ-ლებითი) დაცვის შემთხვევისა." კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასაწყისი, რაც გამოიხატა შემდეგში: 1. ადვოკატის მიერ C-სათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევაში, 2. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შედგენაში.[118]

ადვოკატი წარმოადგენდა მოპასუხის B-ის ინტერესებს და იმავდროულად, იმავე საქმეზე მოსარჩელეს (C-ს) უწევდა კონსულტაციას და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებას უწერდა. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ C-ს მიმართ განხორციელებული იურიდიული მომსახურება მიმართული იყო მისი რწმუნებულის B-ის ინტერესების დასაცავად, რაც გამოიხატა იმაში, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე, რომლის ½ - წილის მესაკუთრედ სასამართლომ ცნო საჩივრის ავტორი, ახალი დავის წარმოშობით A-ს ვერ მოეხდინა სადავო მიწის ნაკვეთის ½-წილის საკუთრების რეგისტრაცია. ამ მიმართულებით ადვოკატის ქმედებები უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა ეს ქმედებები გამართლებული.[119]

ადვოკატი მოქმედებდა მის მარწმუნებელთან შეთანხმებულად. აღნიშნული დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. ადვოკატის მიერ არ ყოფილა გაცხადებული არანაირი გარემოება, რომელიც კომისიას მისცემდა საშუალებას სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები არ ჩაეთვალა პრეუდიციული ძალის მქონედ. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით და ამ მოტივით ად-ვოკატის საქმიდან ჩამოცილება კომისიამ პრეუდიციული ძალის მქონე გარე-მოებებად მიიჩნია.[120]

117 იქვე
118 იქვე
119 იქვე
120 იქვე

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი მოქმედებდა თავისი კლიენტის ნებართვის საფუძველზე, მას არ ჰქონდა უფლება ეთიკის ნორმების დარღვევით გაეგრძელებინა საადვოკატო საქმიანობა, მაშინ როცა მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ საადვოკატო ეთიკის ნორმები უკრძალავდა ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში, თუნდაც ამის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო კლიენტი და მისი თანხმობაც მიღებული ჰქონოდა. ადვოკატმა ამგვარი საქციელით მოახდინა არამარტო ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის პროვოცირება, არამედ საფრთხე შეუქმნა თავის დამოუკიდებლობას და კონფიდენციალობას.[121]

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების შესაძლებლობას კლიენტის მიერ ინფორმირებული თანხმობის გაცემის გზით და იმპერატიულად ადგენს, რომ კონფლიქტის საფრთხის წარმოშობისას ან ინტერესთა კონფლიქტის შექმნისას ადვოკატი ინფორმაციას აწვდის კლიენტს და წყვეტს საადვოკატო მომსახურებას.

6.2.2 ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტებს შორის

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ გარკვეული ვალდებულებები რჩება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახით, რაც ახალი კლიენტის მიღებისას უნდა გაითვალისწინოს.

ყოფილი კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობას ეხება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ".[122]

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში ეთიკის კომისიამ იმსჯელა ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, კერძოდ ადვოკატის მიერ ძველი კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის ახალი კლიენტის სასარგებლოდ გამოყენების თაობაზე და ადვოკატის მხრიდან გადაცდომა არ დაადგინა.

---

121 იქვე

122 აღნიშნული საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული „არსებითად დაკავშირებული საქმეები"-ის თემატიკასთან და ეთიკის კომისიის პრაქტიკის გასაცნობად იხილეთ 6.1 ქვეთავი.

ადვოკატი 2008-2012 წლებში ბანკში იურისტის თანამდებობაზე მუშაობდა. მას განუსაზღვრელი ვადით მიენიჭა უფლებამოსილება წარმოედგინა ბანკი სადაო სამართლებრივ ურთიერთობაში ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ: საერთო სასამართლოებში, ნებისმიერ ინსტანციაში, არბიტრაჟში, სააღსრულებლო ბიუროში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. ადვოკატს შეეძლო მხარისათვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით სარგებლობა.[123]

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის ბანკში მუშაობის პერიოდში, ბანკი მსესხებლის – ამხანაგობის წინააღმდეგ დავალიანების დაკისრების მოთხოვნით, სამოქალაქო საქმეს აწარმოებდა, რომელიც 2009 წლის 31 ივლისის სასამართლოს განჩინების თანახმად მორიგებით დასრულდა. მორიგებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო ბანკსა და ამხანაგობას შორის გაფორმდა სააღსრულებო მორიგება. სასამართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგება ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გაასაჩივრეს იმ მოტივით, რომ ამხანაგობის წევრთა ნაწილი არ იყო დაბარებული სასამართლო განხილვაზე. საინიციატივო ჯგუფი მოითხოვდა განჩინების ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას. აღნიშნული საქმის განხილვაში ბანკის ინტერესების დამცველად არაერთხელ მიიღო მონაწილეობა ადვოკატმა. ამხანაგობის საჩივარი დაკმაყოფილდა, საქმე განახლდა და დავა გაგრძელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატს, რომელსაც 2012 წელს შეწყვეტილი ჰქონდა ბანკში იურისტის პოზიციაზე მუშაობა, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად ჩაერთო საქმეში და სასამართლო სხდომაზე ბანკში ხელშეკრულებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული შიდა სისტემების თავისებურებების შემცველი ინფორმაცია გაამჟღავნა, რაც შესაძლოა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ბანკის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.[124]

საჩივრის ავტორის განცხადებით, ბანკში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა ამხანაგობის მშენებარე შენობაში, როგორც თვითონ აცხადებს, ვალში გაქვითვის გზით, 2013 წლის 02 აპრილს შეიძინა ფართი. საპროცესო შეზღუდვების გამო იგი პროცესზე არ იყო დაშვებული და მხოლოდ რწმუნების წარდგენის შემდეგ ჩაერთო საქმეში წარმომადგენლად. საქმის განხილვის დასრულებამდე კი ადვოკატმა მისი 2013 წლის 26 ოქტომბერს ამხანაგობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ კრების ოქმი წარადგინა სასამართლოში. მიუხედავად ადვოკატის მონაწილეობის ფორმალური მხარისა, ადვოკატი მაინც იყო ჩართული მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად

123 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 002/14, 17 ივლისი, 2014 წელი
124 იქვე

საქმეში. შესაბამისად, საქმეში, რომელშიც იგი ადრე ბანკის ინტერესებს წარმოადგენდა, მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი საკმარისი საფუძველია ადვოკატის ქმედების ეთიკის კოდექსის დარღვევად მიჩნევისათვის. ადვოკატის განმარტებით, მისი მუშაობა ბანკის იურისტის თანამდებობაზე საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებდა. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას იგი არ იყო ადვოკატი და ამ სტატუსის ფლობა მის მიერ სამუშაოს შესრულების წინაპირობა არ ყოფილა. ადვოკატმა 2007 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ამავე წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მის მიერ ადვოკატის სტატუსის მოპოვება ბანკთან შრომით ურთიერთობას არ უკავშირდება. შესაბამისად, არც შრომით ხელშეკრულებაში არის რაიმე დათქმა ამასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ფარგლებში იგი, როგორც თანამშრომელი, ბანკის იურიდიულ საკითხებზე მუშაობდა და მის ინტერესებს იცავდა, მაგრამ ეს არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბანკის საადვოკატო მომსახურებად. მხარეთა შორის არც საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ყოფილა დადებული.[125]

ადვოკატის განმარტებით, მხოლოდ პროცესუალური წარმომადგენლობა არ გულისხმობს საადვოკატო მომსახურების არსებობას, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირ არის გათვალისწინებული ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. დამსაქმებლის მიერ გაცემული მინდობილობაც მოწმობს, რომ იგი ბანკის ინტერესებს იცავდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც თანამშრომელი, რისი უფლებამოსილებაც ჰქონდა ნებისმიერ თანამშომელს, არ აქვს მნიშვნელობა ის პროფესიით იქნებოდა თუ არა იურისტი.[126]

ადვოკატის განმარტებით, ამხანაგობის საქმე მის წარმოებაში არ ყოფილა. ბანკის ინტერესების გათვალისწინებით, პროცესის გადადების მიზნით, იგი მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდა საქმეში და იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან ამ საქმეს სხვა იურისტი აწარმოებდა და თავად საქმის მასალებს არ იცნობდა. ასევე, ერთხელ ჩაიბარა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინება, რადგან იმ დროს იმყოფებოდა სასამართლოში და დაურეკა კოლეგამ, ბანკის იურისტმა, ვის წარმოებაშიც იყო ამხანაგობის საქმე და სთხოვა ჩაებარებინა ეს განჩინება. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეზე მის სახელზე გაცემულ მინდობილობას, ადვოკატის განმარტებით, ბანკი შესაძლო გაუთვალისწინებელი გარემოებების გამორიცხვის მიზნით, ყველა იურისტზე გასცემდა მინდობილობას. ამასთან ადვოკატი ამხანაგობაში არის უძრავი ქონების მესაკუთრე და საკუთარი ქონებრივი ინტერესებიდან

125 იქვე
126 იქვე

გამომდინარე სურდა სააპელაციო სასამართლო პროცესში აპელანტად ჩართვა, რაზეც სასამართლოსგან უარი მიიღო, იმ საფუძვლით, რომ ასეთ პროცესუალურ ფორმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს. შემდეგ ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვის თაობაზე იშუამდგომლა, რაზეც ბანკის წარმომადგენელს საწინააღმდეგო პოზიცია არ დაუფიქსირებია და სასამართლომ იგი ჩართო წარმომადგენლად საქმეში. მოგვიანებით კი, ამხანაგობის წევრებმა ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს.[127]

ადვოკატის განცხადებით, მას კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაუმჟღავნებია. სააპელაციო სასამართლოში იგი მოსარჩელის მიერ პირველ ინსტანციაში დაფიქსირებულ პოზიციას დაეთანხმა და მითითებული მტკიცებულებებიც ბანკის მიერ იყო წარმოდგენილი. აღნიშნული სასამართლო სხდომის ოქმებითაც დასტურდება. მთელი პროცესის განმავლობაში დავა იყო ამხანაგობის საბანკო ამონაწერზე, რომლის მოპოვების უფლება აქვს ამხანაგობის ნებისმიერ წევრს, მით უმეტეს თავმჯდომარეს, შესაბამისად, ეს არ იყო ის ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც რაიმე მანიპულაციის განხორციელება დასჭირდებოდა. ადვოკატის განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ როგორც ბანკის თანამშრომელი, იგი მარტივად ვერ აიღებდა ამ ამონაწერს, რადგან უნდა დაესაბუთებინა, თუ რისთვის სჭირდებოდა. ზემოხსენებული საბანკო ამონაწერი თვითონ ბანკმა დაურთო თავის სარჩელს, შესაბამისად, მისთვის ხელმისწავდომი იყო ამ ამონაწერის გაცნობა.[128]

ადვოკატმა განმარტა, რომ არ არსებობდა მასსა და ბანკს შორის ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნული საჩივრის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი კონფიდენციალურობის დარღვევას, რადგან რეალურად ის არ ფლობდა რაიმე ისეთ ინფორმაციას, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ბანკის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე.[129]

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის მითითება იმის თაობაზე, რომ ის ახორციელებდა ბანკის წარმომადგენლობას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად, არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. კომისიამ ჩათვალა, რომ მიუხედავად ადვოკატის არგუმენტაციისა, რომ ადვოკატის ლიცენზია არ ყოფილა მისი დასაქმების წინაპირობა, ვინაიდან ადვოკატი ბანკის სასამართლოში წარმომადგენლობის მომენტისთვის იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობისას, გარდა შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებისა, ადვოკატი იზღუდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებითაც.[130]

127 იქვე
128 იქვე
129 იქვე
130 იქვე

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ადვოკატის ვალდებულება არ დაუშვას ინტერესთა შეუთავსებლობა, ეთიკის კომისიამ განმარტა ,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მიზნიდან გამომდინარე, კერძოდ, პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა).[131]

სპეციალური კანონის მე-8 მუხლი ავალდებულებს ადვოკატს ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას. ადვოკატის სტატუსის მქონე პირისაგან საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა მოიცავს იმგვარ დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი, როდესაც პირს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. კლიენტი, მარწმუნებელი, რომელსაც სამართლებრივი ხასიათის რჩევას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს თუ სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, მოელის ამ უკანასკნელისაგან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.[132]

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №092/10/ დაადგინა: „ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას. საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას."[133]

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების მხედველობაში მიღება: 1. ადვოკატი 2012

131 იქვე
132 იქვე
133 იქვე

წლის 26 ივლისიდან აღარ არის ბანკის წარმომადგენელი; ის 2013 წლის 02 აპრილიდან არის ამხანაგობაში უძრავი ქონების მესაკუთრე და შემდეგ - 2013 წლის 26 ოქტომბრიდან გახდა ამხანაგობის თავმჯდომარე. ადვოკატს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევდა რაიმე ფორმით დავის განხილვაში მონაწილეობა და იქნებოდა დაინტერესებული პირი აღნიშნულ დავაში. ადვოკატმა სწორედ ამიტომ ითხოვა სააპელაციო სასამართლოში მისი აპელანტად ჩართვა, თუმცა, რადგან პროცესუალურად აპელანტის სტატუსით მისი ჩართვა ვერ მოხდებოდა სააპელაციო ეტაზე საქმის განხილვისას, სწორედ ამიტომ ჩაერთო ადვოკატი საქმეში არა როგორც უძრავი ქონების მესაკუთრე-მხარე, არამედ როგორც ამხანაგობის წარმომადგენელი - ადვოკატი. 2. ადვოკატი, რომელიც იმავდროულად ამახანაგობის საერთო ქონების ერთ-ერთი თანამესაკუთრეა და კონკრეტულ შემთხვევაში წარმო-ადგენდა ამხანაგობას, რეალურად ფლობდა ან შეეძლო მოეპოვებინა, როგორც ამხანაგობის თანამესაკუთრეს ან თავმჯდომარეს ნებისმიერი ინ-ფორმაცია ამხანაგობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სასამართლო საქმის წარმოებისას მისი, როგორც ამხანაგობის ქონების თანამესაკუთრის ან ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ წარმომადგენლის მეშვეობით უფლებების დაცვა იქნებოდა მხოლოდ ფორმალური, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა ადვოკატი გამოყენებული იქნებოდა ამ უკანასკნელის წარმომადგენლის მიერ საკუთარი მარწმუნებლის ინტერესების სასიკეთოდ.[134]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ვარაუდი ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის თაობაზე ყოველთვის არსებობს და ადვოკატმა უნდა გააცნობიეროს, რომ თუკი მისი საქმიანობა ყოფილ ან არსებულ კლიენტს უკავშირდება, მაგრამ არა იმგვარად, როგორც ამას საჩივრის ავტორი აღნიშნავს: „მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი საკმარისი საფუძველია ადვოკატის ქმედების ეთიკის კოდექსის დარღვევად მიჩნევისათვის". მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სახეზე შესაძლებელია იყოს ინტერესთა კონფლიქტი ან ამგვარის წარმოშობის საფრთხე. ზოგადად ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) წინააღმდეგ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელება არ ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალ-დებულების დარღვევას. კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ან ასეთის საფრთხის არსებობა უნდა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტისგან (მარწმუნებლისაგან) მიღებული, განდობილი ან მისი საქმის წარმოებისას ნებისმიერი წყაროთი მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) ინტერესების საწინააღმდეგოდ. ეთიკის კომისიისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა სახის ინფორმაციას ფლობდა და რა გამოიყენა ადვოკატმა ბანკის, როგორც ყოფილი მარწმუნებლის წინააღმდეგ.[135]

134 იქვე
135 იქვე

ადვოკატმა საკუთარი ნებით კეთილსინდისიერად დააყენა სასამართლოს წინაშე ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შესახებ საკითხი. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის სახელზე დაწერილ განცხადებაში მან მიუთითა, რომ ბანკში მისი მუშაობისას აღნიშნული დავა მის წარმოებაში არ იყო, თუმცა, ფორმალურად ერთხელ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა საქმეში, სადაც მარწმუნებლის (ბანკის) მითითებით მოქმედებდა.[136]

ადვოკატმა ბანკის წარმომადგენლად მონაწილეობა მიიღო იმ პროცესში, რომელიც გადაიდო, შესაბამისად, საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. ასევე, მან ჩაიბარა ერთ-ერთი განჩინება აღნიშნულ საქმეზე. საჩივრის ავტორი ასევე ადასტურებს, რომ ამხანაგობის საქმეში ადვოკატი ფორმალურად იყო ჩართული და მას რეალური მონაწილეობა არ მიუღია.[137]

სასამართლო საქმის განხილვის სააპელაციო ეტაპზე საქმეში ადვოკატის ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვაზე ბანკის წარმომადგენელს პროტესტი არ განუცხადებია. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის დუმილი აღნიშნული ფაქტის მიმართ, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს, როგორც თანხმობა მეორე მხარის სასარგებლოდ საქმეში ადვოკატის ჩართვის თაობაზე. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტად ვერ დაკვალიფიცირდება შემთხვევა, როდესაც ყოფილი კლიენტის ინფორმირებული თანხმობა არსებობს ადვოკატის მეორე მხარის სასარგებლოდ საქმეში ჩართვის თაობაზე.[138]

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა მომჩივანის მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ბანკში მუშაობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა ყოფილი მარწმუნებლის საწინააღმდეგოდ. ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში იგი მოსარჩელის მიერ პირველ ინსტანციაში დაფიქსირებულ პოზიციას დაეთანხმა და მითითებული მტკიცებულებებიც ბანკის მიერ იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლო სხდომის ოქმებითაც დასტურდება. სასამართლოს სხდომაზე მთელი პროცესის განმავლობაში დავა იყო ამხანაგობის საბანკო ამონაწერზე, რომლის მოპოვების უფლება აქვს ამხანაგობის ნებისმიერ წევრს, მითუმეტეს თავმჯდომარეს, შესაბამისად, ეს არ იყო ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის მოპოვება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბანკის თანამშრომლის მიერ, რომელიც წარმომდგენლის სახით მოქმედებდა მარწმუნებლის ინტერესებისათვის. კომისიამ გაიზიარა ადვოკატი განმარტება იმ გარემოების შესახებ, რომ ბანკის თანამშრომელი მარტივად ვერ აიღებდა ხსენებულ ამონაწერს, რადგან მას მოუწევდა დასაბუთება, თუ რისთვის სჭირდებოდა დოკუმენტი. ეს ამონაწერი ბანკმა დაურთო თავის სარჩელს, შესაბამისად, ამ ამონაწერის, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების გაცნობა ხელმისაწვდომი იყო მოწინააღმდეგე მხარისათვის. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია იმის

136 იქვე
137 იქვე
138 იქვე

დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ კონკრეტულად რომელი ინფორმაცია გამოიყენა მის წინააღმდეგ ადვოკატმა და ასეთი ინფორმაცია ადვოკატს მიღებული ჰქონდა ბანკისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას.[139]

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ამხანაგობის საქმეში ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვისას ადვოკატს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და კონფიდენციალურობის ვალდებულება.[140]

6.2.3 პირადი ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმები ითვალისწინებს თავად ადვოკატისა და კლიენტის ინტერესების დაპირისპირებასაც. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების შესრულებას შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას კლიენტთან საქმიანმა გარიგებამ, ადვოკატის ფინანსურმა ინტერესმა, ახლო ნათესაურმა კავშირმა, ჰონორარის გადამხდელის ინტერესმა და ნებისმიერი მესამე პირის ინტერესმა, რომლის მიმართაც ადვოკატს ვალდებულებები გააჩნია.

პირად ინტერესთა კონფლიქტს აპეკ-ის 2006 წლის რედაქცია პირდაპირ არ აწესრიგებდა მე-6 მუხლით, მაგრამ ამ მუხლში შესული დამატებით, „ბ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც „კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.“[141]

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატს ევალებოდა დაეცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის დროსაც ადვოკატი დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული

139 იქვე
140 იქვე
141 აღნიშნულ თემაზე შეგიძლიათ იხილოთ ეთიკის საქმიანობის გამოცემაში 2010-2013 წ.წ. განხილული ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 046/12, 12 დეკემბერი, 2012 წელი http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/12_12_2012_saqme_046_12.pdf

და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.“ [142]

6.2.4 ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება ვრცელდება ასევე ინტერესთა კონფლიქტის წარმოქნის საფრთხეზეც, ვინაიდან ადვოკატი ახალი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე ვალდებულია შეაფასოს, არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე.[143]

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობისას ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დარღვევის თაობაზე იმსჯელა კომისიამშემდეგგადაწყვეტილებაში: კლიენტმამიმართაადვოკატსიურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე. კლიენტი აწარმოებდა სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ დავებს მოწინააღმდეგე მხარეების შპს A, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე B-ესა და საქართველოს მოქალაქეების: C-ესა და ნოტარიუს D-ს მიმართ, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, ისე პროკურატურაში, ქონების უკანონოდ განკარგვასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმებამდე, ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე დახმარებას უწევდა კომპანიას შპს A-ს, რომლის წარმომადგენელმა ის დააკავშირა საჩივრის ავტორს. ადვოკატმა საჩივრის ავტორს იურიდიული მომსახურება გაუწია სისხლის სამართლის საქმეზე C-ისა და ნოტარიუსის D-ს წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნის თაობაზე. სამოქალაქო დავაში საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ შპს A, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე B და საქართველოს მოქალაქეები: C და ნოტარიუსი D. მოცემულ საქმეზე, საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეების B-სა და შპს A-ს სააპელაციო შესაგებელზე ხელი მოაწერა ადვოკატმა, როგორც წარმომადგენელმა.[144]

მომჩივანის განმარტებით, ის დაუკავშირდა ადვოკატს და მოსთხოვა განემარტა, თუ რატომ იყო სააპელაციო შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად მითითებული მისი სახელი და გვარი. ადვოკატმა განუმარტა, რომ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას მხოლოდ სისხლის სამართლის კუთხით ახორციელებდა პროკურატურაში, ხოლო სამოქალაქო სამართლის კუთხით დაიცავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ინტერესებს, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა. მომჩივანმა შეიტყო, რომ ადვოკატმა

142 იქვე
143 აპეკ-ი, მუხლი 6
144 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 023/15, 22 ივნისი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2016/01/29/f05850941e64fb408172824f038c249e.PDF

პროკურატურაში წარადგინა განცხადება, რომელშიც უთითებდა, რომ წყვეტდა მომჩივანის დაცვას.[145]

ადვოკატის განმარტებით, იგი წლებია იცავდა შპს A-ს სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატი მომჩივანს იცავდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე C-ისა და ნოტარიუსის D-ეს წინააღმდეგ. მომჩივანი ადვოკატს შპს A-სა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე B-ეს საქმეზე წარმომადგენლის მეშვეობით დაუკავშირდა და მან თავიდანვე იცოდა, რომ ადვოკატს მათ წინააღმდეგ არ ჰქონდა საქმის წარმოების უფლება. იმავდროულად B-ეს ადვოკატის სახელზე გაცემული ჰქონდა მინდობილობა. B არ იმყოფებოდა საქართველოში, ვერ ახერხებდა მინდობილობის სხვა პირზე გაცემას და სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობით ირღვეოდა მისი უფლებები. აღნიშნულის გამო სააპელაციო შესაგებელს ადვოკატმა მოაწერა ხელი. მას B-ეს საქმეზე წარმომადგენლობა არ უწარმოებია, მასთან შეთანხმება არ გაუფორმებია და არც ჰონორარი მიუღია. ადვოკატის მონაწილეობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ სააპელაციო შესაგებლის წარდგენით მითითებულ საქმეზე. ადვოკატმა ორივე მხარეს აცნობა, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას ვერცერთ საქმეზე და თვითაცილების წერილიც გაუგზავნა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორს.[146]

ეთიკის კომისიამ მოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოში სააპელაციო შესაგებლის წარდგენა წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას. ადვოკატი ერთდროულად ახორციელებდა, როგორც საჩივრის ავტორის, ისე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რითაც უხეშად დაარღვია ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატმა ეჭვქვეშ დააყენა მის მიმართ კლიენტის ნდობა და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.[147]

კომისია ადვოკატის განმარტებაზე, რომ ის საჩივრის ავტორს შეუთანხმდა მხოლოდ სისხლის სამართლის წარმოებისას იურიდიული დახმარების გაწევაზე, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარეს არც კი ჰქონოდა მნიშვნელობა, რადგან ინფორმაციის ფლობა, რომელიც მომჩივანისგან ადვოკატს გააჩნდა, წინააღმდეგობრივ საფრთხეს შეიცავდა, ცალკე სამოქალაქო დავისას, მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინფორმაციის ისევ ამ ადვოკატის ხელთ არსებობასთან. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ვერ განსაზღვრა, თუ რამდენად არსებობდა ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის აშკარა საფრთხე.[148]

145 იქვე
146 იქვე
147 იქვე
148 იქვე

კომისიამ აღნიშნულ საქმეში ყურადღება გაამახვილა ადვოკატის ვალდებულებაზე, ახალი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე, შეაფასოს ის რისკები, რაც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხესთან, რამაც შესაძლოა ნდობის პრინციპის დარღვევის და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე შექმნას.[149]

ადვოკატმა, რომელმაც კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას, წარმოადგინა სხვა კლიენტი, რომლის პოზიცია ყოფილი კლიენტისგან განსხვავებით არსებითად საწინააღმდეგოა იმავე ან დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული.[150]

2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე №015/10 განმარტა, რომ „ნდობის პრინციპი უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევასა და განხორციელებულ წარმომადგენლობას. ნდობის პრინციპზე დაფუძნებით, კლიენტს გააჩნია მოლოდინი, რომ ადვოკატი განახორციელებს მისი ინტერესების დაცვასა და მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული მისი ინტერესების საზიანოდ.“[151]

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ. ადვოკატს მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია, როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ, რაც ადვოკატის მიმართ ნდობასა და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას უკავშირდება. მით უფრო, რომ ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის მიუხედავადაც გააჩნია კონფიდენციალური ინფორმაციის და ნდობის დაცვის პრინციპი. ინტერესთა კონფლიქტი კი სწორედ ამ პრინციპების დარღვევას უკავშირდება.[152]

კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი არ იყო ის ფაქტი, იმყოფებოდა თუ არა საჩივრის ავტორის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარე - B სამართალწარმოების მიმდინარეობისას საქართველოში, რადგან მის მიერ ადვოკატზე გადაცემული ნოტარიული უფლებამოსილება და ადვოკატის მიერ არსებითი ხასიათის დოკუმენტზე (სააპელაციო შესაგებელი) ხელმოწერა, როგორც წარმომადგენლის მიერ და შემდგომ აღნიშნულის სასამართლოში წარდგენა ინფორმაციის შესწავლა-დამუშავებას გულისხმობს, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციისა, რაც ნდობის დარღვევისა და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხეზე მიუთითებს, რომელიც ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის აშკარა საფრთხის არსებობის გაუთვალისწინებლობის შედეგია.[153]

149 იქვე
150 იქვე
151 იქვე
152 იქვე
153 იქვე

კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის განსაზღვრის არარსებობამ გამოიწვია კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპების დარღვევა.[154]

ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის რეკომენდაცია, რომელიც ეხება ადვოკატის ორ კლიენტს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს. ადვოკატის შეკითხვა მგომარეობდა შემდეგში: როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი იმ დროს, როდესაც მის ორ კლიენტს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, ხოლო თუ ადვოკატი უარს ეტყვის ამ პირებს მომსახურებაზე, ისინი ვერ შეძლებენ მოკლე პერიოდში და ფინანსური სიდუხჭირის გამო ახალი ადვოკატის აყვანას და მათი ინტერესები დაზიანდება. მოცემული რეკომენდაციით განიმარტა, რომ „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის კლიენტებს შორის მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში რომელიმე მათგანის სასარგებლოდ მოქმედება, მეორის ინტერესების საწინააღმდეგოდ ასევე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის პრევენციის მიზნით, წინასწარ უნდა შეატყობინოს კლიენტებს, რომ შესაძლოა წარმოექმნას ვალდებულება შეწყვიტოს მათი ინტერესების წარმოდგენა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.[155]

ადვოკატს აქვს ვალდებულება დაიცვას ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ (აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი) წინასწარი გაფრთხილებით ადვოკატი თავიდან აიცილებს აღნიშნული რეგულირების შესაძლო დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი. ასეთი ქმედებით ადვოკატი თავიდან აიცილებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი.“[156]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციით ადვოკატს განუმარტა, რომ არ ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი მისი არსებული კლიენტისა და პოტენციური კლიენტის საერთო ინტერესის გამო და შეეძლო ორივე პირის წარმომადგენლობა. მოსარჩელე A-მ სარჩელი შეიტანა B-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის -

154 იქვე
155 წერილობითი რეკომენდაცია 005/14, 21 აგვისტო 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/30/12dc1abfe106c76134f3275e680a95d5.pdf
156 იქვე

3900 ევროს გადახდა. სარჩელის მიხედვით მოსარჩელე A-მ, ორი წლის წინ, საბერძნეთში გაიცნო ათენში სამუშაოდ ჩასული C, რომელმაც შესჩივლა, რომ საქართველოში ვალი ჰქონდა გადასახდელი. მოსარჩელეს შეეცოდა C და როგორც კი საშუალება გაუჩნდა, C-ს მეუღლეს საქართველოში საბერძნეთიდან გადაურიცხა 3900 ევრო, ისე, რომ B-სთან არც ზეპირი და არც წერილობითი გარიგება არ დაუდია სესხის თაობაზე.[157]

B-მ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ ორი წლის წინ საბერ-ძნეთიდან დაურეკა ცოლმა C-მ და უთხრა, რომ შვიდი ქალი თამაშობდნენ ლატარეას თვეში 500 ევროს დადებით. იგი რიგით მეორე იღებს ლატარეის ფულს და ლატარეის თამაშის ხელმძღვანელი პირი -მოსარჩელე გადმოუ-რიცხავს ამ თანხას და დამატებით კიდევ 400 (ოთხას) ევროს, სულ 3900 ევროს; B-მ ასევე მიუთითა, რომ მისი მეუღლე მომდევნო სამი თვის შემდეგ დარჩა უმუშევარი და დაედო ვალი 1100 ევრო ლატარეის თამაშის, რაც მას უნდა გადაეხადა, ანუ მის მეუღლეს. [158]

მოპასუხემ მოითხოვა საქმეში მისი ცოლის, C-ს ჩაბმა მოპასუხედ, რადგან თვითონ არასათანადო მოპასუხეა. სასამართლომ საქმეში მოპასუხედ დატოვა B. ამასთან მისი ცოლი C საქმეში ჩააბა მესამე პირად.[159]

საბერძნეთში მყოფ C-ს სურს მისი ადვოკატ-წარმომადგენელი იყოს იგივე ადვოკატი, რომელიც იცავს მისი მეუღლის, B-ს ინტერესებს. C-ს სურვილია იყოს არა მესამე პირი, არამედ მოპასუხედ ჩაებას საქმეში, რათა წარმომადგენლის მეშვეობით შეგებებული სარჩელით მიმართოს სასამართლოს. როგორც B., ისე C. არ უარყოფენ, რომ C-ს მოსარჩელისათვის გადასახდელი აქვს 1100 ევრო. C-ს და B-ს აქვთ ამ საქმეში საერთო ინტერესი.[160]

კომისიამ განმარტა, რომ B-ესა C-ს გააჩნიათ საერთო ინტერესი და მათი პოზიცია თანმხვედრია სარჩელთან მიმართებით. ასევე, ფაქტობრივ გარე-მოებებს ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებით ისინი იდენტურად ხსნიან და, აქედან გამომდინარე, აღიარებენ მხოლოდ 1100 (ათას ასი) ევროს დავალიანებას. შეკითხვაში მითითებული გარემოებები, სავარაუდოდ, არ წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტს. ადვოკატის კლიენტის, B-ს ინტერესები არ ეწინააღმდეგება მისი შესაძლო მომავალი კლიენტის, C-ს ინტერესებს, რაც გულისხმობს იმას, რომ C-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგაც, მოცემულ ვითარებაში, მათი ინტერესები საერთო იქნება. აღნიშნული ადვოკატს ანიჭებს უფლებას წარმოადგინოს C–ს და B–ს ინტერესები.[161]

---

157 წერილობითი რეკომენდაცია 008/14, 10 ოქტომბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/10/10/2c419f0a4da2361e199a3d6e2d57ea5b.pdf
158 იქვე
159 იქვე
160 იქვე
161 იქვე

კომისიამ აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია C-სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას, ან ცალკე წერილობითი დოკუმენტით, ადვოკატმა განუმარტოს მას, რომ C-სა და B-ს შორის, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ინტერესთა კონფლიქტის, ან ასეთის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, იგი ვალდებული იქნება შეწყვიტოს ორივე კლიენტის წარმომადგენლობა, ამასთან, ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც C-ს, ისე B-ს საქმეზე ძალაში რჩება თავისი სამართლებრივი შედეგებით და ადვოკატს უფლება ექნება C-სთან და B-სთან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი დაიტოვოს. ასევე, ადვოკატმა, შესაძლო გართულებების პრევენციის მიზნით, სასურველია წერილობით დააფიქსიროს აღნიშნული ურთიერთობები და მოქმედებები.[162]

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობისას „ადვოკატმა, უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა ორივე კლიენტთან.“ [163]

6.3 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციები შესრულების შეზღუდვა

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებით ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციები შესრულების შეზღუდვა გაავრცელა იმ შემთხვევაზეც, როდესაც ადვოკატი ასრულებდა არბიტრაჟის თავმჯდომარის მოვალეობას საქმის განხილვაში და შემდეგ ამავე საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულებისას განაგრძო საადვოკატო მომსახურების განხორციელება, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, შესა-

162 იქვე
163 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 087/14, 08 მაისი 2015 წელი

ბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული.“[164]

6.4 „გავრცელებული” ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის ბიუროზე გავრცელება გულისხმობს, რომ ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტი ვრცელდება მთელ საადვოკატო ბიუროზე, ვინაიდან ივარაუდება, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებისთვის ერთმანეთის საქმეებზე ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია და როდესაც ერთი საადვოკატო ბიურო წარმოადგენს საწინააღმდეგო ინტერესის მქონე კლიენტებს, არსებობს ადვოკატთა მიერ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ან კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის მოვალეობის დარღვევის საფრთხე. ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტის მთლიან ბიუროზე გავრცელება გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ კოლეგები ინაწილებენ შემოსავალს, რეპუტაციასა და სამომავლო პერსპექტივებს.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“ აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვა ადვოკატებზე გავრცელდება კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლქტის ან მისი წარმოქმის მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას და არა როდესაც ადვოკატს პირადი ინტერესთა კონფლიქტი აქვს.[165]

ევროგაერთიანების ეთიკის კოდექსი ზოგადად ეხება მოცემულ საკითხს და ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმებს, რომელიც კონკრეტულ ადვოკატს ეხება, ავრცელებს მთელ საადვოკატო ბიუროზე და მის წევრებზე.[166]

---

164 შეგიძლიათ იხილოთ ეთიკის კომისიის საქმიანობის გამოცემაში 2010-2013 წ.წ. განხილული შემდეგი გადაწყვეტილება: ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #100/11, 08 იანვარი, 2013 წელი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით #დს-ბ/3-13 უცვლელი დარჩა. http://gba.ge/axali/08.01.2013saqme10011.PDF

165 მოცემულ საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ ეთიკის კომისიის საქმიანობის გამოცემაში 2010-2013 წ.წ. განხილული შემდეგი გადაწყვეტილება: ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #016/11, 22 მარტი, 2011 წელი

166 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 3.2.4 http://new.gba.ge/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis_qcevis_kodeqsi.pdf

ეთიკის კომისიას წერილობითი შეკითხვით მომართა ადვოკატმა ექნებოდა თუ არა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს ან მისი შექმნის საფრთხეს თუ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატმა „ბ“-მ უარი განუცხადა კლიენტ „გ“-ს საადვოკატო მომსახურებაზე, ვინაიდან მისი ინტერესები მოცემულ საქმეზე უკავშირდებოდა ყოფილი კლიენტ „ა“-ს საქმეს, ხოლო ახლა ამავე საადვოკატო ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს - „ც“-ს ჰქონდა სურვილი იურიდიული მომსახურება გაეწია კლიენტ „გ“-სთვის. [167]

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატი „ბ“ და ადვოკატი „ც“ მუშაობენ ერთ საადვოკატო ბიუროში. შეკითხვაში აღნიშნულ კლიენტებს შორის სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან მათი საქმე ერთმანეთს უკავშირდება. „ა“ წარმოადგენდა საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატის კლიენტს. შესაბამისად, კლიენტ „ა“-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა იგივე საადვოკატო ბიუროს სხვა ადვოკატის მიერ, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის დარღვევას და ადვოკატ „ც“-ს მიერ კლიენტ „გ“-სათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევის შემთხვევაში სახეზე იქნება ინტერესთა კონფლიქტი.[168]

6.5 ადვოკატის მოვალეობანი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, ისევე, როგორც ევროგაერთიანების ეთიკის კოდექსი, არ ითვალისწინებს ადვოკატის უფლებას ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას ან მისი წარმოქმნის საფრთხის შექმნისას გააგრძელოს საადვოკატო საქმიანობა კლიენტთათვის ინფორმაციის გამჟღავნებისა და ინფორმირებული თანხმობის მიღების გზით. ასეთ დროს ადვოკატი ვალდებულია კლიენტს აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და მოშალოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევაში, ადვოკატი არ უნდა დათანხმდეს კლიენტს საადვოკატო მომსახურების გაწევაზე ან თუ კონფლიქტი წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა უნდა აცნობოს ამის შესახებ კლიენტს. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი მხოლოდ ხელშეკრულების მოშლაზე მიუთითებს, ხოლო კლიენტის ინფორმირების მოვალეობას „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე” ქვეპუნქტი განსაზღვრავს. კლიენტის ინფორმირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

---

167 წერილობითი რეკომენდაცია 007/15, 07 სექტემბერი 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/05/21/d014d1866780410317dd791367f02749.pdf

168 იქვე

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის ან წარმოშობის საფრთხის შექმნისას, ადვოკატი ვალდებულია მოცემულ საქმეზე ყველა კლიენტთან შეწყვიტოს ხელშეკრულება. ერთობლივი წარმომადგენლობისას, კლიენტის თანხმობის შემთხვევაშიც კი, ადვოკატი არ არის უფლებამოსილი კლიენტებიდან ერთ-ერთის ინტერესების დაცვა გააგრძელოს.[169] აღნიშნული აკრძალვა სავარაუდოდ გამომდინარეობს იქიდან, რომ ადვოკატისათვის ცნობილია მოცემულ საქმეზე თითოეული კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ ერთ-ერთი კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სხვა კლიენტებს აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის მის სასარგებლოდ გამოყენებით.[170]

---

169 აპეკ-ი, მუხლი 6, ნაწილი 5

170 მოცემულ საკითხებზე შეგიძლიათ იხილოთ ეთიკის კომისიის საქმიანობის გამოცემაში 2010-2013 წ.წ. განხილული შემდეგი გადაწყვეტილებები:
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #027/11, 20 აგვისტო, 2011 წელი
http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.08.11.pdf
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #015/10, 20 აპრილი, 2011 წელი
http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/20.04.2011.pdf

მუხლი 7.
კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)

კოლეგიალობის პრინციპის არსი აპეკ-ის მე-7 და მე-10 მუხლების ერთობლივი გააზრებით უნდა მოხდეს. კოლეგიალობის პრინციპი ერთ-ერთია იმ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპთაგან, რომლის დაცვის ვალდებულება ეკისრება ადვოკატს და არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.[171]

კოლეგიალობის პრინციპს ასევე ეხება „გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ," რომლის მიხედვით ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.[172]

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობასა და თანამშრომლობას, მათი კლიენტების სასარგებლოდ და არასაჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისათვის საზიანოა, თუმცა, ზემოაღნიშნული არ ამართლებს კლიენტის ინტერესებზე მაღლა პროფესიის ინტერესების დაყენებას. ადვოკატმა, წევრი სახელმწიფოების ყველა ადვოკატი პროფესიულ კოლეგებად უნდა აღიაროს და მათ მიმართ სამართლიანად და პატივისცემით უნდა იმოქმედოს.[173]

ადვოკატთა ეთიკის კოდექსის პრეამბულაში, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საუბარია ადვოკატის ვალდებულებაზე, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

---

171 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 65

172 გაეროს ძირითადი პრინციპები "ადვოკატის როლის შესახებ"

173 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

„ეთიკის კოდექსი მოცულობით ლაკონიურია და სტრუქტურულად პირველ თავში აერთიანებს ძირითად პრინციპებს, რომლებიც არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის სახელმძღვანელო საწყისებია, არამედ ადვოკატს, როგორც სტატუსის მქონე პირს, ავალდებულებს თავისი ქმედებებით დაადასტუროს პროფესიული ღირებულებებისადმი პატივისცემა. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებამ „პროფესიული ღირებულებების" ცნება შემოეტანა კოდექსში, ადვოკატთა საერთო კრებაზე მხარდაჭერა მოიპოვა და ერთმანეთთან კონცეპტუალურად დააკავშირა კოდექსის პირველ თავში (მოიცავს მუხ.მუხ. 1-7) ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები. ხსენებულმა ცვლილებამ კიდევ ერთხელ ასახა პროფესიული ვალდებულებების დაცვის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულება.[174] თითოეული ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება მაღალზნეობრივი ეთიკური ვალდებულებების დაცვით[175] უზრუნველყოფს პროფესიისადმი ერთგულ ადვოკატთა კოლეგიალურ თანაარსებობას და საზოგადოების რწმენის გაძლიერებას ამ პროფესიისადმი. „თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან."[176]

174 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 3, ქვეპუნქტი „თ".
175 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 5, ქვეპუნქტები „ა", „ბ"
176 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 66

მუხლი 8.
ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

***1.** ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.*

***2.** ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.*

***3.** ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.*

***4.** ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)*

***5.** ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.*

***6.** ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.*

***7.** ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.*

***8.** ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)*

***9.** ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.*

***10.** ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)*

***11.** ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)*

***12.** ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.*

***13.** ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.(08.12.2012)*

***14.** ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.*

***15.** კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)*

1. ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის დაწყება

8.1. „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევებისა“.

ადვოკატს, პროფესიული ეთიკის ძირითადი ვალებულებები კლიენტის მიმართ, ეკისრება მას შემდეგ, რაც მასსა და კლიენტს შორის იწყება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობების დასაწყისის ზუსტი დროის განსაზღვრა.[177]

ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლის თანახმად ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობები შეიძლება დაიწყოს კლიენტთან ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან შეთანხმებით ან სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ადვოკატის დანიშვნით.

1.1 ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის დაწყება ურთიერთშეთანხმებით

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციით განმარტა ეთიკურია თუ არა ადვოკატის უარი მომსახურების გაწევაზე, როდესაც კლიენტი არ უხდის ადვოკატს ადრე გაწეული მომსახურების საფასურს და მოგვიანებით კვლავ მიმართავს ახალი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით.[178]

კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შეთანხმების ფორმით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას.

---

177 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 68

178 წერილობითი რეკომენდაცია 013/14, 28 ნოემბერი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/01/655ef3ca07b0d8c08293987d6495dc72.pdf

პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი.[179]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელ-შეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“[180]

ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი. ხელშეკრულების თავისუფლების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ხელშეკრულების შინა-არსის თავისუფალი განსაზღვრის უფლება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე. მათ უფლება აქვთ მათ შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ ისე, როგორც სურთ, თუმცა, აუცილებელია კანონის ფარგლებში მოქმედება.[181]

შეკითხვის მიხედვით, ადვოკატსა და კლიენტს შორის ადრე წარმოშობილი ურთიერთობა დასრულებულია-ადვოკატმა გაუწია მომსახურება კლიენტს კონკრეტულ საქმეზე, რაზეც კლიენტმა არ გადაუხადა მომსახურების საზღაური. შეკითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტს შორის ადრე არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ამოწურულია და ადვოკატს არ აქვს ვალდებულება მომსახურება გაუწიოს ყოფილ კლიენტს ძველი სამართლებრივი ურთიერთობის გამო.[182]

კომისიის რეკომენდაციით, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ სურს კონკრე-ტულ პიროვნებას გაუწიოს იურიდიული მომსახურება, ხელშეკრულების თა-ვისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მას აქვს უფლება უარი თქვას აღნიშნულზე. ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხოლო სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინ-ციპის შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია აირჩიოს როგორც კონტრაჰენტი, ისე განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი. შესაბამისად, ადვოკატის იძულება, განახორციელოს გარკვეული ქმედება, გარდა კანონით და პროფესიული ეთი-კით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია.[183]

179 იქვე
180 იქვე
181 იქვე
182 იქვე
183 იქვე

კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას მიუთითა შესაძლო შემთხვევაზე, რომ-დესაც პოტენციური კლიენტი გააცნობს ადვოკატს ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით, თუმცა მათ შორის ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა აღარ გრძელდება შეთანხმების ფორმით, ადვოკატი ასეთ დროს ვალდებულია კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე არ გაამხილოს კონსულტაციის დროს მიღებული ინფორმაცია. ადვოკატმა ინფორმაცია მოისმინა შესაძლო წარმომადგენლის როლში, რაც, პროფესიის მაღალი სტანდარტიდან გამომ-დინარე, წარმოშობს ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას დროში შეუზღუდავი-კონფიდენციალობის ვალდებულება.[184]

1.2 შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი პირი

შეთანხმებაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს კლიენტის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, მეგობარი ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს კლიენტის ნდობით და უფლებამოსილია და-დოს შეთანხმება ადვოკატთან. კლიენტისგან ადვოკატის აყვანის უფლება-მოსილების არსებობისთვის არ არის აუცილებელი მესამე პირს გააჩნდეს ადვოკატის აყვანის მინდობილობა. საკმარისია, როცა სახეზეა, რომ მესამე პირი ნამდვილად მოქმედებს კლიენტის ნების გათვალისწინებით და მისთვის დებს შეთანხმებას ადვოკატთან. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი“. სამოქალაქო სამართალი იცნობს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს და კლიენტის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაც სწორედ ამ ტიპის ხელშეკ-რულებად ჩაითვლება. თუ მესამე პირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ ადვოკატი აღმოაჩენს, რომ კლიენტს არ სურდა მისი მომსახურება, მან უნდა გააუქმოს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ.[185]

კომისიის მიერ განხილულ ერთ–ერთ საქმეში ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მიწვევით და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა ბრალდების მხარის თხოვნითა და ინიციატივით მიიღო.[186]

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ დაცვის უფლებაზე ხელმისაწვდომობა ნიშნავს პირის შესაძლებლობას, დაიცვას თავი მის მიერ არჩეული დამცველის საშუა-ლებით, ანუ დაცვის უფლების განმარტებაში დომინირებს პირის სურვილის

---

184 იქვე

185 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 70

186 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 061/14 , 29 მარტი 2016 წელი

უზენაესობა - ჰყავდეს ის დამცველი, რომელიც მისი არჩეულია და რომელსაც ენდობა, გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა. სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის აყვანის შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 41-ე მუხლის მიხედვით, ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული, ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს არ უნდა ემოქმედა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის საწინააღმდეგოდ და ბრალდების მხარის თხოვნით არ უნდა გამოცხადებულიყო საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისათვის.[187]

ადვოკატსა და ბრალდებულს შორის ურთიერთობის დასაწყისიდანვე არ წარმოშობილა ნდობა, რადგან ადვოკატი არც ბრალდებულს და არც მისი ოჯახის წევრებს მოუწვევიათ ბრალდებულის ინტერესების დასაცავად. ამასთან, ადვოკატისთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებულის ოჯახს აყვანილი ჰყავდა ადვოკატი და დაკავებული პირი პოლიციაში ელოდებოდა მის მოსვლას. ადვოკატის განმარტებით, მას ძირითადად სამოქალაქო სამართლის საქმეებზე უწევდა მუშაობა და სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა.[188]

ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს, პოლიციის შენობაში მისვლისას აცნობა, რომ იქნებოდა მისი ადვოკატი და მონაწილეობას მიიღებდა საგამოძიებო ექსპერიმენტში. ეთიკის კომისიის აზრით ადვოკატის მსგავსი მოქმედება არ მიიჩნევა დაცვის განხორციელებაზე კლიენტთან შეთანხმებად. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაერთო საქმეში ბრალდების მხარის თხოვნით და ადვოკატმა გამოწერა ორდერი სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ უფლებამოსილების მიღებაზე ინფორმაციის მიწოდება კლიენტისთვის დაგვიანებული იყო. „გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეზე“. ბრალდების მხარის მოწვევის საფუძველზე მოცემულ საქმეში ჩართვა არღვევს აპეკ–ის 8.1 მუხლით დადგენილ ვალდებულებას, ადვოკატს არ წარმოშობია კანონით გათვალისწინებული უფლება, დაეცვა ბრალდებულის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე.[189]

187 იქვე
188 იქვე
189 იქვე

კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე "არტიკო იტალიის წინააღმდეგ" (1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, 33-ე პუნქტი) დაადგენილ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევას, დაცვის უფლების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელშიც განმარტებულია, რომ „კონვენცია მოწოდებულია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ მათი პრაქტიკული და ეფექტური განხორციელება. ეს განსაკუთრებით სამართლიანია დაცვის უფლებასთან მიმართებით, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც თავად უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლიდანაც ის გამომდინარეობს".[190]

2. ადვოკატის მიერ საქმის წარმოების თავისებურებანი - კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს კომპეტენტური პირის მითითებები

8.2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევებში

მოცემული ნორმა ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს კლიენტის მითითებებისშესაბამისად.მიუხედავადიმისა,რომნორმაშიასევესაუბარიაკლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის და კომპეტენტური პირის მითითებაზეც (სავალდებულო დაცვის შემთხვევებში), შეუძლებელია პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით გამართლებულად ჩაითვალოს თუ ადვოკატი იმოქმედებს კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის და კომპეტენტური პირის მითითებების საფუძველზე, კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ. ასეთი ვითარება შეუთავსებელი იქნებოდა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის არსთან და პროფესიული ეთიკის სხვა პრინციპებთან. ლოგიკურად, ეს ნორმა გულისხმობს და აღწერს იმ შემთხვევებს, როცა ადვოკატი ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობებში შედის არა თავად კლიენტთან შეთანხმებით, არამედ მის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ხოლო სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, კომპეტენტური პირის გადაწყვეტილებით. ამ დროს, ბუნებრივია, ადვოკატმა უნდა შეასრულოს კლიენტის ინტერესების დაცვის დაწყებისათვის ამ პირების მითითება. სიტყვა „მითითება" სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. თუმცა, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს დაცვა (შეასრულოს კომპეტენტური პირის მითითება სავალდებულო დაცვის განხორციელების შესახებ) იმის მიუხედავად, კლიენტი თანახმაა თუ არა. ეს გამომდინარეობს თავად სავალდებულო დაცვის არსიდან.[191]

190 იქვე

191 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე,

ცხადია, რომ ადვოკატს აქვს კლიენტის მხოლოდ კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება. ამის შესახებ პირდაპირ არ არის ამ ნორმაში აღნიშნული, თუმცა, ეს გამომდინარეობს პროფესიული ეთიკის სხვა ნორმებიდან და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან. კერძოდ, აპეკ–ის მე–5 მუხლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის კოდექსს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც კლიენტის ინტერესების დაცვას მხოლოდ კანონიერი საშუალებების გამოყენებით გულისხმობს.[192]

შეიძლება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობებში კლიენტის მითითება არ იყოს პირდაპირ კანონსაწინააღმდეგო, თუმცა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს ადვოკატის პროფესიულ პრინციპებთან. დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს (და არც უფლება აქვს) შეასრულოს ისეთი მითითებები, რომელიც ხელყოფს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპებს.[193]

3. გარანტიის მიცემის დაუშვებლობა

8.3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგთან დაკავშირებით

ეთიკის კოდექსი კრძალავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემას საქმის შედეგთან დაკავშირებით. ერთ–ერთ გადაწყვეტილებაში კომისიამ განმარტა: „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, რომ იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში

„ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 74

192 იქვე

193 იქვე

უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“[194]

გარანტიის მიცემის აკრძალვა არ გულისხმობს, რომ ადვოკატებმა არ აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული რისკების დონის და იურიდიული მომსახურების სავარაუდო დასრულების შესახებ მათი შეფასების თაობაზე.[195]

ამასთან, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დაპირება საქმის წარმატებით დასრულების შესახებ (რაც აკრძალულია აპეკ–ით) და დაპირება კვალიფიციურ წარმომადგენლობაზე. კვალიფიციური წარმომადგენლობის შესახებ დაპირება არ წარმოადგენს საქმის შედეგის შესახებ გარანტიის მიცემას და ასეთი დაპირება დასაშვებია.[196]

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს ყველა იმ მოსალოდნელი რისკის შესახებ, რომელიც თან ახლავს კონკრეტული საქმის წარმოებას, წინასწარი ზუსტი პროგნოზის გაკეთება საქმის მსვლელობის შესახებ არალოგიკურია, ვინაიდან სასამართლო პროცესი დისპოზიციური და შეჯიბრებითია, შესაბამისად, ადვოკატს არ აქვს უფლება მისცეს გარანტია კლიენტს მის საქმესთან დაკავშირებით.[197]

4. ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

8.4 ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2012 წლის 08 დეკემბერს აპეკ-ში შინაარსობრივად შეიცვალა მითითებული პუნქტი და სრულიად ახალი რეგულირება დააწესა. „აღნიშნული ნორმა ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (შემდგომში CCBE კოდექსი) რეგულირების რეცეფციის შე-

194 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 077/13, 12 ივნისი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/01/20/6492db2955d8b873fcf127e26cb38f94.PDF

195 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 74–75

196 იქვე

197 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 033/14 14 მაისი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/04/02/6565ad69aaf92bb26e56f09c02332a10.pdf

დეგია.[198] აღნიშნული რეგულირება CCBE კოდექსში ძირითად პრინციპებს შორის არის მოქცეული იმ დათქმით, რომ ეს პრინციპი გამოსაყენებელია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. როგორც ეს CCBE კოდექსის განმარტებით მემორანდუმშია მითითებული, პასუხისმგებ-ლობის შეზღუდვა დასაშვებია როგორც ხელშეკრულებით, ასევე საადვოკატო ბიუროს სამართლებრივ ფორმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგა-დოების ან სხვა ორგანიზაციული–სამართლებრივი ფორმის არჩევით, სადაც პასუხისმგებლობა შეზღუდულია. [199] [200]

საქართველოს შემთხვევაში გამოსაყენებელ კანონმდებლობას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმადაც ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით[201]. ამასთან კანონი კრძალავს წინასწარ შეთანხმებას განზრახი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების შესახებ.[202] [203]

აპეკ-ის მე-5 მუხლით დაუშვებელია კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგოდ მოქმედება, ამასთან, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმი ჯერჯერობით არ მუშაობს, შესაბამისად, "დაცვის ღირსია ადვოკატების ლეგიტიმური მიზანი, რომ შეამცირონ განსაზღვრული ჰონორარის სანაცვლოდ გასაწევი რისკი, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ საქმიანობას, იმ პირობით, რომ კლიენტი თანხმობას აცხადებს აღნიშნულზე. შესაბამისად ადვოკატის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდვა ცალსახად აღარ ჩაითვლება პროფესიული ეთიკის ნორმათა დარღვევად."[204].

ამ ეტაპისათვის, ეთიკის კომისიას არც საქმე განუხილავს მითითებული ნორ-მის პუნქტის შესაძლო დარღვევაზე და არც რეკომენდაცია გაუცია ამ სა-კითხზე. ცხადია, საინტერესო იქნება ეთიკის კომისიის პრაქტიკაში როგორ წარმოჩინდება ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის შეზღუდვა.

---

198 CCBE–ს კოდექსის 2.8 მუხლი (2006 წლის 19 მაისის რედაქციით, ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდზე www.gba.ge);

199 განმარტებითი მემორანდუმი (Explanatory Memorandum) , 2.8 მუხლის კომენტარი, გვ. 23 გამოქვეყნებულია www.ccbe.eu

200 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 75

201 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 410 მუხლი

202 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 395.2 მუხლი

203 ჟურნალი "ადვოკატი" N3- ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 27

204 იქვე, გვ. 28.

5. კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება

8.5 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა

ადვოკატის კვალიფიციურობა და კეთილსინდისიერება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობების ცენტრალური ფაქტორია. კლიენტს სჭირდება კეთილსინდისიერი ადვოკატის სპეციალური ცოდნა და უნარები, რამდენადაც თავად არ შეუძლია გაერკვეს რთულ სამართლებრივ საკითხებში. ასევე, დამატებით, ადვოკატთა კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა აუცილებელი პირობაა ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის.[205]

ადვოკატის ვალდებულებაა განახორციელოს შესაბამისი და კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად.[206]

5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი

კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის არსი ეთიკის კომისიას განმარტებული აქვს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში.

„ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება“.[207]

კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს კლიენტის დასაცავად ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. მათ შორის ადვოკატის ეს ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ადვოკატს ევალება „მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლში წარდგენისთვის.“[208]

---

205 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 76

206 იქვე

207 იქვე

208 იქვე

კვალიფიციური და კეთილსინდისიერი დაცვის ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება საქმის მასალების ფორმალური გაცნობა, თუმცა, თავად გაცნობის ხარისხი არ ექვემდებარება ეთიკის კოდექსით რეგულირებას.[209]

5.2 ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა გაცვლის წესების დარღვევა

ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ–ერთ საქმეში დარღვეული იყო მტკიცებულებათა გაცვლის წესი, თუმცა ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურება მთლიანობაში შეაფასა და არ დაადგინა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა.[210]

ადვოკატს უნდა დაეცვა ბრალდებულის ინტერესები გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატმა კლიენტის დაცვისას ბრალდების მხარეს სასამართლოში პირველ წარდგენამდე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გადასცა იმ დროისათვის მის ხელთ არსებული შესაძლო მტკიცებულებების ასლები, რაზეც შედგა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ. ბრალდების მხარისთვის გადაცემული ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ არ მოიცავდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობის ანალოგიურ შინაარსს, კერძოდ საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით გამოსაძახებელ პირთა წრეს, ვინც შექმნა ან მოიპოვა წერილობითი მტკიცებულებები, რასაც შედეგად დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა მოჰყვა. ადვოკატმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ დაეშვა დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მტკიცებულებად, მაგრამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ უარი ეთქვა.[211]

ადვოკატის პოზიციით, მან როგორც დაცვის მხარემ კანონის სრული დაცვით, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომდე 5 დღით ადრე ბრალდების მხარეს გადასცა მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ასლები, სულ - 65 ფურცელი და 2 ცალი CD, რაზეც გაფორმდა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ. პროკურორისთვის გადაცემულ მტკიცებულებათა გაცვლის ოქმში მითითებულია იმ მოწმეთა გამოკითხვის ოქმების ჩამონათვალი, ვინც სასამართლოში უნდა წარდგენილიყვნენ, მაგრამ არ არის მითითებული, რომ მოწმის სახით დაიკითხებოდნენ აღნიშნული პირები. მტკიცებულებათა გაცვლის ოქმში ცალკე უნდა ყოფილიყო მოწმედ დასაკითხი პირების ვინაობები მითითებული. შესაბამისად პროკურორს ვერ

209 იქვე
210 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 102/14, 15 აპრილი 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/06/18/d975cd8ad5849ff6ecaed606c4326e0c.pdf
211 იქვე

ეცნობა თუ ვის დაკითხავდა ადვოკატი სასამართლო პროცესზე. იმავე დღეს როცა პროკურატურას გაუცვალა ადვოკატმა მასალები, სასამართლოშიც შეიტანა მტკიცებულებები და იქ მიუთითა მოწმედ დასაკითხ პირთა ვინაობა. ადვოკატის შეფასებით, მან ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გაუცვალა და მხედველობიდან გამორჩა დასაკითხ პირთა სიის მითითება, რაც შეიძლება მექანიკურად გამორჩა, ვინაიდან სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა მოწმედ დასაკითხ პირთა სია.[212]

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ბრალდების მხარეს გაუცვალა მის ხელთ იმ დროისათვის არსებული ინფორმაცია მტკიცებულებების გაცვლის შესახებ, ანალოგიური ინფორმაცია წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც, სადაც მითითებულია მხოლოდ კონკრეტულ პირთა გამოკითხვის ოქმები, მაგრამ მასში მითითებული არ არის გამოკითხულ პირთა დაკითხვის მოთხოვნა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ ადვოკატს ჩაუთვალა სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დაღვევად და ადვოკატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სცნო დაუშვებლად. ადვოკატს აღნიშნული განჩინების გასაჩივრების უფლება ჰქონდა მხოლოდ განაჩენთან ერთად, რისი საშუალებაც მას არ მიეცა, ვინაიდან იგი კლიენტმა აიცილა მოცემული სისხლის სამართლის საქმიდან.[213]

ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადვოკატმა განახორციელა მთელი რიგი იურიდიული მოქმედებები, რაც კლიენტის დაცვისკენ იყო მიმართული. კერძოდ, ადვოკატმა დაცვის მტკიცებულებების მოპოვებისათვის მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით, ადვოკატმა მიიღო სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა არ დადგინდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე. იგივე დასკვნა გასცა საპატრულო პოლიციის გამომძიებლის მიერ მოთხოვნილი სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტმა; ადვოკატმა განცხადებით მიმართა აჭარის შ.ს მთავარი სამმართველოს დაცვის სამსახურის უფროსს; ადვოკატმა აწარმოა პირთა გამოკითხვები; ადვოკატმა წერილობითი მიმართვების საფუძველზე მიიღო პასუხები აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან; აჭარის ა.რ. საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოდან; „ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურის დირექტორისაგან - 1 ფ, 1 CD დისკი, 13.06.14; შპს E 2010 მაღაზიისგან - 1 CD დისკი, 13.06.14; ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის პასუხი, 1 CD დისკი (სასამართლო სხდომის ჩანაწერი); შ.ს

212 იქვე
213 იქვე

სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის პასუხი; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა.რ მთავარი სამმართველოს გამომძიებელთან, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აჭარის ა.რ პროკურატურის შ.ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორთან; ადვოკატმა დაწერა საკასაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებაზე; ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აჭარის ა.რ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ და მიიღო აჭარის შ.ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის პასუხი (უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე).[214]

კომისიამ მხედველობაში მიიღო ის არსებითი გარემოებები, რომ უშუალოდ ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ პატიმრობაში მყოფი, ამჟამად ეთიკის კომისიაში მომჩივანი განთავისუფლდა პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს არ აღიარებდა დანაშაულს და წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ თვლიდა. კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატის მიერ ახალი გარემოებებით ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძვლის არსებობის მოტივით არაერთი მტკიცებულებების ხარისხი, რამაც რეალურად ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეუქმნა რწმენა ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის პატიმრობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილების მიღების დროს. ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა უდავო პრიორიტეტია პატიმრობაში ყოფნასთან შედარებით და ყოველივე ეს განხორციელდა უშუალოდ ადვოკატის ძალისხმევით, მისი პროფესიული ჩვევების წყალობით, რაც დამთავრდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობიდან განთავისუფლებით და ადვოკატის ყოფილი კლიენტი დისციპლინური წარმოების მიმდინარეობისას თავისუფალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი სასამართლო პროცესები გრძელდებოდა. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა ვერ გადაფარავდა ადვოკატის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მისი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობიდან განთავისუფლების ხარისხს.[215]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ გამოძიების პროცესში მტკიცებულებების მოპოვების ფაქტი და დანიშნულება, წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის დაყენება მეტყველებს ადვოკატის პროფესიონალიზმზე და მისი ქმედების დადებით შედეგებზე კლიენტის ინტე-

214 იქვე
215 იქვე

რესების სასარგებლოდ, რამეთუ მტკიცებულებათა მოპოვების და წარდგენის საპროცესო ვალდებულება ადვოკატს არ გააჩნია, მას გააჩნია პროფესიული ინტერესი, რაც ამ ინტერესის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვისკენ არის მიმართული. ადვოკატის კანონისმიერი ფორმის დაუცველობა მისი მოპოვებული მტკიცებულებების დაშვების მაღალი ალბათობისათვის რეაგირებული იქნა ბრალდების მხარის მიერ, რომლის შუამდგომლობის საფუძველზე მოხდა სასამართლო განჩინებით არ დაშვება დაცვის მხარის მტკიცებულებებისა. გასათვალისწინებელია პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი და მოსამართლის ფართო დისკრეცია მტკიცებულებათა დაშვების კომპეტენციისას. წინასასამართლო სხდომის დროს ყოველთვის არსებობს მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის რისკი და ამის საფუძველი არა მხოლოდ საპროცესო (ფორმალური) მდგომარეობაა, არამედ მოწინააღმდეგე მხარის საწინააღმდეგო პოზიცია და მისი ტაქტიკური ფორმატი ეცადოს არ დაუშვას მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებები. ამიტომ ადვოკატის პროფესიული ქცევის შესაბამისობა ეთიკის კოდექსთან და კანონთან არ უნდა იქნეს ერთ ფრაგმენტში განხილული, არამედ ერთობლიობაში, რაც ადვოკატის პროფესიულ არაეთიკურ კონტექსტზე არ საუბრობს და ნაკლებად აყენებს ზიანს ნდობას, რომელსაც ეფუძნება მეტწილად პროფესიული ფასეულობები.[216]

5.3 საზოგადოებრივი ადვოკატის განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება

ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად, კლიენტთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება საზოგადოებრივ ადვოკატს, რადგან სავალდებულო დაცვისას სახეზე არ არის „კლასიკური“ ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებაც განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თავად იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, ასევე, ეთიკის კომისიის მიერ პროფესიული ეთიკის საკითხებზე.[217]

ამდენად, ეთიკის კომისია აპეკ–ის 8.5 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის ფარგლებში განსაკუთრებულ გულისხმიერებას ითხოვს საზოგადოებრივი ადვოკატისგან. ერთ-ერთ საქმეში ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ საზოგადოებრივმა ადვოკატმა კლიენტი უნდა დაიცვას განსაკუთრებული გულისხმიერებით, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების კვალიფიცი-

216 იქვე

217 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 78

ურად წარმოდგენას. აღნიშნული მოიცავს კლიენტთან დაცვის სტრატეგიის შეთანხმებას, კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და მისგან უფლებამოსილების მიღებას შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე.[218]

ბრალდებულის განმარტებით, მან საქმის მასალების გაცნობისას აღმოაჩინა, რომ მის მიმართ ბრალის წარდგენასა და დაკითხვას ესწრებოდა საზოგადოებრივი ადვოკატი, მაშინ როცა მას აღნიშნული ადვოკატი არასდროს უნახავს. იგი აღნიშნავდა, რომ მის საქმეში არსებული ადვოკატის ორდერი ვადის დარღვევით იყო გამოწერილი, რადგან ის დაკითხვის დღეს საღამოს 20:00 საათამდე იმყოფებოდა ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების შენობაში და ადვოკატს მონაწილეობა არ მიუღია საქმეში, არ ფლობდა ინფორმაციას და მხოლოდ ხელი მოაწერა ბრალის წარდგენისა და დაკითხვის ოქმებს.[219]

ადვოკატის განმარტებით, ის სათანადო ორგანოს მიმართვის საფუძველზე ახორციელებდა მომჩივანის დაცვას კანონით დადგენილი წესით. მან ბრალდებულს განუმარტა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები, ასევე, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის საკითხები. ბრალდებულმა გამოხატა თანხმობა, რომ მისი ინტერესები დაეცვა სავალდებულო წესით დანიშნულ ადვოკატს და შესაბამისად, ყველა საპროცესო დოკუმენტზე მოაწერა ხელი. ადვოკატის საქმეში მონაწილეობა საჩივრის ავტორის დაკითხვისა და ბრალდების წარდგენის დროს, დასტურდება საქმეში არსებული ორდერით, დაკითხვისა და ბრალდების წარდგენის ოქმებზე ხელმოწერებით.[220]

ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტება არის მის მიერ დაწერილი და ამ განცხადების ტექსტი მან აკრიფა პოლიციის კანცელარიაში, იქ მდგომ კომპიუტერზე.[221]

კომისიის მიერ ვერ დადგინდა სადაო გარემოება, რომ საზოგადოებრივი ადვოკატი არ დასწრებია ბრალდებულის ბრალის წარდგენასა და დაკითხვას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი იყო ადვოკატის ხელმოწერილი ოქმები, ხოლო სხვა მტკიცებულება იმისა, რომ ოქმები ადოკატის მიერ მოგვიანებით იყო ხელმოწერილი არ წარმოუდგენია მომჩივანს. ეთიკის კომისიამ საზოგადოებრივი ადვოკატის გულისხმიერების დაცვის ვალდებულებასთან ერთად ყურადღება გაამახვილა ფორმალურ დაცვაზე და აღნიშნა, რომ ადვოკატი დაესწრო დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკითხვასა და ბრალის

218 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 024/13, 20 თებერვალი 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/09/21/eec487a9f62391cb6bd20613d17be1c6.PDF

219 იქვე

220 იქვე

221 იქვე

წარდგენას, რაც დასტურდება მის მიერ ბრალდებულად დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერით, თუმცა საპროცესო მოქმედებაზე ფორმალური დასწრება არ ნიშნავს კლიენტის ინტერესების კვალიფიციურ დაცვას. ადვოკატმა კლიენტის საქმეში ჩართვისას სრულყოფილად უნდა შეისწავლოს საქმის მასალები და დასახოს მოქმედების სტრატეგია კლიენტთან ერთად, მან კლიენტს უნდა განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმისწარმოების პირველ სტადიაზე, ამ დროს აუცილებელია კლიენტთან ცალკე გასაუბრება, ადვოკატი უნდა დარწმუნდეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოზიციაში, აუხსნას მისი ჩვენების მნიშვნელობა, მასთან შეათანხმოს სამოქმედო ტაქტიკა. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმატებაში მიუთითა, რომ თავად არ ახსოვს ის ფაქტი საჩივრის ავტორს აუხსნა თუ არა მისი უფლებები და შეუთანხმა თუ არა კლიენტს დაცვის განხორციელების სტრატეგია, ამასთან, საქმიდან არ იკვეთება როგორი მოქმედების ტაქტიკა აირჩიეს.[222]

კომისიის განმარტებით, ადვოკატი განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაცვის ფორმალურ ელემენტებზე ამახვილებდა ყურადღებას, ისეთზე, როგორიცაა ბრალდებულად დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერა და საჩივრის ავტორისათვის ბრალის წარდგენის პროცედურაზე დასწრება. ადვოკატს მიაჩნია, რომ ვინაიდან ეს პროცედურები განახორციელა, მან ყველაფერი გააკეთა, რაც ევალებოდა. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, მას არ აქვს აღქმული ადვოკატის როლი, ამ პროფესიის ბუნება და კლიენტის დაცვისას შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალური მომსახურებით, მას საადვოკატო მომსახურება არ განუხორციელებია გულისხმიერებით.[223]

ადვოკატმა ასევე ისარგებლა საგამოძიებო ორგანოების ტექნიკური ბაზით, რაც გამოიხატა მის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების ტექსტის პოლიციის განყოფილებაში აკრეფით, რომლის პირველ აბზაცში არის ისეთი სახის სტილისტური შეცდომები, როგორიც ქ. თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების გამომძიებლის მომართვაში ეთიკის კომისიისადმი. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა დაცვის განხორციელების პირველ სტადიაზე თავი უნდა შეიკავოს საგამოძიებო ორგანოებთან არაფორმალური ურთიერთობისაგან, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.[224]

222 იქვე
223 იქვე
224 იქვე

5.4 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების კომპონენტები ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადგენს იმ კომპონენტებს, რაც უნდა ახასიათებდეს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მომსახურებას. აღნიშნული ეხება, როგორც შეთანხმებით აყვანილ, ისე დანიშნულ ადვოკატსაც. ადვოკატმა დაცვის სტრატეგია უნდა შეუთანხმოს კლიენტს; მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე; გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები სამართალწარმოებასთან დაკავშირებით; უზრუნველყოს კლიენტის პოზიციის დაფიქსირება სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვისას და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის დროს; მიიღოს კლიენტისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების შესახებ. ყველა გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე გავლენა, მოწონებული უნდა იქნეს კლიენტის მიერ. გადაწყვეტილება ბრალის აღიარების, უდანაშაულოდ ცნობის თუ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, თავად კლიენტმა უნდა მიიღოს. ადვოკატი მხოლოდ ახმოვანებს კლიენტის პოზიციას და იცავს მის ინტერესებს კანონმდებლობის ფარგლებში.[225]

ადვოკატმა გულმოდგინედ და პრინციპულად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რისთვისაც იგი იყენებს კანონს. კანონის გამოყენების პროცესში ადვოკატი უნდა ცდილობდეს საფრთხე არ შეექმნას კლიენტის ინტერესებს და დადგენილ ვადაში განახორციელოს შესაბამისი იურიდიული მოქმედებები. ადვოკატის პროფესიული უმოქმედობა უკავშირდება ადვოკატის კვალიფიციურობასაც, რამეთუ ასეთი პროფესიული უმოქმედობა, პრინციპით - «არ დააზიანო» მიუთითებს ადვოკატის არაკვალიფიციურ ქცევაზე, რაც შემადგენელია არაპროფესიული ქცევისა. ამიტომ ნიშანდობლივია პროფესიული რეგულიაციის მიზანი-დაიცვას კლიენტის ინტერესი და პროფესია.[226]

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ან ერთ–ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლამდე. ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში და ნებისმიერ მესამე პირებთან, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებთან, კლიენტის სარჩელის გამო, ერთ-ერთი შპს-ს მიმართ, ამ უკანასკნელის მიერ, სამთო სამუშაოების

---

225 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 79

226 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 024/14, 29 ოქტომბერი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/eea2454272b2c4b6e8299541d204e05a.pdf

შედეგად საჩივრის ავტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მომჩივანის სარჩელი, მოპასუხე შპს-ს მიმართ, საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა საჩივრის ავტორმა და იმავე დღეს გადასცა ადვოკატს შემდგომი რეაგირებისათვის. ადვოკატმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.[227]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატმა კლიენტს დაუნიშნა შეხვედრა, სადაც აუხსნა, რომ იგი გაეცნო უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ელექტრონულ ვერსიას და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო შემდეგი: „საქმე არ იყო საინტერესო უზენაესი სასამართლოსთვის.“ თუმცა, განუმარტა, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან გასაჩივრების ეს ეტაპი გავლილად ითვლებოდა და შეეძლოთ საქმე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსთვის მოემზადებინათ, რადგან ეს საქმე ძალიან საინტერესო იქნებოდა აღნიშნული სასამართლოსთვის. კლიენტმა არაერთი მცდელობის მიუხედავად ადვოკატისაგან ვერ მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, რათა დაებრუნებინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. საჩივრის ავტორმა განჩინების გამოტანიდან ხუთი თვის შემდეგ თავად მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და პირადად ჩაიბარა განჩინება. განჩინების წაკითხვის შემდეგ საჩივრის ავტორმა აღმოაჩინა, რომ უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დატოვა განუხილველად, საკასაციო საჩივრის შეტანისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო.[228]

ადვოკატის განმარტებით, საკასაციო საჩივარი, რომელსაც ხელს აწერდა კლიენტი მან მოამზადა, თუმცა ერთი დღის დაგვიანებით შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რის გამოც საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატის განცხადებით, საკასაციო საჩივრის დაგვიანებით შეტანით არ შელახულა კლიენტის კანონით გათვალისწინებული უფლებები, ვინაიდან დიდი ალბათობით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი. ამასთან მხარეთა ზეპირი შეთანხმებით, მისი მოვალეობა მხოლოდ საჩივრის დაწერა იყო და არა გაგზავნა. სწორედ იმ ფაქტმა, რომ საჩივრის ავტორმა დააგვიანა მის საადვოკატო ბიუროში მისვლა, გამოიწვია სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის წარმომადგენლმა განმარტა, რომ „ადვოკატთან საადვოკატო ბიუროში მომ-

227 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 080/13, 25 აპრილი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/01/20/f5ac252d3bef5bd942ef9bf0fb0199a8.PDF
228 იქვე

ჩივანმა მიიტანა გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადა ერთად გამოითვალეს და გამოთვლისას დაუშვეს შეცდომა.“[229]
ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა; არ გააცნო საჩივრის ავტორს საკასაციო საჩივარი, არ აცნობა მას საკასაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.[230]

კომისიის შეფასებით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გამოთვლა, საკასაციო საჩივრის მომზადება და მისი დადგენილი წესით სასამართლოში შეტანა იყო იურიდიული მომსახურების ის ელემენტები, რომელსაც მხარეთა შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავდა. შესაბამისად, ადვოკატს რომელმაც იცოდა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ამასთანავე, ადვოკატ კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება წარმოედგინა კლიენტი საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში, თავად უნდა ეზრუნა გადაწყვეტილების ჩაბარებასა და მის კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებაზე ან/და მოეხდინა საჩივრის ავტორის მიერ ჩაბარებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის სწორად გამოთვლა და საკასაციო საჩივრის დადგენილი წესით შეტანის უზრუნველყოფა.[231]

კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს საჩივრის ავტორს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს მისთვის მინდობილი საქმის მსვლელობა და დამდგარი შედეგები. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი დროულად არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა.[232]

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების, საკასაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, თუმცა, ადვოკატისათვის უფლებამოსილების მინიჭებისას ჰქონდა კანონიერი მოლოდინი და იურიდიული ინტერესი, რომ ადვოკატი მის საქმეს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად აწარმოებდა.[233]

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეესრულებინა იმისათვის, რომ

229 იქვე
230 იქვე
231 იქვე
232 იქვე
233 იქვე

საკასაციო საჩივარი წარედგინა საპროცესო ვადის დაცვით. კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის საპროცესო ვადის დაუცველად წარდგენა. ადვოკატის ქმედების შედეგად საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ ადვოკატმა განახორციელა ფორმალური წარმომადგენლობა, ვინაიდან ადვოკატისათვის ცნობილი იყო ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კლიენტის მიერ ჩაბარებისა და საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლის დაწყების შესახებ.[234]

კომისია განმარტავს, რომ ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციისას არსებითი არ არის კლიენტს ადვოკატის ქმედებით მიადგა თუ არა ზიანი. თუმცა, ამ შემთხვევაში საჩივრის ავტორს მიადგა ზიანი, რადგან მისი საქმე არ იქნა განხილული საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ადვოკატის ის ვარაუდი, რომ საჩივრის დადგენილ ვადაში შეტანით იგივე შედეგი დადგებოდა, ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ შედეგი დადგა ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერი მომსახურების შედეგად.[235]

კომისიამ სხვა დისციპლინურ საქმეზე ადვოკატის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩათვლა მოქმედება, როდესაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ როდესაც კლიენტი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და აღნიშნული გარემოება ცნობილი იყო ადვოკატისთვის. ადვოკატმა სარჩელში სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი და სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია.[236]

5.5 კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით მოქმედება

ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კლიენტის კანონიერი მითითებების შესაბამისად. ეს ვალდებულება მნიშვნელოვანია აპეკ–ის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში და აქაც, როდესაც საუბარია კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობაზე. წარმოიშობა საკითხი, როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როცა კლიენტის მითითება არ არის უკანონო ხასიათის, თუმცა, მისმა შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს თავად კლიენტის სამართლებრივ პოზიციას. კომისიის აზრით, კლიენტის მითითებების შესრულება ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, თუ არ არსებობს ამ მითითების შეუსრულებლობის მნიშვნელოვანი საფუძველი. ასეთი საფუძველიც, პირველ რიგში, შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციისთვის ზიანის მიყენებაში, თუმცა, „აქაც ძირითად გადაწყვე-

234 იქვე
235 იქვე
236 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 090/13, 20 იანვარი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/05/16/9150f643782b43c77aaccf0da361920f.PDF

ტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ“.[237]

ადვოკატის პროფესია ქმედითი ნაბიჯებისგან შედგება, მისი პროფესიული ბუნების მინიმალური მდგომარეობა არის ის, რომ არ უნდა დაზიანდეს არც ერთ შემთხვევაში კლიენტის ინტერესი, საამისოდ ადვოკატმა ყველა კანონიერი გზა უნდა გამოიყენოს.[238]

ადვოკატმა ეთიკის კომისიას შეკითხვით მიმართა თუ როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც მისთვის უცნობია კლიენტის (მსჯავრდებულის) ადგილ-სამყოფელი და შესაბამისად უცნობია მისი პოზიცია საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრების თაობაზე, ისე, რომ ადვოკატმა არ დაურღვიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს დაცვის უფლება; ადვოკატმა უნდა გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პირადად, დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, დადგენილ 1 თვიან ვადაში თუ არ უნდა გაასაჩივროს მისი დასაცავი პირის თანხმობის გარეშე.[239]

შეკითხვიდან არ ჩანდა, რომ ადვოკატი ახორციელებდა სავალდებულო დაცვას და კომისიამ ადვოკატის ქცევა განიხილა მე-8 მუხლის მეორე ნაწილის რეგულაციის შესაბამისად: «ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ... მითითებით». აქედან გამომდინარე, ადვოკატი არ იყო ვალდებული გაესაჩივრებინა განაჩენი პირადი ინიციატივით, რადგან ადგილი არ აქვს სავალდებულო დაცვას.[240]

შეკითხვაში მითითებული გარემოებების მიხედვით, როგორც ორდერის, ასევე, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განეხორციელებინა სააპელაციო სასამართლოში, მას არ ჰქონდა უფლება დასაცავი პირი წარმოედგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატს ამოწურული ჰქონდა თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა და მას აღარ ჰქონდა ვალდებულება საკუთარი ინიციატივით გაეგრძელებინა დავა.[241]

---

237 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 79

238 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 024/14, 29 ოქტომბერი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/eea2454272b2c4b6e8299541d204e05a.pdf

239 წერილობითი რეკომენდაცია 002/14, 16 აპრილი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/04/30/dbec24bd484677e2c3a2ab66ca0d08aa.pdf

240 იქვე

241 იქვე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალებები და ხერხი უნდა გამოიყენოს და იგი არ უნდა მოქმედებდეს ბრალდებულის მითითებების და ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოცემულ შემთხვევაში «მითითება» არ არსებობდა. ხოლო ბრალდებულის «ინტერესების» არსებობაზე არაფერია ცნობილი. სრულიად დასაშვებია ბრალდებულს სურდეს, რომ შემდგომში, დაკავების ან გამოცხადების შემდეგ ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება კი შეიძლება გახდეს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება. მოცემული პირობებით, აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება იქნება არა უკანონო, არამედ უნებართვო, რაც ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებს.[242]

კომისიამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის არ არის ცნობილი ინფორმაცია კლიენტის ნებისა და ინტერესის შესახებ, მან, აღნიშნული ინფორმაციის შეტყობის გარეშე არ უნდა განახორციელოს მოქმედება კლიენტის სახელით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ არის ვალდებული გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან მას არ აქვს მითითება კლიენტისაგან. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. ასევე, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატს არ გააჩნია საქართველოს უზენაეს სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობის უფლება, ვინაიდან ორდერი გაცემულ იქნა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისათვის. ასევე, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში.[243]

5.6 კლიენტის ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება

ადვოკატი მოქმედებს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ადვოკატი თავისუფლდება იურიდიული მოქმედებების განხორციელებისთვის კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიღების ვალდებულებისაგან. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რამაც შეიძლება მოახდინოს ან არ მოახდინოს გავლენა კლიენტის ინტერესებზე, კლიენტის მიერ უნდა იქნეს წინასწარ მოწონებული. ეს საკითხი ეთიკის კომისიამ კიდევ ერთხელ განმარტა თავის 2014 წლის 13 ივნისის #049/12 გადაწყვეტილებაში. აღნიშნულ საქმეში საკითხი ეხებოდა ბრალდებული კლიენტის მეუღლესა

242 იქვე
243 იქვე

და დაზარალებულს შორის 2011 წლის 09 ნოემბერს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ისე, რომ კლიენტთან ხელშეკრულების პირობები შეთანხმებული არ ყოფილა და კლიენტი არ იყო დროულად ინფორმირებული საქმის მიმდინარეობის თაობაზე. შეთანხმების თანახმად გარკვეულ ვადაში, ბრალდებულს უნდა გადაეხადა დაზარალებულისთვის 25 000 აშშ დოლარი, ხოლო დაზარალებული უარს იტყოდა საჩივარზე.[244]

ადვოკატი ბრალდებულის მეუღლესთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად იცავდა ბრალდებულს, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო ეტაპზე. ბრალდებულის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ბრალდებულის მეუღლემ განმარტა, რომ მას ბრალდებულთან პირდაპირი კომუნიკაცია არ ჰქონია ხელშეკრულების დადებისა და მისი პირობების განსაზღვრისას და მან მხოლოდ 2011 წლის 24 ნოემბრის სასამართლო პროცესზე შეიტყო, რომ მისი მეუღლე არ ეთანხმებოდა ბრალდებას და არ გადაუხდიდა დაზარალებულს არანაირ თანხას, სანამ დაზარალებული არ აღიარებდა, რომ არ ჰქონდა გადაცემული საჩივრის ავტორისათვის 6 000 ლარი და გამოძიებას მისცა ცრუ ჩვენება. აღნიშნული ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, ბრალდებულის მეუღლე არ გააფორმებდა ხელშეკრულებას არც ადვოკატთან და არც დაზარალებულთან. ბრალდებული 03 ნოემბერს წერილობით ითხოვს გამომძიებლისგან მეუღლესთან, შეხვედრის უფლება მისცეს, რადგან გაარკვიოს დაზარალებულთან მორიგების საკითხი და აცილებას უყენებს ადვოკატს მისთვის საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის საფუძვლით. ეთიკის კომისიამ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 03 ნოემბერს ბრალდებულმა ადვოკატისადმი უნდობლობის გამო მისი აცილება წერილობითი სახით დააყენა გამომძიებელთან მაშინ, როდესაც ადვოკატმა რამდენიმე დღის შემდეგ - 09 ნოემბერს ხელშეკრულება გააფორმა დაზარალებულთან.[245]

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის განმარტება, რომ კლიენტის უნდობლობა გამოიწვია ამ უკანასკნელის მეუღლის მიერ დაზარალებულისათვის გადასახდელად დარჩენილი თანხის გადახდის შეუძლებლობამ. ამის თაობაზე ადვოკატისაგან კლიენტს ინფორმაციის მიღება შეეძლო მხოლოდ 14 ნოემბერს, რადგან ამ დღეს იყო შესული ადვოკატი კლიენტთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადვოკატს 07 ოქტომბრის შემდეგ კომუნიკაცია არ ჰქონია კლიენტთან, ისიც არ იცოდა, რომ კლიენტს ადვოკატის აცილების შესახებ გამომძიებლისათვის უკვე მიმართული ჰქონდა 03 ნოემბერს, 09 ნოემბრის

244 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 049/12, 13 ივნისი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2016/01/29/807c072a84a427439794afd1c1a5a86c.PDF

245 იქვე

შეთანხმების დადებამდე, რადგან ბრალდებული აღარ ენდობოდა ადვოკატს.[246]

კომისიამ აღნიშნა, რომ 2011 წლის 09 ნოემბერს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულება დადებულია 25 000 აშშ დოლარზე. მოწმეთა და ადვოკატის ახსნა-განმარტებებიდან დგინდება, რომ ბრალდებული აღიარებდა ვალდებულებას 20 000 აშშ დოლარის ნაწილში და არ ეთანხმებოდა დაზარალებულისადმი 6 000 ლარის ვალდებულების აღიარებას უსაფუძვლობის გამო. მხარეთა და მოწმეთა მიერ წარმოდგენილი განმარტებებიდან, ასევე ადვოკატის აცილების თაობაზე 2011 წლის 03 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან დადგინდა, რომ მოლაპარაკება დაზარალებულთან ზიანის ანაზღაურების შესახებ მიმდინარეობდა კლიენტის ინფორმირების გარეშე, შესაბამისად, ადვოკატს კლიენტისაგან დაზარალებულთან 2011 წლის 09 ნოემბრის ხელშეკრულების დადების შესახებ თანხმობა მიღებული არ ჰქონია.[247]

კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად კლიენტის კანონშესაბამისი მითითებები და იმოქმედოს მასთან შეთანხმებით. სსსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „...ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“[248]

ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #092/11, სადაც განმარტა, რომ „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“[249]

კომისიის შეფასებით ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან მისი დაკავებისა და ბრალდების წარდგენის შემდეგ არ შემდგარა; ადვოკატის არასათანადო კომუნიკაციამ უნდობლობა აღძრა მისი პროფესიული საქმიანობისადმი და ამ მიზეზით კლიენტმა 03 ნოემბერს აცილება განაცხადა საკუთარ დამცველზე. ადვოკატის არასათანადო კომუნიკაციამ კლიენტს ფაქტობრივად შეუზღუდა შესაძლებლობა მიეღო კვალიფიციური სამართლებრივი რჩევა, განეხილა

246 იქვე
247 იქვე
248 იქვე
249 იქვე

საკუთარ საქმესთან დაკავშირებული შესაძლებელი სამართლებრივი გზები და ადვოკატის დახმარებით მიეღო გადაწყვეტილება დაცვის ქვეშ მყოფ პირს. დაკავებისა და ბრალდების წრდგენის შემდეგ, 2011 წლის 14 ნოემბრამდე ადვოკატი არ შესულა საკუთარ კლიენტთან, ამ უკანასკნელთან შეუთანხმებლად გააფორმა ხელშეკრულება დაზარალებულთან და მხოლოდ 14 ნოემბერს შეხვდა ბრალდებულს.[250]

ადვოკატი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან 2011 წლის 07 ოქტომბრიდან 2011 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდში კლიენტთან შეხვედრაზე შესული იყო მხოლოდ 2011 წლის 14 ნოემბერს.[251]

მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა, არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, საქმის არსებითი განხილვა. შესაძლებელია ადვოკატი მოქმედებდა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც ბრალდებულის მეუღლეს დაზარალებულთან დაადებინა მიყენებული ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულება, მაგრამ ადვოკატი ვალდებული იყო შეხვედროდა კლიენტს ხელშეკრულების დადებამდე, დაეზუსტებინა მისი პირობები და ემოქმედა მისი მითითებების შესაბამისად. კლიენტთან კომუნიკაციის გარეშე, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, კლიენტის ნების გარეშე მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად.[252]

5.7 ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და სტრატეგიის, ასევე საპროცესო მოქმედებათა ხარისხის არსებითი შეფასება

ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია ეყრდნობა და იზიარებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას,[253] რომლის მიხედვით: „ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეფასებას. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა,

250 იქვე
251 იქვე
252 იქვე
253 განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten

იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს".[254]

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს, რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. ეს ჩაითვლება სწორედ მომსახურების ხარისხის არსებით შეფასებად, რასაც ეთიკის კომისია არ აკეთებს.

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგიის შეფასება კლიენტისთვის აღიარების რჩევისას.[255]

5.8 მომსახურების ხარისხის კონტროლი სავალდებულო დაცვის შემთხვევებში

იმ შემთხვევაში, როცა ხდება დაცვა დანიშვნით, აქ კონტროლის ფარგლები უფრო ფართოა. დანიშვნით დაცვის შემთხვევებში, ადვოკატის სტრატეგიის არსობრივი კრიტიკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული დაცვა მოჩვენებითი ხასიათისაა და იგი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის და უშიშრად დაცვის ვალდებულებების უგულვებელყოფით ხორციელდება.[256]

5.9 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც მას სპეციალიზაცია არ აქვს

არაკვალიფიციური წარმომადგენლობის კიდევ ერთი მაგალითია ვითარება, როდესაც ერთი სპეციალიზაციის ადვოკატი კლიენტს საადვოკატო მომსახურებას უწევს სხვა სპეციალიზაციით.

ადვოკატსა და კლიენტს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების გაწევა დაზარალებულის ინტერესების დასაცავად ყველა ინსტანციის სასამართლოში.

---

254 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 81

255 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 79

256 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 82

ამავე დღეს კლიენტმა ადვოკატს მიანიჭა რწმუნებულება, რომლის თანახმად რწმუნებული უფლებამოსილი იყო დაეცვა მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენდა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში ... და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზეც წარმოადგინა და სარჩელში მიუთითა თავისი სიითი ნომერი. ადვოკატი წარმოადგენდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს.[257]

ეთიკის კომისიას აქვს რა მყარად დადგენილი პრაქტიკა ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის მიხედვით საადვოკატო მომსახურების გაწევის წესთან მიმართებით, კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. თუ ადვოკატი მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის სამართალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის დროს.“[258]

კომისიის განმარტებით, ადვოკატმა ხელშეკრულების საგანი უნდა დააკონკრეტოს. განსახილველ საქმეში ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა დაზარალებულის ინტერესების დასაცავად ყველა ინსტანციის სასამართლოში, ხოლო ადვოკატი კლიენტს იცავდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე მის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზეც წარმოადგენდა.[259]

კომისიის განმარტებით, კეთილსინდისიერების ვალდებულების უხეში დარღვევაა, როცა ადვოკატი წინასწარ არ აცნობებს კლიენტს, რომ მას არ აქვს უფლებამოსილება გამოვიდეს მის წარმომადგენლად სასამართლო

257 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 091/13, 26 ივნისი, 2014 წელი
258 იქვე
259 იქვე

პროცესზე ყველა ინსტანციის სასამართლოში. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.[260]

5.10 ფორმალური წარმომადგენლობა

კომისიამ ფორმალური წარმომადგენლობა დაადგინა 2015 წლის 22 ოქტომბრის დისციპლინურ საქმეში 096/14.

მომჩივანსა და ადვოკატს შორის დადებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „მარწმუნებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა იბა „A“-ის კრების ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული ურთიერთობები და ამ დავის ფარგლებში შეგებებული სარჩელის მომზადება. ამასთან, მომსახურება ასევე გულისხმობდა, მარწმუნებლის ინეტერესების შესაბამისად, აღნიშნული დავის ფარგლებში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში მონაწილეობას.“ კლიენტმა ადვოკატს რწმუნებულებით მიანიჭა მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება ერთი წლის ვადით.[261]

ადვოკატმა მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელისა და თანდართული მასალების გაცნობის მიზნით; ადვოკატმა მოამზადა და სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. ადვოკატი გამოცხადდა შემდეგ სხდომებზე: მოსამზადებელი სხდომა; მეორე მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 21.02.14; ადვოკატმა 20.02.14 წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ

---

260 2014–2016 წლებში ადვოკატისათვის მინიჭებული სპეციალიზაციის დაუცველობით გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის დადგენილი დარღვევების შესახებ კომისიის შეფასებები დამატებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გადაწყვეტილებებში:
დისციპლინური საქმე N125/13, 21 აგვისტო 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/9100d0904445c3dda3800c3b0d0d56b1.pdf
დისციპლინური საქმე 060/14 01 მარტი 2014 წელი
დისციპლინური საქმე 035/13, 26 მარტი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/e75a8b810d033a857da201644dc20065.pdf
დისციპლინური საქმე 109/12, 10 თებერვალი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/b8a090c806b4170cae1c2b82568838d6.PDF

261 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/14, 22 ოქტომბერი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2016/02/10/04f2262159565e270f4f3fa78f1ab514.PDF

და მიუთითა, რომ სხდომაზე მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ვინაიდან იმავე დროს იხილებოდა მისი სხვა კლიენტის სისხლის სამართლის საქმე. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სხდომა გადაიდო 07.03.14; 07 მარტს ჩანიშნული სხდომა მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო გადაიდო 2014 წლის 10 აპრილს; მოსამართლის არყოფნის გამო, 10 აპრილს ჩანიშნული სხდომა გადაიდო 2014 წლის 14 მაისს. 14 მაისს სხდომამდე ადვოკატმა წერილობითი შუამდგომლობით - სხდომის გადადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ბებიის გარდაცვალების გამო. ადვოკატის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ადვოკატს არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში და მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ 2014 წლის 20 ივნისს ადვოკატმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. ადვოკატს ჩაბარებული არ ჰქონდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაში მიუთითა გადაწყვეტილების გაუქმება და იმ საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ. 2014 წლის 17 ივლისს დადგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი არ იყო გადახდილი და საჩივარს არ ერთვოდა მინდობილობა. ადვოკატს დაევალა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა 10 დღის ვადაში. 2014 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო, კლიენტის წარმომადგენლობითი ფუნქცია შეწყვეტილი ჰქონდა. 2014 წლის 13 ოქტომბრიდან ახალმა ადვოკატმა გააგრძელა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა, წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც 2014 წლის 20 ოქტომბერს წარმოებაში მიიღო სააპელაციო სასამართლომ.[262]

კომისიამ ადვოკატის მიერ განხორციელებული საადვოკატო მომსახურების შეფასებისას ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: ადვოკატმა შესაგებელში მიუთითა, რომ მხარე აპირებდა შეგებებული სარჩელის აღძვრას მოსარჩელის მიერ უკანონოდ მიტაცებული საერთო სარგებლობის ფართების გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლებით. იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ადვოკატმა მიუთითა, რომ საადვოკატო მომსახურება მოიცავდა შეგებებული სარჩელის მომზადებასაც, თუმცა, სასამართლოში შეგებებული სარჩელი არ წარუდგენია. ადვოკატმა შესაგებელს დაურთო ხელშეკრულება ამხანაგობის დაფუძნების შესახებ, მინდობილობები და დააყენა იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც დაადასტურებდა შესაგებელში გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს და მოითხოვა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისა

262 იქვე

და მხარეთა მორიგების მიზნით. საქმის მიმდინარეობისას ადვოკატს, გარდა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებისა და მინდობილობებისა, სასამართლოში სხვა მტკიცებულება არ წარუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ შესაგებელში უთითებდა მტკიცებულებათა გადავადების შუამდგომლობის შესახებ. ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა 14 მაისს ბებიის გარდაცვალების გამო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, რომელიც დაუსაბუთებული იყო, ამასთან, კლიენტს/კლიენტის ოჯახის წევრებს (კლიენტი არ იმყოფებოდა საქართველოში) არ აცნობა სხდომის თარიღი და მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო მეხუთე მოსამზადებელი სხდომა; ადვოკატმა სააპელაციო საჩივარში, ძირითად მოთხოვნასთან ერთად, დააყენა იმ საოქმო განჩინების გაუქმების საკითხი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, თუმცა არც ამჯერად წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულება; ადვოკატმა კლიენტს/კლიენტის ოჯახის წევრებს არ მიმართა სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხის მისაღებად, რაც სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.[263]

კომისიის განმარტებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ეთიკის კომისიის შეზღუდული კომპეტენციის გათვალისწინებით, ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასებისას, კომისია მიიჩნევს, რომ თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება, ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.[264]

კომისიამ განმარტა, რომ იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები, ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. ადვოკატს წერილობითი ხელშეკრულებითა

263 იქვე
264 იქვე

და რწმუნებულებით ჰქონდა ვალდებულება ეწარმოებინა კლიენტის საქმე. ადვოკატს კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით ევალება კეთილ-სინდისიერად, კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა სათანადო გულმოდგინეობითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონს.[265]

ადვოკატმა 14 მაისს იცოდა, რომ ვერ ცხადდებოდა სხდომაზე, შესაბამისად 14 მაისს რისკი შეექმნა კლიენტის ინტერესს. ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ. ადვოკატი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის მისი კლიენტის ინეტერესისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც, პროცესუალური კანონით დაიცავდა კლიენტის ინტერესს და უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმებას შეძლებდა.[266]

საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ელექტრონული მიმოწერიდან ირკვევა, რომ ადვოკატი საჩივრის ავტორის საქმის წარმოებისას მონაწილეობდა არჩევნებში და ადვოკატმა, კლიენტის საქმის წარმოებისას, სავარაუდოდ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა საკუთარი ინტერესები, კერძოდ, არჩევნების გამო, დროის სიმცირიდან გამომდინარე, სათანადო გულის-ხმიერებით და კეთილსინდიერად არ აწარმოა კლიენტის საქმე. ადვოკატი კლიენტთან ელექტრონული ფოსტით მიმოწერაში ხაზს უსვამს, რომ არჩევნებში მონაწილეობის გამო, დროის ნაკლებობას განიცდიდა და ვერ მოახერხა საჩივრის ავტორის ოჯახში გასვლა, ერთ-ერთ წერილში მითითებულია, რომ „არჩევნების გადამკიდეს ამ დრომდე არ ჰქონდა საშუალება ეპასუხა კლიენტის წერილისთვის და საქართველოში ჩამოსვლისას ჩააბარებდა დეტალურ ანგარიშს," ადვოკატმა კლიენტს არ აცნობა, რომ საჭირო იყო სააპელაციო ინსტანციაში საქმის წარმოების გაგრძელებისთვის ახალი მინდობილობის გაფორმება და 2014 წლის 29 სექტემბერს შეწყვიტა კლიენტის წარმომადგენლობა სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო.[267]

5.11 კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით ადვოკატის მიერ ხელმოწერის შესრულების დაუშვებლობა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება, როდესაც ის ხელს აწერს სამართლებრივ დოკუმენტებს კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით, შეაფასა, რო-გორც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით

265 იქვე
266 იქვე
267 იქვე

აკრძალული საშუალებების გამოყენება. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“[268]

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №010/10/ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“[269]

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №106/12 აღნიშნა: „... ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად დოკუმენტის ნამდვილი ავტორის ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულების საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება ადვოკატს.“[270]

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა, რომელმაც სარჩელის გამოხმობის განცხადებას ხელი მოაწერა კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით, გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულობის ფარგლები. ადვოკატი მისი კლიენტის ნაცვლად სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ხელმოწერის

268 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 157/13, 15 მაისი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/eb9bebdcdceb912c9a8542412d6345c9.pdf
269 იქვე
270 იქვე

ნამდვილობა მხოლოდ კლიენტს შეეძლო გაეხადა სადაოდ, რომელიც არამცთუ სადაოდ ხდიდა მას, არამედ იწონებდა და პრეტენზია არ გააჩნდა. ადვოკატს ჰქონდა მინდობილობა საქმის წარმოებაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ახორციელებდა კლიენტთან წინასწარი შეთანხმებით და მისი ნებართვით. მათ შორის სარჩელი გამოიხმო მისი თანხმობით და კანონის სრული დაცვით და მოწინააღმდეგე მხარეს არ იყო უფლებამოსილი ედავა განცხადებაზე ადვოკატის მიერ სხვის ნაცვლად ხელმოწერის შესრულების შესახებ.“ კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის მოცემული არგუმენტაცია, ვინაიდან კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მოიწონოს ადვოკატის ქცევა, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას კლიენტისათვის სასურველი შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს.[271]

ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადვოკატი კლიენტისაგან აღჭურვილი იყო სათანადო უფლებამოსილებით გამოეხმო სარჩელი, გარდა ამისა, თავად კლიენტი იყო ინფორმირებული ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შედეგების შესახებ და იწონებდა დამდგარ შედეგს, ადვოკატმა კლიენტის გვარის გასწვრივ ხელმოწერით არ ხელყო კლიენტის ინტერესები. თუმცა, აღნიშნა, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება იმოქმედოს ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ და კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის გამოიჩინოს მსგავსი დაუდევრობა, რაც ხელყოფს კანონიერების პრინციპსა და ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობას.[272]

ასევე სხვა დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა შესაგებელზე კლიენტის სახელით შეასრულა ხელმოწერა იმ დროს, როდესაც მასზე გაცემული არ იყო ამ პირის მიერ მინდობილობა და ასეთი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც ადვოკატი ვალდებული იყო ხელმოწერა შეესრულებინა არა მარწმუნებლის სახელით, არამედ თავისი სახელით, როგორც რწმუნებულ პირს.[273]

კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით ხელმოწერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო სფეროში. ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედება, კლიენტთა ნაცვლად შესაგებელზე ხელმოწერა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებას.[274]

---

271 იქვე
272 იქვე
273 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 025/13, 16 აპრილი, 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/9100d0904445c3dda3800c3b0d0d56b1.pdf
274 იქვე

ეთიკის კომისიას ადვოკატმა მიმართა შეკითხვით თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ადვოკატის მოქმედებას, როდესაც ის კლიენტის სახელით სარჩელზე მოაწერს ხელს და მინდობილობით, კლიენტის თანხმობით თვითონაც, თავისი სახელითაც ექნება სარჩელზე ხელის მოწერის უფლება.[275]

შეკითხვა შეეხებოდა ადვოკატის მიერ განხორციელებულ ორ ქმედებას. კერძოდ, ადვოკატის მიერ, კლიენტის სახელით სარჩელზე ხელმოწერის საკითხს და მეორე მოქმედება - ადვოკატის მიერ, როგორც თავისი სახელით მინდობილობის საფუძველზე ხელმოწერის განხორციელებას კლიენტის სარჩელზე.[276]

კომისიამ აღნიშნა, რომ კლიენტის სახელით (სარჩელზე მითითებული პირის ნაცვლად) ხელის მოწერა და სასამართლოში წარდგენა კანონსაწინააღმდეგოა. მოცემული ქმედება გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობისა და მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც. შესაძლოა ადვოკატი კლიენტისაგან აღჭურვილი იყოს სათანადო უფლებამოსილებით, მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება და კლიენტი ინფორმირებული იყოს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი მისი სახელით აწერს ხელს და კლიენტიც იწონებს ასეთი გადაწყვეტილებას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს არ აქვს უფლება იმოქმედოს ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ და კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის განახორციელოს აღნიშნული ქმედება. კლიენტის თანხმობით, მინდობილობის საფუძველზე სარჩელზე ადვოკატის მიერ თავისი სახელით ხელის მოწერა კანონიერია. ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და შესაბამისად, პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება.[277]

6. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

8.6 ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ადვოკატის ერთ–ერთი ძირითადი ვალდებულებაა. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან. ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მსვლელობის და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. ეთიკის კოდექსი არ მოიცავს ნორმას, თუ

275 წერილობითი რეკომენდაცია 005/15, 27 ივლისი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/07/28/cfc78d5fb1c97e486628d8bf46c3c7b2.pdf
276 იქვე
277 იქვე

როგორი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდების ფორმა და პერიოდულობა, ასევე ინფორმაციის მოცულობა. კოდექსი ასევე არ ადგენს, რა ხდება მაშინ, როცა ადვოკატი და კლიენტი ურთიერთობის დაწყებისას, შეთანხმებაში/ ხელშეკრულებაში არ თანხმდებიან ინფორმაციის მიწოდების სპეციალურ წესზე. თუმცა, ბუნებრივია, ეთიკის კომისიას მოუწია ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა და კომისიის გადაწყვეტილებებში მოცემულია ამ ეთიკური ვალდებულების დეტალური შინაარსი.[278]

6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება

ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა, როგორც ცნობილია, იწყება ადვოკატთან შეთანხმებით ან ადვოკატის დანიშვნით სავალდებულო დაცვის შემთხვევებში. შეთანხმება, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა იწყება წერილობითი შეთანხმების/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს უპირობოდ გადასცეს მხარეს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კლიენტისგან ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნა. ეს ვალდებულება კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შემადგენელი ელემენტია.[279]

6.2 სარჩელის შინაარსის და საქმის მსვლელობის გაცნობის ვალდებულება

ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის უნდა გააცნოს სარჩელი და გააცნოს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებს მასში. კლიენტს, როგორც დაინტერესებულ პირს, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მისი საქმის მსვლელობის შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს სწორი. ასევე, კლიენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სათანადოდ. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.[280]

---

278 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 82

279 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 83

280 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 090/13, 20 იანვარი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/05/16/9150f643782b43c77aaccf0da361920f.PDF

ადვოკატმა კლიენტს სარჩელის შინაარსი მას შემდეგ გააცნო, რაც სასამართლოს მიმართა სარჩელით, ამასთან განუმარტა, რომ „დის შვილიშვილები არ წარმოადგენდნენ არცერთი რიგის მემკვიდრეებს.“[281]

კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატი ვალდებული იყო კლიენტისათვის მანამდე გაეცნო სარჩელის შინაარსი, ვიდრე სასამართლოში შეიტანდა სარჩელს და კლიენტისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებდა სარჩელში. ასევე ადვოკატმა მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სადავო ფართის გარდაცვლილი მესაკუთრის არსებობის შესახებ, არ განუმარტა კლიენტს ამ ფაქტის გავლენა სასარჩელო მოთხოვნაზე.[282]

6.3 ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება

ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მასთან შეთანხმებული წესის მიხედვით. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, შეესაბამებოდეს საქმის მიმდინარეობას და მიწოდებული იყოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, საგანგებოდ გამოყოფს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის დროული მიწოდებისა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების განმარტების აუცილებლობას.[283]

კომისიის მიერ განხილულ ერთ–ერთ საქმეში დადგინდა, რომ ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას აწვდიდა არასრულად, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებით და ზოგჯერ მცდარ ინფორმაციას, რითიც ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების მოვალეობა.[284]

ელექტრონული მიმოწერით დადგინდა, ადვოკატი ატყობინებს კლიენტს, რომ მის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. კლიენტს, რომელიც წინასწარ არ ყოფილა ინფორმირებული, ადვოკატი წერს, რომ ვერ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, „რაც შე-

281 იქვე
282 იქვე
283 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 84
284 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/14, 22 ოქტომბერი 2015 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2016/02/10/04f2262159565e270f4f3fa78f1ab514.PDF

ეხება ჩემს არ გამოცხადებას, ეგ პრობლემა არ არის, რამდენადაც მოსამართლემ გამოცხადებული მხარეები 5-ჯერ გადაგვაგდო და თვითონაც არ გამოცხადდა პროცესზე. შესაბამისად, ჩემი გამოუცხადებლობა, რომელიც საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული და წარდგენილია შესაბამისი ცნობები, გავლენას ვერ იქონიებდა გადაწყვეტილებაზე." ადვოკატის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ბებიის გარდაცვალების მითითება სასამართლოსადმი წარდგენილ შუამდგომლობაში, კლიენტისათვის უცნობი იყო; ადვოკატს სხდომის გადადებისათვის შესაბამისი ცნობა არ წარუდგენია. ადვოკატი კლიენტს ასევე არ აწვდიდა სწორ ინფორმაციას, როდესაც წერდა, რომ დავა სააპელაციო სასამართლოში იხილებოდა, გადახდილი იყო დამატებით სახელმწიფო ბაჟი - 150 ლარი და ელოდებოდნენ სასამართლო სხდომის ჩანიშვნას; ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ასევე საჩივარს არ ერთვოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარს წარმომადგენელი აწერდა ხელს და წარსადგენი იყო დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი. ხარვეზის შესავსებად მხარეს განესაზღვრა 10 დღის ვადა. ადვოკატი კლიენტს ასევე წერდა, რომ „ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ", მაგრამ ადვოკატმა ხარვეზის შევსების ვადის გასვლამდე განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ მარწმუნებლის წარმომადგენლობითი ფუნქცია თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო შეწყვეტილი ჰქონდა. კლიენტმა საადვოკატო მომსახურებისთვის ახალი ადვოკატი ჩართო საქმეში.[285]

6.4 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეწყვეტის თაობაზე

იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულებითა და მინდობილობით ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სასამართლოს სამივე ინსტანციის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმომადგენელთა უფლებამოსილებების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატს შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილება, რაც კლიენტისთვის ცნობილი არ იყო. ადვოკატს წევრობა შეწყვეტილი ჰქონდა საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო.[286]

კომისიის განმარტებით, პროფესიული ეთიკური ვალდებულება მოიცავს კლიენტისთვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევას. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მის პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებული

285 იქვე
286 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 052/13, 23 ივნისი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2016/01/29/5a96fe9b7f94c1c25f6a4c7499657f40.PDF

ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის საწევრო გადასახადის გადახდა, რათა ხელი არ შეეშალოს კლიენტის წარმომადგენლობაში. ადვოკატს უნდა სცოდნოდა, რომ ადვოკატის უფლებამოსლების შეწყვეტის შემთხვევაში, მას არ ექნებოდა უფლება კლიენტის ინტერესები სააპელაციო სასამართლოში დაეცვა.[287]

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2010 წელს, ხოლო სააპელაციო სასამართლო სხდომა ჩატარდა 2011 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა გონივრული ვადა და ობიექტური შესაძლებლობა, რომ კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ადვოკატთა ერთიანი სიიდან კონკრეტული საფუძვლით ადვოკატის სიიდან ამოშლის შესახებ ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რადგან ამას სპეციალური კანონი ადგენს. ასეთი რისკის არსებობა ადვოკატისთვის ცნობილი იყო და მას ევალებოდა საკუთარი საადვოკატო სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტის დროული ინფორმირებულობა აუცილებელია იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და არიდებული იქნეს ადვოკატის გარეშე საქმის წარმოების რისკი, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას კლიენტს ჰქონდა მოლოდინი, რომ სწორედ ადვოკატისგან მიიღებდა პროფესიულ დახმარებას. საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით, ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში კლიენტი დატოვა დაუცველი, რადგან მას არ ჰქონდა ობიექტური საშუალება ესარგებლა სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.[288]

6.5 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარისთვის (რომელიც არ არის კლიენტი)

როგორც ცნობილია, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც კლიენტი, ასევე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. იმ შემთხვევაში, როცა მხარეს წარმოადგენს არა კლიენტი, არამედ კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი, ადვოკატს აქვს ინფორმაციის მისთვის მიწოდების ვალდებულებაც, თუ კლიენტი ამაზე თანახმაა. ამოსავალი წერტილი, ცხადია, კლიენტის თანხმობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატი დგება კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის საფრთხის წინაშე.[289]

---

287 იქვე
288 იქვე
289 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 85

კომისიამ ერთ–ერთ საქმეში დაადგინა ადვოკატის პროფესიული გადაცდომა, როდესაც მან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა არა ბრალდებულს, თავის კლიენტს, არამედ მხოლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს და მიიჩნია, რომ ის ანგარიშვალდებული მასთან, კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირთან იყო.[290]

კომისიამ განმარტა, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატს აქვს უშუალოდ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატს ევალებოდა შეხვედროდა კლიენტს და მისთვის განემარტა საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეეთანხმებინა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.[291] ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში კომისიამ ასევე დაადგინა კლიენტის ინ-ფორმირების მოვალეობის დარღვევა, ვინაიდან ადვოკატმა კლიენტის მომ-სახურება შეწყვიტა კლიენტის ოჯახის წევრების მოთხოვნით, კლიენტის ინ-ფორმირების გარეშე შეხვდა მათ, გადასცა კლიენტისგან მინდობილი თანხა.[292]

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ძებნილია და ადვოკატს მასთან არ აქვს კავშირი, ადვოკატი ვალდებულია ეცადოს, კავშირი დაამყაროს ბრალდე-ბულთან მისი ოჯახის წევრების მეშვეობით. თუ ესეც შეუძლებელია, ადვოკატს არ დაეკისრება ამ მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა.[293]

6.6 კლიენტის ინფორმირება საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარ-ჯებზე

კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მოიცავს მისთვის საქმის წარმო-ებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასაც. კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმ ყველა შესაძლო ფინანსურ დანახარჯზე, რომლის გაღებაც მას შეიძლება მოუხდეს. ადვოკატმა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დარწმუნებულიც რომ იყოს საქმის წარმატებულ შედეგში, უნდა განჭვრიტოს ყველა ის გარემოება, რომელიც შეიძლება შეფასებული იქნეს, როგორც ფინანსური რისკი.[294]

7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები

290 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 111/13, 29 მარტი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/d2d7900a2dd7ec9df7ca5f60fb4328fc.pdf

291 იქვე

292 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 109/12, 10 თებერვალი 2014 წელი http://gba.ge/ka/resolutions/list/268/

293 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 86

294 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 87

8.7. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

აპეკ-ი ითვალისწინებს საქმის წარმოებაზე უარის თქმის უფლებას, თუმცა, ასეთ შემთხვევაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა:

ა. კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია;
ბ. კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა;
გ. ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება.

სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობითაა გაჯერებული და მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.[295] საგულისხმოა ეთიკის კომისიის პრაქტიკაში როგორ გამოვლინდა აპეკ-ის ხსენებული ნორმის მოქმედება.

კლიენტის ოჯახმა ბრალდებულის დასაცავად არსებულ ადვოკატთან ერთად სააპელაციო წესით საქმის განხილვისას აიყვანა მეორე ადვოკატი. ბრალდებულს ჰქონდა მოლოდინი, რომ ორივე ადვოკატი ერთად გააგრძელებდნენ საქმის წარმოებას. მეორე ადვოკატის საქმეში ჩართვა მიზნად ისახავდა დაცვის პოზიციის გაძლიერებას და წარმოადგენდა ბრალდებულისა და ოჯახის ერთობლივ გადაწყვეტილებას.[296]

მეორე ადვოკატი პირველ ადვოკატს სასამართლო სხდომამდე ერთი საათით ადრე შეხვდა. მეორე ადვოკატმა საქმის მწარმოებელ ადვოკატს უთხრა, რომ „საქმეს უჭირდა... უნდა შემუშავებული სხვა ტაქტიკა“, მოცულობითი საქმე იყო, იმ დღეს რამდენიმე მოწმე უნდა დაკითხულიყო და ადვოკატს შესთავაზა სხდომის გადადება, ვინაიდან ის იმ დღეს საქმეში ჩასართავად მზად არ იყო. პროცესი უკვე იწყებოდა, როდესაც ადვოკატებს შორის ეს საუბარი მიმდინარეობდა, მაგრამ სასამართლო სხდომის წინა დღეს მეორე ადვოკატი

295 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 87–88
296 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N111/13, 29 მარტი, 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/d2d7900a2dd7ec9df7ca5f60fb4328fc.pdf

ბრალდებულის ადვოკატის სტატუსით შესული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ამ უკანასკნელის აზრის გასაგებად მისი საქმეში ჩართვის თაობაზე.[297]

ადვოკატები სხდომის დაწყებამდე ერთობლივად შეთანხმდნენ სხდომის გადადებაზე. პირველმა ადვოკატმა განაცხადა, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და ეს მოტივი ეთქვა სასამართლოსთვის მეორე ადვოკატს და დატოვა სასამართლოს შენობა. სხდომა გადაიდო. ბრალდებულის ოჯახმა საერთო ახლობლისგან შეიტყო, რომ პირველი ადვოკატი ბრალდებულის დაცვას აღარ აგრძელებდა.[298]

პირველი ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ოჯახს მისთვის არ უთქვამს, რომ საქმეში სხვა ადვოკატი ჩაერთო, ეს ყველაფერი მოხდა მასთან შეუთანხმებლად და აღნიშნული შეიტყო სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. მისთვის მიუღებელი იყო საქმის წარმოების იმ ეტაპზე საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა მასთან შეუთანხმებლად და მომავალში აღნიშნულ ადვოკატთან ერთად მუშაობა. ადვოკატმა გამოთქვა მზადყოფნა ახალი ადვოკატისთვის შეკითხვების არსებობისას, გაეწია მისთვის კონსულტაცია.[299]

ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის წესის დარღვევა. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვია ადვოკატთან შეთანხმების გარეშე სასამართლო პროცესამდე ბრალდებულის ოჯახის მიერ ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვამ. მეორე ადვოკატი დაესწრო სასამართლო სხდომას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას კლიენტი სარგებლობდა სხვა ადვოკატის მომსახურებით და მას ადვოკატის მიერ დაცვის შეწყვეტით ზიანი არ მისდგომია.[300]

კომისიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ ადვოკატმა პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეიტყო კლიენტის მიერ საქმეში ჩართული მეორე ადვოკატისაგან, რომ "საქმეს უჭირდა... საჭირო იყო სხვა ტაქტიკის შემუშავება", შესაძლოა ყოფილიყო საქმეში მონაწილე ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიისათვის საფრთხე; პირველ ადვოკატს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სააპელაციო სასამართლოს სამ სხდომაში და მიმდინარეობდა მოწმეთა დაკითხვა, აქედან გამომდინარე, ორი და მეტი ადვოკატის მიერ კლიენტის დაცვისას, ადვოკატებს შორის კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, პოზიციების წინასწარ შეთანხმებისა და შეჯერების გარეშე, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას, შესაძლოა წარმოექმნა კლიენტის ინტერესებისათვის საფრთხე.[301]

297 იქვე
298 იქვე
299 იქვე
300 იქვე
301 იქვე

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში ეთიკის კომისიამ ასევე არ დაადგინა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის წესების დარღვევა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ადვოკატის მიერ დაცვაზე უარი თქმა გამოწვეული იყო კლიენტის მიერ ადვოკატის მიმართ პრეტენზიის გაჩენით და ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანით. ადვოკატმა დაცვის შეწყვეტის შესახებ საჩივრის ავტორის ოჯახს, ხელშეკრულების მხარეს მიაწოდა ინფორმაცია, ხოლო თავად დაცვის ქვეშ მყოფ პირს იგივე ინფორმაცია ფოსტის მეშვეობით აცნობა. საქმის მასალებით ასევე არ დადგინდა, რომ კლიენტს დაცვის შეწყვეტით ზიანი მიადგა.[302]

საადვოკატო საქმიანობა, კლიენტის მოვალეობები ეთიკის კომისიის არაერთი გადაწყვეტილებით განმარტებულია, როგორც არა მხოლოდ ფორმალური წარმომადგენლობა, არამედ რეალური სწრაფვა ადვოკატისა, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კანონიერების პრინიპის დაცვით, მაქსიმალურად უზრუნველყოს ყველა შესაძლებლობის გამოყენება კლიენტისათვის სასურველი მიზნის მისაღწევად.[303]

8. ადვოკატის ჰონორარი

8.8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)

აპეკ-ის მე-8 მუხლი პირველი პუნქტის საფუძველზე, ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ურთიერთშეთანხმება არის საფუძველი ორმხრივად გამოვლენილი ნებისა ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევის და ამ მომსახურებისათვის ანაზღაურების გადახდის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მისი საქმის წარმოების შესახებ ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება განუმარტოს და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად.[304]

---

302 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 009/14, 18 აპრილი, 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/04/02/265d7a79bed87e08f29634bfbb868993.pdf

303 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 89

304 იქვე

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, გარიგება შეიძლება იყოს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადებული, თუმცა, ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ასეთი შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობით შედგეს. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდა შეთანხმდა მხარეთა შორის. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.[305]

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი".[306]

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ მას კლიენტთან წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული საადვოკატო საზღაურის ოდენობა. კლიენტის განმარტებით, მას ადვოკატი შეუთანხმდა მიღებული კომპენსაციის 10%-ის გადახდაზე არა საქმის დაწყებამდე, არამედ საქმის დასრულების შემდგომ. მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ ადვოკატმა კლიენტს მიღებული კომპენსაციის თანხის 50%-ის გადახდა მოსთხოვა. ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების პარალელურად საქმე ადვოკატის სარჩელის საფუძველზე განიხილა ორი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა ადვოკატმა ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ კლიენტს წინასწარ აცნობა საადვოკატო მომსახურების საფასური, მისი გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები.[307]

9. საქმის წარმოებაზე უარი

8.9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

კლიენტის მიერ ჰონორარის გადაუხდელობა შესაძლებელია გახდეს საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის, მომსახურების შეწყვეტის საფუძველი,

305 იქვე
306 იქვე
307 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 047/14, 01 ივლისი, 2015 წელი

თუმცა, საამისოდ საკმარისი საფუძველი არ არის მარტოოდენ ჰონორარის გადაუხდელობის ფაქტი. აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი იმთავითვე შეზღუდულია და უთითებს ამავე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომელზეც კომენტარი მოცემულია ზემოთ.[308]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციით განმარტა, რომ ადვოკატის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზია ჰონორარის გადაუხდელობა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეთანხმებული წესით არ იხდის მომსახურების ანაზღაურების თანხას, ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე, თუმცა, მან უნდა გაითვალისწინოს მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის რეგულაცია და არ იმოქმედოს ისე, რომ კლიენტი უძლური იყოს „დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ შესაბამისად, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა ისე, რომ კლიენტს ჰქონდეს გონივრული ვადა სხვა ადვოკატს მიმართოს და ისარგებლოს მისი მომსახურებით. ასევე, კლიენტის მიმდინარე საქმის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატმა სასამართლოს ან საქმის განმხილველ სხვა ორგანოს წერილობით უნდა აცნობოს კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.[309]

10. ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღება

8.10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)

აღნიშნული ნორმა CCBE–ს კოდექსის რეგულაციის რეცეფციას წარმოადგენს, თუმცა ეს გაკეთებულია გარკვეული მოდიფიკაციით.[310] CCBE-ს კოდექსის შესაბამისი ნორმა უშვებს, რომ ადვოკატებმა ჰონორარი გაუნაწილონ არაადვოკატ პირებს, რომლებთანაც ისინი ასოცირებულნი არიან და ერთობლივად საქმიანობენ, რაც დაშვებულია შესაბამისი ქვეყნის კანონით ან პროფესიული წესებით. ეთიკის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ იმ პირთა წრე, რომლებთანაც შესაძლებელია საადვოკატო ჰონორარის განაწილება, განსაზღვრა მხოლოდ იმ ადვოკატებით, რომლებიც მუშაობენ იმავე საადვოკატო ბიუროში, ასევე პენსიაზე გასული ადვოკატებით ან ადვოკატის

308 ქვეთავი 7. ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე უარის თქმა და კლიენტის ინტერესები, მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის კომენტარი
309 წერილობითი რეკომენდაცია 014/14, 12 დეკემბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/16/7092758bbe789f878d592ade3d802dad.pdf
310 CCBE კოდექსი მუხლი 3.7.1

მემკვიდრით. სხვა პირებისთვის საადვოკატო ჰონორარის განაწილებას რეკომენდირების გადასახადის სახით ეთიკის კოდექსი არ უშვებს.

„ადვოკატთა შესახებ" კანონში 2009 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად[311] დაშვებულია საადვოკატო ბიუროს შექმნა იმ პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან ადვოკატები. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს მიღებული მოგების განაწილებას ასეთ პირებთან. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს კონფლიქტი ეთიკის კოდექსის რეგულირებასა (რომელიც კრძალავს არაადვოკატი პირებისთვის ჰონორარის განაწილებას) და კანონის იმ ნორმას შორის, რომელიც უშვებს არაადვოკატ პირებთან ერთად საადვოკატო ბიუროს შექმნას. არადვოკატ პირებს კანონის თანახმად არა აქვთ უფლება, განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა, თუმცა შეუძლიათ ქონებრივად და სხვა სახით მიიღონ მონაწილეობა საადვოკატო ბიუროს საქმიანობაში. მიუხედავად კანონში შეტანილი ცვლილებისა, რომლის მომზადებისა და განხილვის პროცესში ადვოკატთა ასოციაცია არ იყო ჩართული, ჯერ სამუშაო ჯგუფმა და შემდგომ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ მხარი დაუჭირა ისეთ პროფესიულ რეგულირებას, რომელიც ადვოკატებს უწესებს შეზღუდვებს, რათა მათ ვერ შეძლონ ჰონორარის ნაწილი გადასცენ ბიუროში მათთან ერთად გაერთიანებულ პირებს, რომლებიც არ არიან ადვოკატები. აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისად, უცნობია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციაც".[312]

11. დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოება

8.11.ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)

აპეკ-ის მითითებული პუნქტით, ადვოკატი კლიენტს უნდა ურჩევდეს მორიგებას, და სათანადო განმარტებას აწვდიდეს, რომ მოხდეს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტა, ეს პროცესის ეკონომიურობას უწყობს, ხელს, ზოგავს კლიენტის სახსრებსა და დროს სასურველი შედეგის მისაღწევად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით და კლიენტის მითითებებით მოქმედების ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული წესით აწარმოოოს მოლაპარაკებები პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან.[313]

---

311 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 18.1, ცვლილება 17.11.2009 N2040

312 ჟურნალი „ადვოკატი" N3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 30

313 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე,

ამ ნორმას 08.12.2012. ცვლილება-დამატებების შედეგად დაემატა დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე დამატებითი მითითება. „საქართველოში ბოლო წლებში მიღებულ იქნა რეგულაციები მედიაციის შესახებ, მათ შორის სასამართლო მედიაციის შესახებ. მედიაციის ინსტიტუტის განვითარების შესაბამისად, ადვოკატებმა უნდა შეაფასონ და კლიენტს მისცენ რჩევა დავის მედიაციის ფორმით განხილვის შესაძლებლობის შესახებ."[314]

12. კლიენტის ფინანსური სახსრების ჩანაწერი

8.12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

ხსენებული ნაწილიც, რა თქმა უნდა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს ემსახურება[315] და უკავშირდება ამავე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებს, რაც ერთობლივად ადვოკატის ვალდებულებას ადგენს, რომ კეთილსინდისიერი იყოს კლიენტთან ურთიერთობისას, სრული ინფორმაცია მიაწოდოს არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა "დაუჯდება" კლიენტს საქმის წარმოება,[316] არამედ საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი იყოს მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ფინანსურ საკითხებზე.[317]

ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრების, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სკურპულოზურად წარმოებას (მაგ. საგადასახდო დავალებაში გადამხდელის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე, გადახდის დანიშნულებაში: მაგ. კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟი, მართებულად მითითებას).[318]

აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი დაკავშირებულია ამავე მუხლის მე-13 პუნქტთან, კერძოდ, კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრი-

---

„ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 94

314 ჟურნალი "ადვოკატი" -N3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 29

315 აპეკ- ის მუხლი 5

316 აპეკ-ის მუხლი 8, პუნქტი 8

317 "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 6, პუნქტი 2

318 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 95

გებული სახით მიწოდების ვალდებულებასთან, რაც კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების განუყოფელი ნაწილია.

კომისიის განმარტებით, „კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.“[319]

ერთ-ერთ საქმეში კლიენტმა ადვოკატთან სააადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატს მოსთხოვა ანგარიშგება. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კლიენტთან ბოლო ვიზიტის შემდეგ ადვოკატი დაუკავშირდა კლიენტის მეუღლეს და მის მიერ გადმოგზავნილ თანხებთან დაკავშირებით განუმარტა, რომ მართალია გზავნილის მეშვეობით იღებდა ამ თანხებს, მაგრამ ანგარიშგებისთვის ბანკში უნდა მისულიყო ამონაწერების მისაღებად და სთხოვა თუ შეიძლებოდა დრო მიეცა, რომ გამოეთვალა საქმეთა წარმოებისთვის დახარჯული თანხები და დარჩენილი თანხა მისთვის დაებრუნებინა. ადვოკატი კლიენტის მეუღლეს რამდენჯერმე დაუკავშირდა, სთხოვდა ეთქვა, რამდენი თანხა ჰქონდა გამოგზავნილი, რომ გაერკვია დასაბრუნებელი თანხის ოდენობა. ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და შესაბამისად კლიენტიც არ იყო ინფორმირებული ანგარიშგების შესახებ. ადვოკატი ელოდებოდა ყოფილი კლიენტის მეუღლეს, როდის მიაწვდიდა ინფორმაციას გამოგზავნილი თანხების შესახებ, რაც არღვევდა სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულებას კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას წარმოადგინა ცნობები მიღებული საბანკო გზავნილების შესახებ, თუმცა, ეს ცნობები დათარიღებული იყო 2013 წლის ნოემბრის თვით, როცა ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტთან ურთიერთობა შეწყვიტა სექტემბრის შუა პერიოდში. შესაბამისად, კლიენტსა და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში, ასევე ურთიერთობის დასრულებიდან დაახლოებით 2 თვის განმავლობაში ადვოკატს არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა და კლიენტი ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმირებული დისციპლინური წარმოების პროცესში გახდა, როდესაც ადვოკატმა მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმოებიდან გამომდინარე მოიძია კლიენტისგან მიღებული თანხების შესახებ ინფორმაცია. ადვოკატს

319 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 133/13, 02 თებერვალი 2015 წელი

ვალდებულება აქვს ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს მოთხოვნისთანავე და კლიენტის ინფორმირება დაადასტუროს ეთიკის კომისიაში. საბანკო გზავნილების შესახებ ცნობების წარმოდგენით არ დადგინდა კლიენტის ინფორმირება საადვოკატო მომსახურების გაწევის დროს ან მისი დასრულების შემდეგ.[320]

13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვა და განკარგვა

8.13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.(08.12.2012)

ეთიკის კომისიამ გაფართოებულად განმარტა კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება და აღნიშნა: „იგი მოიცავს მესამე პირის მიერ ადვოკატისათვის კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებასაც.”[321]

14. კლიენტის ინტერესების დაცვა

8.14.ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა

აპეკ-ის ეს პუნქტიც კლიენტის ინტერესტთა უპირატესობას ემსახურება და არა მხოლოდ მე-8 მუხლის ყოველი პუნქტი, არამედ ყველა ნორმა კლიენტის საუკეთესო ინტერესზეა მორგებული, რადგან თავად ეთიკის კოდექსი ზედმიწევნით კლიენტზე ორიენტირებული მოდელია.

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვა პატიოსნად და უშიშრად დაკავშირებულია კლიენტის კეთილსინდისიერად წარმოდგენის ვალდებულებასთან, როდესაც ადვოკატმა უნდა აირიდოს პირადი ინტერესების ზეგავლენა, ასევე, ის საკმარისად დამოუკიდებელი უნდა იყოს გარეშე ზეგავლენის ფაქტორებისაგანაც, რომ უშიშრად შეძლოს კლიენტის წარმოდგენა,

---

320 იქვე

321 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 96

მიუხედავად მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგისა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სხვა პირი ვერ იქნება ადვოკატის კლიენტი, რადგან სწორედ მისი საუკეთესო ინტერესების ერთგულება ეკისრება ადვოკატს.[322]

15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე

8.15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)

„აღნიშნული ნორმის პირველადი რედაქცია მომზადდა 2009 წელს, თუმცა მაშინ ცვლილების მიღება ადვოკატთა საერთო კრების მიერ ვერ მოხერხდა. ნორმის 2012 წლის რედაქციაში დაკონკრეტდა დოკუმენტებისა და ქონების წარმოშობის წყარო, რომელთა უპირობოდ გადაცემის ვალდებულება აქვს ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობის შეწყვეტისას. ასევე დაემატა ახალი ნორმა ადვოკატის ჰონორარისა და გაწეული ხარჯის გამოქვითვის უფლების შესახებ.

კლიენტისთვის დოკუმენტებისა და ქონების უპირობო დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება იმ დოკუმენტებსა და ქონებაზე, რომლებიც ადვოკატს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას გადასცა:
ა) თავად კლიენტმა;
ბ) სასამართლომ;
გ) სხვა ორგანომ ან პირმა.

უპირობო დაბრუნების უფლება არ ვრცელდება იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ადვოკატმა თავად შექმნა წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მათი ბენეფიციარი კლიენტია და კლიენტს აქვს მათი მიღების უფლება, გარკვეულ შემთხვევაში ადვოკატს აქვს მათი დაკავების უფლება.”[323]

---

322 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 96-97

323 ჟურნალი “ადვოკატი” N3 - ეთიკის კოდექსის კომენტარები გვ. 31

მე-8 მუხლისათვის მე-15 პუნქტის დამატებამდე (08.12.2012.) ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ მიუთითა საქმის წარმოების დამთავრებისას ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ გადასცეს კლიენტს, მის წარმომადგენელს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვ. ამ ჩანაწერის მიზანია კლიენტის ინტერესების დაცვა, რათა მას არ შეექმნას მისი უფლების შემდგომ ეტაპზე რეალიზაციისათვის რაიმე სახით დაბრკოლება ან თუნდაც დაუბრუნდეს ყველაფერი, რაც მის საქმეს უკავშირდება და კლიენტის ინტერესს არგებს ან აკმაყოფილებს.[324]

ადვოკატს სამოქალაქო საქმეზე უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 2000 (ორი ათასი) ლარი. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასამართლო მოსამზადებელ სხდომაში. საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. ადვოკატი არ დასწრებია სასამართლოს მთავარ სხდომას, ვინაიდან როგორც აღმოჩნდა მისთვის უცნობი იყო სხდომის თარიღი. სასამართლომ სხდომის თარიღი აცნობა მხოლოდ მხარეებს, ხოლო კლიენტი არ დაუკავშირდა ადვოკატს. სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო კლიენტმა ადვოკატს გაუუქმა რწმუნებულება. მინდობილობის გაუქმების შემდეგ ადვოკატმა ყოფილ კლიენტს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით.[325]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მო-

324 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 98

325 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 037/14, 10 დეკემბერი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/09/21/f5f891b2547ef4ef83c1ce7cb12aa176.PDF

მსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას."[326]

კომისიის შეფასებით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა ზეპირი ფორმით. საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვია ადვოკატისადმი ნდობის დაკარგვამ. ურთიერთობის შეწყვეტამდე ადვოკატმა კლიენტს მოუმზადა საპროცესო დოკუმენტები და წარმოადგინა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელება ადვოკატმა ვერ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე. მხარეებს ხელშეკრულებით ზუსტად დადგენილი არ ჰქონდათ ადვოკატისათვის გადაცემული ჰონორარიდან, 2000 (ორი ათასი) ლარიდან რა ნაწილი იყო გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადებისა და მოსამზადებელ სხდომაზე საპროცესო წარმომადგენლობისათვის. შესაბამისად, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.[327]

კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წარმომადგენლობისათვის მიღებული ჰონორარის ნაწილი, რომელიც საკუთარი მომსახურებით სამართლიანად არ გამოუმუშავებია, კლიენტს არ დაუბრუნა, რითაც მან დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი რეგულაცია.[328]

ასევე სხვა დისციპლინურ საქმეში კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო. ურთიერთობის შეწყვეტამდე ადვოკატმა წარმოადგინა მომჩივანის ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოში. მხარეებს ხელშეკრულებით დადგენილი ჰქონდათ, რომ საადვოკატო მომსახურება გულისხმობდა მარწმუნებლის ინტერესების წარ-

326 იქვე
327 იქვე
328 იქვე

მოდგენას მიმდინარე დავის ფარგლებში სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებშიც, რაც ამ შემთხვევაში ადვოკატს არ გაუწევია. ადვოკატი მინდობილობის ვადის გასვლის გამო არ იყო უფლებამოსილი მომჩივანი წარმოედგინა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ადვოკატმა მარწმუნებელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებამდე გასაჩივრების ვადის დაცვის მიზნით მოუმზადა სააპელაციო საჩივარი, რომელიც შემდეგ ახალი ადვოკატის დახმარებით დააზუსტა კლიენტმა. ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული ადვოკატისათვის გადაცემული საზღაურიდან, 1750 (ათასშვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარიდან რა ნაწილი იყო გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადების, პირველი ინსტანციის სასამართლოში საპროცესო წარმომადგენლობისათვის და სააპელაციო/საკასაციო ინსტანციებში კლიენტის ინტერესების წარმოდგენისთვის. შესაბამისად, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის, ვინაიდან მან არ დაასრულა შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.[329]

ადვოკატი მომჩივანთან ზეპირი ხელშეკრულებისა და რწმუნებულების საფუძველზე წარმოადგენდა მომჩივანს, როგორც A-ს მინდობილი პირის ინტერესებს, მეორე რწმუნებულების საფუძველზე ადვოკატი წარმოადგენდა თავად მომჩივანს და ასევე ამავე დღეს გაცემული მესამე რწმუნებულების თანახმად, მომჩივანს, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარის ინტერესებს.[330]

კომისიამ უდავო ფაქტობრივი გარემოებების სახით დაადგინა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არსებობდა წერილობითი ხელშეკრულებები და მისით განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობის საგანი, მისით დადგენილი უფლებები და მოვალეობები; ადვოკატსა და კლიენტს შორის საერთო დეპოზიტზე განთავსებული იყო თანხა, რომლის გამოყენება მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით იყო შესაძლებელი; ადვოკატს არ უწარმოებია ფინანსური ანგარიშგება კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხებისა; ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება ნაწილობრივ არ ხდებოდა დადგენილი წესით და არ ხდებოდა მისი დოკუმენტალური აღრიცხვა. ასეთი დოკუმენტები: (საბანკო ამონაწერები ან სხვა სახით წარმოდგენილი არ ყოფილა); ადვოკატმა არ გადასცა კლიენტს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.[331]

---

329 მე-8 მუხლის მე-15 ნაწილზე შეგიძლიათ ასევე იხილოთ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 167/13, 11 სექტემბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/09/21/2ac26f96cde065d7d9e357c8bfd539c4.PDF

330 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 103/13, 07 ივლისი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/25e898a9293562825eba35b4379c56a5.PDF

331 იქვე

კომისიამ განმარტა, რომ კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მინდობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #004/12 დაადგინა, რომ „კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა უფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას.”[332]

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #003/12 დაადგინა, რომ „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს

332 იქვე

კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას."[333]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. როგორც საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით ირკვევა, ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაუბრუნებია კლიენტისათვის მისგან მინდობილი ფულადი სახსრები, იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.[334]

ადვოკატის ზემოთმოცემული უმოქმედობა/მოქმედებებით არ მომხდარა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–12, მე–13 და მე–15 ნაწილებით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის დაცვა: ის რომ ადვოკატი არ აკეთებს ზუსტ ფინანსურ ჩანაწერებს კლიენტის თანხების შესახებ, მინდობილი თანხების მართვისას არ ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერებით, ის, რომ არ მოახდინა ზუსტი განსაზღვრა და კლიენტთან შეთანხმება ორმხრივი ფინანსური ბიუჯეტის განკარგვისა ან ცალმხრივი პრეტენზიის შემთხვევისა დადგომის უფლებების შესახებ. ამასთან ერთად კლიენტისათვის დოკუმენტების დაბრუნებაზე უარს არ გააჩნია მიზეზი, რადგან ისინი და მასში მოცემული ინფორმაცია კლიენტის საკითხია და მას ეკუთვნის, დოკუმენტები კლიენტის მიერ მიწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის ინტერესების გატარების პროპორციულია და საშუალებაა მიღწეული იქნას ის, რაც კლიენტის კანონიერ ინტერესებს ემსახურება. ადვოკატს არ გააჩნია მიზეზი არ დაუბრუნოს კლიენტს დოკუმენტები. სხვა შემთხვევაში ივარაუდება საშუალებად დაიყოლიოს კლიენტი ან აიძულოს მის სასარგებლოდ იმოქმედოს. აქაც ჩანს ადვოკატის ფინანსური არაპროპორციული ინტერესი.[335]

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–12, მე–13 და მე–15 ნაწილები არეგულირებს ადვოკატისთვის პროფესიულ ქცევას კლიენტის თანხების ანგარიშგებისა და კეთილსინდისიერად მართვის კუთხით. ეს რეგულაციები იცავს კლიენტს გადახდილი ან მინდობილი ფულადი სახსრები არ იყოს არაპროპორციულად გახარჯული.[336]

333 იქვე
334 იქვე
335 იქვე
336 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nდს-შ-/5-14

მუხლი 8
პრიმა. საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება

ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკ-ლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირითადი ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

ეთიკის კომისიაში რეკომენდაციების სისტემის ამოქმედებისთანავე, პირველი შეკითხვა სწორედ აპეკ-ის ახალ ნორმას - მე-8 პრიმა მუხლს დაუკავშირდა. მოგვიანებით, კიდევ რამდენჯერმე მიმართეს ეთიკის კომისიას ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა და ამავე საკითხზე მოითხოვეს რეკომენდაციები, რასაც ვრცლად განვიხილავთ.[337]

ახალი ნორმა უფლებას აძლევს ადვოკატს, რომ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას რეკლამირება გაუწიოს, თუმცა, აქაც არსებობს თვითრეგულირება აპეკ-ის ფარგლებში, რომელიც ზოგადად იზიარებს „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის ისეთ ძირეულ კომპონენტებს, როგორებიცაა არასათანადო რეკლამა,[338] შეცდომაში შემყვანი რეკლამა,[339] შედარებითი რეკლამა.[340]

სადისციპლინო პალატამ უცვლელი დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება და განმარტა, რომ ადვოკატმა ვერ წარმოადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება (ხელშეკრულება), სადაც მითითებული იქნებოდა ადვოკატ-კლიენტის უფლება-ვალდებულებებზე, ასევე იმის თაობაზე, რომ ადვოკატი იყო ამხანაგობის სამართლებრივი მომსახურების გარანტი და სადაო თანხა სწორედ ამ საინვესტიციო პროექტის განხორციელების მომსახურებისთვის განკუთვნილ ჰონორარს წარმოადგენს, შესაბამისად, ადვოკატი დგება იმ იძულების წინაშე, რასაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმა ავალდებულებს - კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფელებამოსილების განხორციელებისას. ...აღნიშნული მოთხოვნის დაცვა ზედმიწევნით **უზრუნველყოფს როგორც კლიენტის ნდობას ადვოკატის მიერ ფულადი სახსრების მართვისას**, ასევე განაპირობებს ნდობას ადვოკატის პროფესიული ნიშნისადმი. მითითებულ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა კი, თავისი არსით ემსახურება როგორც კლიენტის ინტერსების მაღალი ხარისხით წარმოჩინებას, ასევე განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხს **კლიენტსა და მისი ინტერესების** დამცველს შორის. აღნიშნული ფორმის ურთიერთობა კი თავის მხრივ განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტურობას.
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/05/11/04363b7fdb01fd5a79522c390f65623d.PDF

337 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 100

338 "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 3

339 იქვე, მუხლი 3, პუნქტი 6

340 იქვე, მუხლი 3, პუნქტი 6 პრიმა

8.1 რეკლამირების პირობა:

რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია სწორია;

რეკლამაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის შეცდომაში შემყვანი და არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს.

აპეკ-ის მე-8 პრიმა მუხლის ზემოხსენებულ პირობებს ერთად განვიხილავთ, რადგან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისადაიურიდიულისაბჭოს(CCBE)მიერევროპელიადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსით[341], „ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით." ადვოკატს საზოგადოების წინაშე ნაკისრი მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი პროფესიული საქმიანობა მოეთხოვება, რაც ბუნებრივია დაცული უნდა იყოს საქმიანობის რეკლამირების დროსაც.[342]

საადვოკატო ბიუროს სლოგანია „შედეგიანი პასუხისმგებლობა".[343]

კომისიის განმარტებით, ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული და ადვოკატებს, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, საკუთარი საქმიანობის შესახებ ყველაზე ეფექტიანი, ლაკონიური და დახვეწილი გამონაქვამით, ფრაზით თუ სიტყვათა წყობით ინფორმაციის თავისუფლად მიწოდება უნდა შეეძლოთ, პროფესიული სტანდარტის შესატყვისად. პოტენციური მომხმარებლების ან ზოგადად პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, საადვოკატო საქმიანობის შესახებ დასამახსოვრებელი სლოგანის გამოყენება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საქმიანობის, პროფესიული ღირებულებებისა და კონკრეტული პირის იმიჯის წარმოსაჩენად.[344]

„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი არ განმარტავს ცნებას "სლოგანი", თუმცა, სლოგანის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასამახსოვრებელი ლა-კონური, სხარტი და გასაგები ფრაზით მიაწოდოს პირთა განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ წრეს მთავარი იდეა ან მიზანი, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება, ზოგადად პროფესიული საქმიანობის ან კონკრეტული პირის სწრაფვას ასახავს. სლოგანის შინაარსი მისი ძირითადი იდეის გასაგებად არ

---

341 CCBE კოდექსი, მუხლი 2.6.1.

342 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 101

343 წერილობითი რეკომენდაცია 004/14, 08 მაისი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/05/14/7d658303b3013cd0ee121904880bbc0d.pdf

344 იქვე

უნდა საჭიროებდეს დამატებით განმარტებას და ხანგრძლივ მსჯელობას.[345]

კომისიის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო გარკვეულიყო, საადვოკატო ბიუროს სლოგანი „შედეგიანი პასუხისმგებლობა" რა კონტექსტით შეიძლება აღიქვან პოტენციურმა კლიენტებმა თუ ზოგადად საზოგადოებამ. მითითებული სიტყვათა წყობა შინაარსობრივად ბუნდოვანია, არ იძლევა ფრაზის მნიშვნელობის გასაგებად განმარტების შესაძლებლობას და შეკითხვებს ბადებს; რას ასახავს კონკრეტული სლოგანი: საადვოკატო ბიუროს პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულებას საქმისადმი და კლიენტისათვის სასურველი შედეგისაკენ სწრაფვას თუ კლიენტისათვის მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესს, როგორც საქმის შედეგზე, პასუხისმგებლობას.[346]

კომისიის შეფასებით, შეკითხვაში მითითებული სლოგანის სახით გამოყენებული ფრაზა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს ტოვებს და მიზანშეწონილი არ არის მისი გამოყენება აპეკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, რადგან სლოგანის სიტყვები მაღალი ალბათობით საქმის შედეგზე გარანტიად აღიქმება. ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში კლიენტთან ურთიერთობისას, ერთ-ერთი ძირეული ფასეულობაა ადვოკატის მიერ საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ამასთან, რეკლამის რეგულირებასთან დაკავშირებით, აპეკ-ის მე-8 პრიმა მუხლი უთითებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას ინფორმაციის იმგვარად გავრცელებაზე, რაც შეცდომაში შემყვანი არ იქნება ნებისმიერი მესამე პირისათვის. სლოგანში გამოყენებული სიტყვები: „შედეგიანი პასუხისმგებლობა" შესაძლოა მიმზიდველი აღმოჩნდეს პოტენციური მომხმარებლისათვის და საადვოკატო ბიუროს მიერ პასუხისმგებლობის აღების ფარგლებზე არასწორი მოლოდინი გაუჩნდეთ.[347]

8.2 თვითრეკლამა თუ პირდაპირი ან ირიბი მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე?

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია ადვოკატებში და შეკითხვა შეეხო ერთ-ერთი იურიდიული ფირმის ფეისბუქ გვერდზე, მომხმარებლისათვის გასაცნობად, საჯაროდ, გამოქვეყნებულ შემდეგი შინაარსის განცხადებებს:

„რა გავაკეთოთ ბანკთან პრობლემების დროს? პირველ რიგში მოგვმართეთ ჩვენ. ჩვენ ზუსტად ვიცით რისი უფლება აქვს ბანკს კანონით. ჩვენ ვიცით, რა ტიპის ხელშეკრულებები ფორმდება ბანკთან სესხების დროს, როგორია იპოთეკის ხელშეკრულებები. შესაბამისად ჩვენ ვიცით ის წესები, რომელთა დაცვით შეუძლია მოითხოვოს ბანკმა ხელშეკრულებების შესრულება."

„ჩვენი გუნდი დეტალურად შეისწავლის საქმეს, თუ აუცილებელია დამატებით შეაგროვებს მტკიცებულებებს, დაიწყებს მოლაპარაკებებს მოპასუხე მხარეს-

345 იქვე
346 იქვე
347 იქვე

თან და მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, რომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი.“

„საუკეთესო იურისტები.“
„ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათლებით, რაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია.“
„თუ გჭირდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში.“
„The best lawyers of Georgia.“
„თქვენს ინტერესებს დაიცავენ პროფესიონალი იურისტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან...“[348]

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის შეკითხვაში მოყვანილი ფრაზები უსაფუძვლოდ პრეტენზიულია, ვინაიდან შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი შესაძლოა მიჩნეული იქნეს საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში. შესაბამისად, ვინაიდან აპეკ-ის მე-8[1] მუხლი ავალებს ადვოკატს საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას გაავრცელოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, ზემოხსენებული ფრაზებით ილახება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული სიკეთე.[349]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მითითებული ფრაზები შეიცავს ინფორმაციას პოტენციურ კონკურენტებზე, რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმოჩენას სხვაზე უკეთესად. ნებისმიერ ადვოკატს აქვს უფლება საკუთარი თავი საუკეთესოდ მიიჩნიოს, მაგრამ საკუთარი თავის რეკლამირებისას მისი სუბიექტური შეფასება, როგორც ობიექტური საფუძვლის მქონე, არ უნდა შესთავაზოს პოტენციურ კლიენტებს (მომხმარებლებს),.[350]

ვინაიდან მითითებული ფრაზეოლოგია არ შეიცავს ინფორმაციას რეკლამის გამავრცელებელი ადვოკატის, თუ ადვოკატთა ჯგუფის მიერ საკუთარი პროფესიული თვისებების სუბიექტური აღქმის შესახებ (მაგ. „ჩვენი აზრით“, „მიგვაჩნია, რომ“ და ა.შ.), უნდა ჩაითვალოს რომ რეკლამის გამავრცელებლის მიზანია მომხმარებელს შეუქმნას აღქმა გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობის შესახებ, რაც ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით უნდა ჩაითვალოს აპეკ-ის მე-8[1] მუხლის მოთხოვნათა დარღვევად.[351]

აპეკ-ის მე-8[1] მუხლი შესაძლოა დაირღვეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადვოკატების მიერ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსების თაობაზე.[352]

348 წერილობითი რეკომენდაცია 016/14, 06 იანვარი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/16/3a66a36f787594307e3af89517a50e29.pdf
349 იქვე
350 იქვე
351 იქვე
352 რეკლამირების ეთიკურობასთან დაკავშირებით დამატებით შეგიძლიათ იხილოთ 2013

მუხლი 9.
ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.
2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.
3. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.
4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)

9.1 სასამართლოსთან კომუნიკაციის ზოგადი სტანდარტი

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა ქცევის წესებს სასამართლოში და სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოებთან. „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს".[353] ამავე კანონით ადვოკატი ვალდებულია - „კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები," ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, „არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები." თავისი პროფესიული ფუნქციის, საადვოკატო მომსახურეობის განხორციელებისას, ადვოკატი შებოჭილია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ის ვალდებულია პატივი სცეს პროცესის მონაწილე სხვა პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა, რაც ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.[354]

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს, მართლმსაჯულების

წელს გაცემული წერილობითი რეკომენდაციები: 001/13, 19 აპრილი, 2013 წელი; 012/13, 07 აგვისტო, 2013 წელი; 014/13, 06 სექტემბერი, 2013 წელი; 016/13, 27 სექტემბერი, 2013 წელი.
353 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1
354 იქვე, მუხლი 5

ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას.[355]

დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ ქცევის წესებს. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ხელმძღვანელობს კანონით. დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დარღვევა.[356]

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები, თავისი პროფესიული ვალდებულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, რაც არ გულისხმობს, ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას მხოლოდ სასამართლო სხდომის დროს, პროცესის მონაწილე პირთა მიმართ. ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატის ეკისრება აგრეთვე სასამართლოს მგავსი ფუნქციის მატარებელ ორგანოებში და მისი მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, ამ პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ.[357]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის პროცედურას, „ადვოკატი რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს." აღნიშნული გულისხმობს, როგორც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას.[358]

დაცვის უფლების განხორციელება არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას, დაცვის მოტივით, განახორციელოს ნებისმიერი სახის მოქმედებები. დაუშვებელია არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს, კანონი არ აძლევს ბრალდებულს უფლებას, დაცვის განხორციელების მიზნით, ადვოკატს მოსთხოვოს დაარღვიოს კანონი ან ისეთი დაცვის სტრატეგია შეიმუშაოს, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს აქვს უფლება დაცვის განხორციელების პროცესში ამგვარად იმოქმედოს.[359]

---

355 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 105

356 იქვე

357 იქვე

358 იქვე

359 იქვე

9.2 პროფესიული კრიტიკის ფარგლები

ადვოკატებს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად უწევთ სასამართლოს მიერ მიღებული აქტების შეფასება და მათი კრიტიკა. კლიენტის ინტერესის პრიორიტეტიდან გამომდინარე, სასამართლო აქტების და მოსამართლის მოქმედებების კრიტიკა ადვოკატის ვალდებულებაა. კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატი ვალდებულია შეაფასოს და გააკრიტიკოს სასამართლოს მიერ მიღებული აქტები, მაგრამ ეს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროფესიული კრიტიკის დასაშვები ფორმით.[360]

ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს პროფესიული კრიტიკა და მისი ფარგლები. სად გადის ზღვარი პროფესიულ კრიტიკასა და სასამართლოს შეურაცხყოფას შორის.

ძალზედ მნიშვნელოვანია ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - განაცხადი N73797/01, (2005 წლის 15 დეკემბერი), რომელიც საინტერესოდ განმარტავს, თუ რა წარმოადგენს პროფესიული კრიტიკის ფარგლებს. სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, ასევე ჩარევას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი სასამართლო ხელისუფლების დაცვის სახით. სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა აღნიშნული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". უფლების დაცულ სფეროში ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც დგას „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება". ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და სასამართლოს შორის. მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელების პროცესში და საჯარო ნდობას გაამართლებენ. მართალია, ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. მით უფრო, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა, დაცული უნდა იყოს სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის." [361]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში Skalka v Poland (განაცხადი N43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება)

360 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 108

361 იქვე

მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინ-სტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზო-გადოებაში წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისგან.”[362]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou V Cyprus (განაცხადი N73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა დაცული უნდა იქნეს სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის. ადვოკატზე დაკისრებული სანქცია უნდა იყოს შეზღუდვის პროპორციული, რადგან ადვოკატის მიმართ განხორციელებულ ზემოქმედების ღონისძიებებს შესაძლოა მომავალში ჰქონდეს „შემზღუდველი ეფექტი” ად-ვოკატების მიერ თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას.“[363]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მო-ქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლა-მენტის წინააღმდეგ” (საქმე N1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გა-დაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს”. [364]

9.3 სასამართლოსადმი უპატივცემულობა და მოქმედი წესების დარღვევა

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით N158/13, დაადგინა, რომ ადვოკატმა პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, რითაც მან დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, ასევე “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე - 5 მუხლის „ბ“ და „გ” ქვეპუნქტები.[365]

362 იქვე
363 იქვე
364 იქვე
365 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 158/13, 21 ოქტომბერი 2014 წელი

თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისა და გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოს განმარტებისას, მოსარჩელის ადვოკატმა განახორციელა არაეთიკური ქმედებები, რაც მის მიერ სხდომაზე დამსწრე სხვა პირებთან ერთად სასამართლოს შემადგენლობისადმი შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით სხდომის მიმდინარეობის დარღვევაში, წესრიგის დაცვის თაობაზე სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობასა და დარბაზის დემონსტრაციულად დატოვებაში გამოიხატა. ადვოკატი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მიმდინარე სასამართლო პროცესის დასრულებამდე ადგა და მოსამართლეთა უნებართვოდ დატოვა სხდომის დარბაზი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - "როგორ არ გრცხვენიათ", "თქვენი დროც მოვა". ამავე დროს ადვოკატმა მარჯვენა ხელით, საჩვენებელი თითის ჟესტიკულაციით მოახდინა ამ სიტყვათა დემონსტრირება. ხელი სხდომის მოსამართლეთა კათედრისკენ მიმართა.[366]

აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატი დაჯარიმდა მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარე) მიერ სასამართლოს უპატივცემულობისა და განკარგულების შეუსრულებლობის გამო.[367]

ადვოკატის განმარტებით, საქმე აღნიშნულ კოლეგიას არ უნდა განეხილა, ვინაიდან მოსამართლეები სათანადოდ არ იყვნენ მომზადებულნი. სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას სასამართლო სხდომის დარბაზში წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია დამსწრეთა შორის, რის გამოც მან სცადა დამსწრეთა დამშვიდება და მოსამართლემ აღნიშნულის გამო დააჯარიმა იგი. ადვოკატის განმარტებით, მას დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გაუგია და არც შესაბამისი დოკუმენტი ჩაბარებია. ამ არეულობაში მისთვის უცნობმა პიროვნებამ იგი კარისკენ მისწია და ხალხის ტალღამ გარეთ გამოიყვანა. ადვოკატის განცხადებით, მას მოსამართლისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ყველამ ჩათვალა, რომ პროცესი დასრულებული იყო, ადვოკატიც ადგა და გავიდა დარბაზიდან. მოსამართლე კვლავ განაგრძობდა განმარტებებს, თუმცა არავინ აღარ უსმენდა. მოსამართლეს შეეძლო განემარტა დამსწრეთათვის, რომ სხდომა გრძელდებოდა, თუმცა ეს არ გაუკეთებია.[368]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების,

366 იქვე
367 იქვე
368 იქვე

ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.“[369]

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N010/10 იმსჯელა ერთის მხრივ, სასამართლო დარბაზში ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე და მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვაზე. კომისიის განმარტებით „ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს. ადვოკატი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლო გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმი).[370]

გადაწყვეტილების გამოტანისას, ეთიკის კომისია დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, მოცემულ საქმეებზე მითითებულ გადაწყვეტილებებს: Kyprianou v. Cyprus; Brandstetter v. Austria; Claudel v. Austria; X v. The United Kingdom; X v. Switzerland.

კომისიის შეფასებით, ადვოკატის სასამართლო პროცესზე მოქმედება, ასევე რეპლიკა, როდესაც იგი დგება სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ”, “თქვენი დროც მოვა” მუქარანარევ გაფრთხილებად აღიქმება. ვიდეო ჩანაწერში კი ცხადად, თვალნათლივ ჩანდა, რომ ამ სიტყვებს ადვოკატი მუქარისთვის დამახასიათებელ ჟესტიკულაციას (თითისქნევას) ურთავს და დემონსტრაციულად გადის.[371]

369 იქვე
370 იქვე
371 იქვე

კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ თავის პოზიციაში გადმოცემული სასამართლო სხდომამდე არსებული მდგომარეობა, თუნდაც მისი გათვალისწინების თვალსაზრისით არ წარმოადგენს რაიმე სახის (მაგალითად, საპატიო) მიზეზს, რაც გამორიცხავდა ადვოკატის პროფესიულ უმართლობას. პროფესიული ქცევა რეგულირებულია როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოს გარე ურთიერთობებში და ხშირად არსებობს პროფესიული ქცევის წესების დარღვევის საფრთხე.[372]

ზემოთნახსენებ დროს ადვოკატის სიტყვიერი და ფიზიკური მოქმედებები, ეწინააღმდეგება აპეკ-ის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც იცავს სასამართლო წარმოებისას წესრიგს და განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიულ დამოკიდებულებას სასამართლოსადმი. აღნიშნულს ასევე არეგულირებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომელიც მოითხოვს ადვოკატის პატივისცემას სასამართლოში მოქმედი წესებისადმი, რაშიც იგულიხმება ასევე, რომ ადვოკატმა თავისი მოქმედებები და ემოცია უნდა გააკონტროლოს სხდომის დროს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესში, რომლის ხელშეშლას სხვა პირებთან ერთად არ უნდა შეუწყოს ხელი. ადვოკატმა არ უნდა დატოვოს სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე სასამართლო დარბაზი, მაშინაც კი როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადება მიმდინარეობს. ადვოკატს შეუძლია არ დაესწროს მოცემულ სხდომას ანუ არ შევიდეს სასამართლოს სხდომის დარბაზში.[373]

კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატის დამოკიდებულება პროფესიული ქცევებისადმი სასამართლოში და არ გაიზიარა ის მოსაზრებები, რომ მოსამართლემ უნდა განაცხადოს სხდომის გაგრძელების შესახებ თუ მხარეები და დამსწრე პირები სხდომის დარბაზის დატოვებას საჭიროებენ.[374]

ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სასამართლომ კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება გაიზიარა, თუმცა არ დაეთანხმა კომისიას ადვოკატისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობის ფორმაში.[375]

---

372 იქვე

373 იქვე

374 იქვე

375 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება დს-შ/3-15, 01 აპრილი, 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/05/11/9cb0c567ce033dc5195468b090b0a4ab.PDF
სასამართლოს შეფასებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რომ საქმე, რომლის განხილვის დროსაც მოცემულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებული სირთულისა და რეზონანსის მქონე იყო, დარბაზში არსებობდა დაძაბული ფონი, ამასთან ადვოკატს დღეის მდგომარეობით არ აქვს დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა სხვა დისციპლინური გადაცდომისთვის, ასევე სარგებლობს დადებითი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში აღიარებს საკუთარ ბრალეულობას, თუმცა

9. 4 გამოხატვის თავისუფლება თუ სასამართლოს შეურაცხყოფა

საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შეფარდების შემდეგ მიცემული ინტერვიუ. ადვოკატმა საჯაროდ, ტელევიზიით სასამართლო ადმინისტრაციულ შენობაში ინტერვიუს მიცემისას საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ განაცხადა: „ნაძირლები არიან, ყველა ერთად, პროკურატურაც, სასამართლოც და ყველა ერთად. შეკრულები არიან და ნაძირლები. დამფრთხალი და ჩმორი მოსამართლე გამოვიდა, სუნი ჰქონდა რომ გამოვიდა, სუნი იყო, ყარდა, ახლოს ვიჯექი.“ [376]

ადვოკატმა დაადასტურა, რომ ხსენებული განცხადებები მას ეკუთვნოდა და ეს გამოწვეული იყო მოსამართლის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებით. მოსამართლემ არ მოუსმინა დაცვის მხარეს, თითქოს ადვოკატები არაფერს წარმოადგენდნენ და მხოლოდ პროკურორებს შესაციცინებდა თვალებში. მოსამართლემ სხდომის მდივანი რამდენჯერმე გაუგზავნა სხდომის დარბაზში მსხდომ პროკურორებს; პროკურორები გარეთ გადიოდნენ, რეკავდნენ და შემდეგ ისევ ესაუბრებოდნენ მდივანს, რომელსაც მოსამართლესთან გზავნიდნენ. მსგავსი ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა მაშინ, როცა მოსამართლე გადაწყვეტილების მისაღებად იყო გასული. ადვოკატი ძალიან ახლოს იჯდა მოსამართლესთან და დაინახა, რომ მოსამართლე შეშინებული იყო და ხელები უკანკალებდა. ადვოკატმა სწორედ ამის გამო განაცხადა ინტერვიუში, რომ მოსამართლე იყო მშიშარა და შეკრული პროკურატურასთან. სასამართლო იყო პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ და ერთად ცდილობდნენ მისი კლიენტის სათანადო დაცვის შეზღუდვას.[377]

ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას, საქმე ეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლს, რომელზეც ვრცელდებოდა „ამნისტიის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედება, სასამართლოს სხდომას ესწრებოდნენ უცხოელი დამკვირვებლები და ჟურნალისტები, ამიტომ არავინ ელოდა, რომ ასეთი შედეგი დადგებოდა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა იქნებოდა გამოყენებული.[378]

მიაჩნია, რომ მისი მხრიდან, სასამართლოს მიუკერძოებლობისა და არაობიექტურობის შესახებ ეჭვისა და მოსაზრების გამოთქმა მისი უფლებაა და ამ თვალსაზრისით მისი ქმედებები არ არის გამოსული ეთიკის კოდექსის ჩარჩოებიდან. სასამართლო ადგენს დისციპლინურ გადაცდომას, მაგრამ მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი ზედმეტად მკაცრია და უნდა შეიცვალოს ზემოქმედების ღონისძიებით.

376 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 141/13, 15 აპრილი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2014/12/08/92cc81b9810629032be6c45b4aa6a242.pdf

377 იქვე

378 იქვე

ადვოკატის განმარტებით, მას უსუსურობის განცდა დაეუფლა იმის გამო, რომ სასამართლომ არ მოუსმინა ადვოკატს, ამის გამო იგი ემოციებს აჰყვა და ასეთ ვითარებაში, დაძაბულ ემოციურ ფონზე გააკეთა განცხადება მედიის წინაშე.[379] ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. ეთიკის კომისიამ გაიზიარა კომისიის პრაქტიკა და აღნიშნა, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10, დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“[380]

ეთიკის კომისიასთან გასაუბრებისას ადვოკატმა თავად შეაფასა საკუთარი განაცხადი და მიიჩნია, რომ მან სასამართლო შეურაცხყო თავისი კომენტარით, რაც შეუფერებელი და მიუღებელია პროფესიისათვის. ადვოკატის განმარტებით, მისი ქცევის მიზეზი იყო მისი მაღალი ემოცია და ვერ შეიკავა თავი.[381]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება შეურაცმხყოფელია მართლმსაჯულების სისტემისათვის, სასამართლოსათვის, პროფესია ადვოკატისათვის და ხელს უშლის ნდობის გაძლიერებას საზოგადოებისადმი. ადვოკატი მოიქცა არაეთიკურად. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განცხადებები ძირითადად მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება, ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას აქვს კრიტიკის უფლება, მაგრამ მან შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს მართლმსაჯულების სისტემას და მის მონაწილე პირებს. ადვოკატმა უნდა იცოდეს თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფელ განცხადებებს შორის ისე, რომ არ აეკრძალოს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება.[382]

379 იქვე
380 იქვე
381 იქვე
382 იქვე

9.5 სასამართლოსადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები

ბრალდებულთა ადვოკატმა განაჩენის გამოცხადების შემდეგ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის შესახებ განაცხადა: „რაც შეეხება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას, ეს არის არამარტო უსამართლო, არამედ უსინდისო გადაწყვეტილება და მე ვიტყოდი, რომ სასამართლომ ამით ხელი დააფარა იმ ბოროტმოქმედებს, რომლებმაც ჩადეს ეს იარაღი.“[383]

სასამართლომ საჩივარში აღნიშნა, რომ ადვოკატის კომენტარი შეურაცხმყოფელია, ემსახურება სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვას და იწვევს მოსამართლის დისკრედიტაციას. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული უფრო მძაფრად ხორციელდება, ვინაიდან ადვოკატი ცნობილი პიროვნებაა და მის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაკეთებული შეფასება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ადვოკატის განცხადებები სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ადვოკატი არ დაელოდა დასაბუთებული განაჩენის მიღებას, გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები და მოსამართლე დანაშაულის თანამონაწილედ წარმოაჩინა. ადვოკატს ჰქონდა საშუალება გამოეხატა უკმაყოფილება სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ფორმით.[384]

ადვოკატის განმარტებით, მან განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიღო შეუსაბამო გადაწყვეტილება, მოსამართლემ ბრალდებულებს არ მისცა უფლება სათანადო რაოდენობით გამოეყენებინათ მათთვის გათვალისწინებული ზარის განხორციელების საშუალება და მიზეზად დაასახელა მათი უცხო ქვეყნის მოქალაქეობა და მძიმე დანაშაულში ბრალდება, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას. ადვოკატის განმარტებით, სიტყვა „უსინდისო“ მიმართული იყო განაჩენის მიმართ.[385]

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს უფლებას ანიჭებს ისე დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომ არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები და დაიცვას პროფესიული ღირსება. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღო

383 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 030/14, 20 აპრილი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/04/02/a9b9167304f9df7bf0da8037c2c6a8a9.pdf
384 იქვე
385 იქვე

დისციპლინურ საქმეზე 076/10. მოცემული გადაწყვეტილების თანახმად, „ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების» გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება» მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ.“[386]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თვისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“[387]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ გაჟღერებული კომენტარი წარმოადგენდა ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმეზე. კომენტარი მიზნად არ ისახავდა სასამართლოსათვის შეურაცხყოფის მიყენებას. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებას მიაწოდა საკუთარი მოსაზრებები. ადვოკატმა მოსაზრება გამოხატა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, გამოთქვა აზრი, რაც კონკრეტულ საკითხზე ადვოკატის შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდა და მისი შინაარსის სისწორე/მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე. აღნიშნულ საქმეში ეთიკის კომისიამ ადვოკატის მოქმედება ეთიკურად შეაფასა.[388]

ეთიკის კომისიამ სხვა საქმეზე დისციპლინური დევნა აღძრა ადვოკატის მიმართ, რომელმაც სასამართლოს თავმჯდომარისადმი 2015 წლის 19 ივნისს მიმართულ განცხადებაში გაწერა შემდეგი სიტყვები: *„თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს..“* „თქვენი მოსამართლეები: *(მოსამართლის ვინაობა)* და მისი

386 იქვე
387 იქვე
388 იქვე

შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე;“ *„საქმე არის ჩაწყობილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები“*; *“იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს (ადვოკატის კლიენტის ვინაობა) საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“*[389]

ადვოკატის პოზიციით, მის მიერ სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი განცხადებით სადაოდ გამხდარი ფრაზების გამოყენების მიზანი იყო საკასაციო საჩივრის გაუქმება და განცხადებაში მან გარკვეული ვარაუდები გამოთქვა. მისი განცხადების მიზანი არ იყო მოსამართლეებისთვის შეურაცხყოფის მიყენება და მას შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია.[390]

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატი, როგორც პირთა კანონიერი ინტერესების გამტარებელი და უფლებების დამცველი, თავისი პროფესიით წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს. მოცემულ პროცესში ადვოკატის საქმიანობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს პროფესიული უნარები, ნორმატიული და არანორმატიული ხასიათის აქტები და ყველა ის იურიდიული საშუალება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - კლიენტის ინტერესების გათვალისწინება/დაცვისკენ. ადვოკატს, ისევე როგორც ყველა სუბიექტს, აქვს კრიტიკის უფლება, თუმცა განსხვავებით სხვა სუბიექტებისაგან იგი წარმოადგენს სპეციალურ პირს და მისი ნებისმიერი წერილობითი და ზეპირი მიმართვა შერჩეული ფორმით შეფასდება მისი მიზნობრიობისა და სასამართლო სისტემაში არსებული წესების დაცვაში. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს გააჩნდა შესაბამისი კომპეტენტურობა და კომპეტენციაც თუ როგორ/რა ფორმით უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესებისათვის.“[391]

კომისიის შეფასებით მიმართვაში გამოყენებული შემდეგი ფრაზები: „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდიან ყველას და ყველაფერს;“ „თქვენი მოსამართლეები*: (მოსამართლის ვინაობა)* და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე„” - არ ემსახურება არც პროფესიული საქმიანობის მიზანს და არც სამოქალაქო კრიტიკას. ადვოკატმა არ განახორციელა პროფესიული საქმიანობა, მეტიც ამ სიტყვებით მართლმსაჯულების სისტემა იმ ფორმით გააკრიტიკა, რომელიც არ გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მიზნიდან (მოცემული არ წარმოადგენს კლიენტის კანონიერ ინტერესს), რის გამოც წარმოადგენს პროფესიულად შეუფერებელ ქცევას, სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას, ლახავს სასამართლოს უფლებებს იყოს ნდობით აღჭურვილი საზოგადოების თითოეული სუბიექტის წინაშე. საადვოკატო საქმიანობა არ წარმოადგენს ისეთ წარმომადგენლობას, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, რომელიც

389 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 058/15, 10 ივნისი 2016 წელი
390 იქვე
391 იქვე

კლიენტის ინტერესებს არ ემსახურება იურიდიული ფორმით. შესაძლებელია კორუმპირებულობის „იარლიყის“ მსგავსის დარქმევა ზოგჯერ ბრალდებასაც წარმოადგენდეს თუ მასზე არსებობს გონივრული ეჭვი და თუ მან ნეგატიური გავლენა იქონია კლიენტის კანონიერ ინტერესზე, შესაბამისად ადვოკატი მოქმედებს ფუნდამენტური, საყოველთაო უფლებისათვის - კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რაც არის მისი პროფესიული ფუნქციის შემადგენელი ნაწილი ანუ დასდოს ბრალი მესამე პირს ან საკითხის გადამწყვეტი უწყების წარმომადგენელს მატერიალურ ან არამატერიალურ კორუფციაში, თვითნებობაში, რა შემთხვევაც განსაკუთრებული უნდა იყოს. უნდა არსებობდეს კავშირი ამ ბრალდებასა და ადვოკატის კლიენტის ინტერესების რეალიზაციასთან, უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ სწორედ კორუმპირებულმა მოქმედებამ გამოიწვია კლიენტის ინტერესების უარყოფა. ამას ემატება სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების მნიშვნელოვნების და უმაღლესი სტატუსის მქონე უწყების წინაშე მოქმედება, რა დროსაც ადვოკატს ბრალდების ხასიათის ან კრიტიკული მოსაზრების დაფიქსირებისას სასამართლოს წინაშე სიფრთხილე მართებს. ადვოკატმა უნდა გაანალიზოს რამდენად ემსახურება ის კლიენტის ინტერესებს ამ დროს და ამ ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანის მიმართ ამ პუნქტში ნახსენები ფრაზები არ ემსახურებოდა საადვოკატო საქმიანობის მიზანს, სცდება მას და არღვევს სასამართლოსთან მოქცევის პროფესიულ წესებს.[392]

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ადვოკატის სიტყვები: *„საქმე არის ჩაწყობილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები“; “იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს (ადვოკატის კლიენტის ვინაობა) საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“* წარმოადგენს ნეგატიურ განცდას სასამართლოსადმი. შეიძლება ის არ არის საადვოკატო საქმიანობის ნაწილი, თუმცა მისი შეზღუდვა ეთიკის კომისიის მიერ უპირისპირდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას და ასევე არ არის იმდენად მძიმე, რომ შეილახოს სასამართლოს ინტერესები. სიტყვები: *„საქმე არის ჩაწყობილი“* და *„განთქმული სასამართლო“* უფრო მეტად წარმოადგენს რიტორიკულ და სარკაზმულ კონტექსტს, რადგან მისი შინაარსი არ წარმოადგენს მატერიალურს, ფაქტობრივს, უფრო მეტად აბსტრაქტული და პათეტიკური ფორმით არის მოცემული, რის გამოც ისინი ვერ იქნებიან ადვოკატის პროფესიულ-არაეთიკური ქცევის საფუძველი.[393]

9.6 სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულების წარდგენის აკრძალვა

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება“.

392 იქვე
393 იქვე

არ მისცე საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება, ეს მხარის კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ აღნიშნული პრინციპი არ აძლევს მხარეს უფლებას ტყუილი თქვას სასამართლოს წინაშე. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატი თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს, პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი კი აძლევს ადვოკატს უფლებას, არ მიიღოს მონაწილეობა კლიენტის უკანონო ქმედებებში და, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზეზით, არ დაარღვიოს სასამართლოში მოქმედი წესები, წინასწარი შეცნობით არ მიაწოდოს სასამართლოს ყალბი მტკიცებულება, არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი ტიპის მტკიცებულების შექმნაში. აღნიშნული წესის დაუცველობა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და არ ემსახურება კლიენტის კანონიერი ინტერესების რეალიზებას, ამ შემთხვევაში ადვოკატი წარმოადგენს დამრღვევ მხარეს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით ცდილობს დააკმაყოფილოს კლიენტის არაკანონიერი ინტერესები.[394]

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესების მიხედვით „ადვოკატს არათუ ეკრძალება ყალბი მტკიცებულების წარდგენა, არამედ ასევე ევალება, არ დააყოვნოს იმ არსებითი ასპექტისა და ფაქტების შესახებ ყალბი განცხადების გასწორება, რომელიც სასამართლოს ადვოკატმა მანამდე მისცა, გარდა ამისა, ადვოკატს ეკრძალება პირადი აზრის გამოთქმა საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ, მათ ასევე ეკრძალებათ ზედაპირული განცხადებების გაკეთება. ეს აკრძალვა თანაბრად ვრცელდება პროცესის მონაწილე ორივე მხარეზე, რომლის დარღვევა საადვოკატო საქმიანობის აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს.“[395]

9.7 ეთიკის კომისიისთვის ყალბი მტკიცებულების წარდგენის აკრძალვა

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „ადვოკატმა არ უნდა მოაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე ნებისმიერ სხვა პირთან, რომელნიც ახორციელებენ სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“ შესაბამისად, წინასწარი შეცნობით ყალბი ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა ვრცელდება ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებაზეც.[396]

შეწყალების შესახებ განცხადების წარუდგენლობის კლიენტის პრეტენზიასთან

394 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 119

395 იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, 2009 წელი

396 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 133/13, 02 ოქტომბერი 2015 წელი

დაკავშირებით, ადვოკატს დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვისას არ წარმოუდგენია შეწყალების შესახებ განცხადების ტექსტი ან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მისი ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ შეწყალების შესახებ განცხადების მომზადებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩაბარების შესახებ. ადვოკატმა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას საქმის საპროცესო წესით გამოკვლევისას არ მიეცა საკმარისი დრო მტკიცებულებების წარმოსადგენად, რის გამოც მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა შეწყალების შესახებ განცხადების წარუდგენლობის ვარაუდი. დისციპლინური საქმის განხილვისას ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე იმის დასტურად, რომ მან ნამდვილად წარადგინა შეწყალების განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დოკუმენტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ საბუთი, რომელზეც მითითებულია დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი, ასევე დაფიქსირებულია მიმღების ხელმოწერა.[397]

ეთიკის კომისიამ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიიდან. პასუხის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის ბარათის ნომრით არ იყო რეგისტრირებული მომჩივანის სახელზე განცხადება. კომისიას ასევე გამოეგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული მომჩივანის განცხადებების შესახებ დაცული ინფორმაცია. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ეთიკის კომისიამ განმეორებითი წერილით მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას და დაზუსტებული პასუხით კომისიას მიეწოდა დამატებით გამოთხოვილი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრირებული კონკრეტული წერილების წარმდგენი პირების შესახებ, თუმცა კომისიას ეცნობა, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაცია დაცული არ იყო. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სხვა განცხადების სარეგისტრაციო ბარათის მტკიცებულების სახით გამოყენებით, ადვოკატმა წინასწარი შეცნობით მიაწოდა ეთიკის კომისიას შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილების მოთხოვნები.[398]

9.8 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები, ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.[399]

397 იქვე
398 იქვე
399 აპეკ-ი მუხლი 9. პუნქტი 4

9.8.1 მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი

ადვოკატმა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებაში აღნიშნა: „(მომჩივანის ვინაობა) პროფესიონალი თაღლითია. (მომჩივანის ვინაობა) გამოძებნა სხვა გზები და მეზობლებს თანამესაკუთრედ მოევლინა თაღლითური გზით.“[400]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისთვის აღნიშნული სიტყვებით მიმართვა, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობას გამოხატავს და ლახავს პროცესის მონაწილე პირის უფლებებს. წერილობითი განცხადების წარდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიც არის „პროფესიონალი თაღლითია,” „თაღლითური გზით”, რადგან აღნიშნული სიტყვები არ ექცევა პირის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, შეურაცხმყოფელია და ამასთან აღნიშნული სიტყვები მაღალი ალბათობით არ წარმოადგენს პროფესიულ და საქმიან დამოკიდებულებას საკითხისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი გამორიცხავს პირად ინტერესს და გააჩნია სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, წერილობით მიმართვაში დაფიქსირებულ სიტყვებს პიროვნების თაღლითად მოხსენიების თვალსაზრისით, შესაძლებელია არ გააჩნდეს საქმიანი დანიშნულება, არ გააჩნდეს პროფესიული (საადვოკატო) საქმიანობის არც ერთი მიზანი (კლიენტის ინტერესების გატარება ან დაცვა, სამართლებრივი შედეგის შეცვლა ან სხვა), რის გამოც ივარაუდება, რომ ის სცდება საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ქცევის ფარგლებს.[401]

ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მისი კლიენტის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოში თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ. კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეუ-

---

400 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 043/14, 15 ოქტომბერი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/09/21/62029f3ff796f94ab3366edbf245d2c4.pdf

401 იქვე

რაცხმყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რა შეხედულება ჰქონდა ადვოკატის კლიენტს საჩივრის ავტორისადმი, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას პროფესიული ღირსების შენარჩუნება და მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება წარმოადგენს.[402]

კომისიის მიერ განხილულ სხვა დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა სასამართლოში საქმის განხილვისას პროცესუალურ მოწინააღმდეგეს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“.[403]

ადვოკატის განცხადებით, მომჩივანი 2006-2008 წლებში ნასამართლევი იყო სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 თუ მე-3 ნაწილებით და მან აღნიშნული ფრაზით პროცესუალურ მოწინააღმდეგეს მას შემდეგ მიმართა, რაც მან თავად უწოდა ადვოკატს არაკაცი.[404]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესზე ნათქვამი სიტყვები: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“, არის შეურაცხმყოფელი და ლახავს პროცესის მონაწილის - მოპასუხე მხარის პირად ღირსებას. კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტი განცხადების გაკეთების საფუძვლის შესახებ, პროცესის მონაწილე პირის მიერ ადვოკატის მისამართით გამოხატული აგრესია და შეურაცხმყოფელი ეპითეტის გამოყენება, არ აძლევს ადვოკატს უფლებას ასევე შეურაცხმყოფელი განცხადებით მოახდინოს აღნიშნულზე რეაგირება. თავისუფალი პროფესიის მიუხედავად, ადვოკატს გარკვეული თმენის ვალდებულება აკისრია.[405]

ის საკითხები, რომლებიც პირის პირად ცხოვრებას ეხება და კავშირში არ არის საქმესთან, არ უნდა გახდეს ადვოკატის მიერ მართლმსაჯულებისა და მხარისათვის შეურაცხყოფის მიყენების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მხარის ნარკოდამოკიდებულებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მიმდინარე დავასთან და ადვოკატს შეეძლო თავისი კლიენტის ინტერესები კანონიერი გზით დაეცვა.[406]

ადვოკატის განცხადება არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისად, იგი არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.[407]

---

402 იქვე
403 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 114/13, 02 ივნისი, 2014 წელი
404 იქვე
405 იქვე
406 იქვე
407 იქვე

9.8.2 დისციპლინური წარმოებისას მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტი

აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო კომუნიკაციის სტანდარტი თანაბრად ეხება პროფესიული საქმიანობის განხორციელების ყველა ასპექტს.

ისევე, როგორც აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ორგანოები, ეთიკის კომისია წარმოადგენს ქვაზი - სასამართლოს ფუნქციის მატარებელ ორგანოს და ამ თავით განხილული ყველა პრინციპის დაცვა დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილეობისას ადვოკატს თანაბრად ევალება.[408]

ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის წარმომადგენელი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: „საჩივარი არის ქალბატონი (ვინაობა) „შედევრი“, რომელიც მოტყუებით თანხებს სძალავს მომჩივანს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ, შესაბამისად გაერკვიოთ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ.“[409]

ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის წარმომადგენლის თაღლითად მოხსენიება განპირობებული იყო იმ მიზეზით, რომ იგი მომჩივანს ართმევდა თანხას გაზეთში მის შესახებ სტატიების გამოქვეყნების სანაცვლოდ, რაც განგრძობად ხასიათს ატარებდა.[410]

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.[411]

კომისიამ მიუთითა დისციპლინურ საქმეზე №025/12 მიღებულ 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომელშიც დაადგინა, რომ: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი.“[412]

---

408 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 047/13, 27 იანვარი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/05/02/29387a7f7f1a431bf8e1d56bab38420f.pdf
409 იქვე
410 იქვე
411 იქვე
412 იქვე

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „საჩივარი არის ქალბატონი (ვინაობა) „შედევრი“, რომელიც მოტყუებით თანხებს სძალავს მომჩივანს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ, შესაბამისად გაერკვათ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ,“ ლახავს საჩივრის ავტორის წარმომადგენელის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის უფლებებს. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიც არის “მოტყუებით სძალავს თანხებს”, “თაღლითი”, რადგან აღნიშნული სიტყვები არ ექცევა პირის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, შეურაცხმყოფელია და მათი გამოყენება არ არის განპირობებული ადვოკატის წინააღმდეგ აღძრული საჩივრისაგან თავის დაცვითა და მართლებით.[413]

ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოში თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადობერივი ნდობის განმტკიცებისაკენ. ეთიკის კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, ადვოკატი საჩივრის წარმოდგენამდე იცნობდა თუ არა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული ღირსების შენარჩუნება და სუბიექტური მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება.[414]

კომისია მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად.[415]

---

413 იქვე
414 იქვე
415 იქვე

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა A-მ და სადაო გახადა კოლეგის მიერ ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დაცვის ვალდებულების შესრულება. ადვოკატის განცხადებით, ადვოკატმა B-მ მისი კლიენტის საჩივართან დაკავშირებით, ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატ A-ს, გამოიყენა რა შემდეგი ფრაზები: „ადვოკატმა A-მ იკადრა და დაუწერა ჩემი საწინააღმდეგო საჩივარი კლიენტს, არაფერში არ მჭირდება, რომ ჩემს კოლეგას შევუბღალო საქმიანი რეპუტაცია, მისგან განსხვავებით, ადვოკატ A-ს ბოროტული ბრალდება“.[416]

ადვოკატ B-ს მიაჩნდა, რომ ადვოკატმა კოლეგის ქმედებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიას საჩივრით არ უნდა მიმართოს, მიუხედავად ადვოკატის შესაძლო არაეთიკური ქცევის არსებობისა. თუმცა ადვოკატმა B-მ ასევე განმარტა, რომ თავისი პოზიცია ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატ A-ს ქმედების შეფასებისათვის უჯობესი იქნებოდა ჩამოყალიბებინა შემდეგი ფრაზის გარეშე: „ადვოკატ A-ს ბოროტული ბრალდება.“[417]

მოცემულ საქმეში ეთიკის კომისიამ ყურადღება გამახვილა მხარის უფ-ლებაზე დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილეობა მიიღოს წარმო-მადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს, როგორც საჩივრის მომზადებას, ასევე მტკიცებულებების შეგროვებასა და წარმოდგენას, შუამდგომლობების დაყენებას, ახსნა-განმარტების მომზადებასა და წარ-მოდგენას და ა.შ. ადვოკატის მხრიდან იმ უფლებამოსილების განხორცი-ელებაზე მითითება, რაც ადვოკატს კანონითა და დებულებით ისედაც მინიჭებული აქვს და რა კონტექსტითაც იქნა იგი გახმოვანებული ადვოკატ B-ს მხრიდან, („ადვოკატმა A-მ იკადრა და დაუწერა ჩემი საწინააღმდეგო საჩივარი კლიენტს.“) არ შეიძლება ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად და მით უფრო საქმიანი რეპუტაციის შებღალვად. ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს და ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. ადვოკატის აღნიშნული ფრაზები არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას. ადვოკატმა B-მ მოცემული ფორმით გამოთქვა საკუთარი მოსაზრება კოლეგის მიმართ საჩივრის შეტანის ფაქტზე. ადვოკატმა სწორედ თავის ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით და არა, ადვოკატის შეურაცხყოფის ან/ და მისი ღირსების შელახვის განზრახვით, მიუთითა ახსნა–განმარტებაში ზ/ აღნიშნული ფრაზები, თუმცა თავადვე მიიჩნია, რომ მას არ უნდა გამოეყენებინა ადვოკატის ქმედების შეფასებისათვის სიტყვები: „ადვოკატ A-ს ბოროტული ბრალდება“. მსგავსი განცხადებით ადვოკატს არ დაურღვევია დისციპლინური პროცესის მონაწილეთა უფლებები.[418]

---

416 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 136/13, 21 მაისი 2014 წელი http://gba.ge/ka/resolutions/list/308/

417 იქვე

418 იქვე

9.9 ეთიკის კომისიისადმი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლები

ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანდართულ განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით მოპასუხე ადვოკატმა წარმოადგინა „თვალსაზრისი". განსხვავებული აზრის ავტორმა ეთიკის კომისიის წევრმა მიიჩნია, რომ ადვოკატის „თვალსაზრისიდან" კონკრეტული ტექსტები შეურაცხყოფდა მას, ასევე შეურაცხყოფის ობიექტი იყო ეთიკის კომისიაც.[419]

განხილვის საგანს წარმოადგენდა შემდეგი წინადადებები: *„გისაყვედურებდათ იდეური „მოძღვარი" (ერთ-ერთი კომისიის წევრის ვინაობა) და მისი დაჯგუფების წარმომადგენლები"; „რატომ ამომიჩემეთ თქვენ პირადად და თქვენმა „გუნდმა";* „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განსხვავებული აზრი თქვენმა იდეურმა „ლიდერმა"*(ერთ-ერთი კომისიის წევრის ვინაობა)* დაწერა და თქვენ მხოლოდ ხელი მოაწერეთ"; *„ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას ისე იცნობთ, როგორც მე ვიცი ჩინური"; „მოგიწოდებთ, რომ ... მომავალში მაინც ზერელედ არ მიუდგეთ საქმის განხილვას"; „შეგნებულად ცდილობთ, რომ მცდარი პოზიცია დააფიქსიროთ"; „თქვენს მიერ მოგონილი და ალოგიკური ამბავი"; „მხოლოდ ის გამოძრავებთ, რომ იმოქმედოთ ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ეს არც თქვენ და არც თქვენს გუნდს არ გამოსდის"; „თქვენ სხვა რამ გამოძრავებდათ ანუ როგორმე „დაგესაჯეთ"; „გამოთქვამთ პირად სუბიექტურ და აკვიატებულ აზრს"; „ვერც თქვენ და ვერც თქვენი იდეური თანამებრძოლები ვერაფერს დამაკლებთ".*[420]

ადვოკატის განცხადებით, მან საკუთარი თვალსაზრისი შეადგინა პირადად ეთიკის კომისიის იმ წევრის სახელზე, ვინც განსხვავებული აზრი დაწერა იმ მიზნით, რომ აღნიშნულ წევრს გაეგო მისი პოზიცია და გამოხატა აზრი, თუ რატომ მიაჩნდა მისი განსხვავებული აზრი დაუსაბუთებლად. ადვოკატს საჩივრის ავტორის მიმართ არც შეურაცხმყოფელი, არც ცილისმწამებლური და არც პატივისა და ღირსების შემლახველი არაფერი დაუწერია, მხოლოდ მიახვედრა საჩივრის ავტორი, რომ მისი მოსაზრებები არასწორი იყო და რომ ის მოქმედებდა პირადი დაინტრესებით ადვოკატის მიმართ. ადვოკატი არ დაეთანხმა კომისიის წევრის მითითებას, რომ ეთიკის კომისია არის „ქვაზი სასამართლო."[421]

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ აპეკ-ის მე–9 მუხლის მეოთხე ნაწილის სავარაუდო დარღვევის თაობაზე, რომლის თანახმად, „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან

419 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 099/14, 24 დეკემბერი 2014
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/04/16/2a51e039fbda541f6aa93c97aa7cc84b.pdf
420 იქვე
421 იქვე

და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“[422]

დროთა განმავლობაში ეთიკის კომისიაში დაგროვდა გარკვეული პრაქტიკა ადვოკატის მიერ საჯარო და არასაჯარო განაცხადებებთან დაკავშირებით, მის ზეპირ და წერილობით კომუნიკაციასთან დაკავშირებით სასამართლო და „ქვაზი სასამართლო“, ან მსგავს ტრიბუნალებში, მათში არსებულ წესებთან და რეგულაციებთან კონფლიქტებისას.[423]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციისა და დანიშნულების თვალსაზრისით შეფასების ობიექტი არ იყო მომჩივანის მიერ მოწოდებული ყველა წინადადება. მაგალითისათვის სიტყვები: *„რატომ ამომიჩემეთ თქვენ პირადად და თქვენმა „გუნდმა“; „მოგიწოდებთ, რომ ... მომავალში მაინც ზერელედ არ მიუდგეთ საქმის განხილვას“; „შეგნებულად ცდილობთ, რომ მცდარი პოზიცია დააფიქსიროთ“; „თქვენს მიერ მოგონილი და ალოგიკური ამბავი“; „მხოლოდ ის გამოძრავებთ, რომ იმოქმედოთ ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ეს არც თქვენ და არც თქვენს გუნდს არ გამოსდის“; „თქვენ სხვა რამ გამოძრავებდათ ანუ როგორმე „დაგესაჯეთ“; „გამოთქვამთ პირად სუბიექტურ და აკვიატებულ აზრს“* არ წარმოადგენენ საფუძველს, რათა ეს სიტყვები ეთიკის კომისიის, ადვოკატის პროფესიული მოქმედების შეფასების კომპეტენციაში მოექცეს, მით უმეტეს თუ ეთიკის კომისია ამ სიტყვების, როგორც ნამდვილი ფაქტის შეფასებას შეეცდება. ამ კუთხით კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და იყენებს არა მხოლოდ საკუთარ უფლებამოსილებას, არამედ ეყრდნობა კონსტიტუციურ პრინციპსა და დოქტრინას.[424]

საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს აზრთა დიფერენცირებას, ამიტომაც ყველაფერი, რაც წარმოადგენს შეხედულებას, ადამიანის შეფასებითი მსჯელობის შედეგს, კონსტიტუციით აღიარებული აზრის თავისუფლების დაცულ სფეროში ხვდება. სახელმწიფოს, საქმის მწარმოებელ ორგანოს არ გააჩნია უფლებამოსილება დაყოს აზრები „მართებულ'' თუ „არამართებულ'', „სასურველ'' თუ „არასასურველ'' და სხვა სახის კატეგორიებად. აზრისგან უნდა განვასხვავოთ ფაქტი.[425]

კომისიის შეფასებით, ზემოთმოცემული წინადადებები ადვოკატის მოსაზრებებსა და შეხედულებებს წარმოადგენს, რომლის გამოვლინება არის ჩვეულებრივი (მომჩივანისათვის „არასასურველი“) აზრის გამოხატვა, რომელზეც მომჩივანმა სუბიექტური კრიტერიუმით შეაფასა და მიიჩნია შეურა-

422 იქვე
423 იქვე
424 იქვე
425 იქვე

ცხყოფად (უფრო მეტად სხვა დანარჩენ ფრაზებთან ერთად), რისი უფლებაც მას გააჩნია, ხოლო ამ უფლების დარღვევის ტესტი მის მიერ სასარჩელო წარმოების დაწყების შემთხვევაში მოხდება. განხილვის საგანი კი ადვოკატის პროფესიული ქცევა, რომლის მოქცევა უნდა მოხდეს სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტთან ყოფნისას, ბალანსში. მიუხედავად ამისა, კომისიამ სავალდებულოდ მიიჩნია, ამ მოსაზრებების, როგორც ადვოკატის ქცევის შესაფასებელი საგნის ირგვლივ, დასაბუთებული პოზიცია დაეფიქსირებინა, რაც მხარეთა ინტერესებს ემსახურება.[426]

კომისიამ ადვოკატის მიერ გამოყენებულ შემდეგ წინადადებებთან დაკავშირებით: *„გისაყვედურებდათ იდეური „მოძღვარი“* (ეთიკის კომისიის წევრის ვინაობა) და მისი დაჯგუფების წარმომადგენლები“; *„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განსხვავებული აზრი თქვენმა იდეურმა „ლიდერმა“* (ეთიკის კომისიის წევრის ვინაობა) დაწერა და თქვენ მხოლოდ ხელი მოაწერეთ“; *„ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას ისე იცნობთ, როგორც მე ვიცი ჩინური“; „ვერც თქვენ და ვერც თქვენი იდეური თანამებრძოლები ვერაფერს დამაკლებთ“*, აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", N1/3/421,422 სასამართლომ დაადგინა, რომ „უპირველეს ყოვლისა, ღირსება ვერ იქნება გაგებული როგორც სუბიექტური სიკეთე, რომელიც განსხვავდება ყოველი ადამიანისთვის. ღირსების უფლების ასეთი გაგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, რადგან „უფლებად“ ვერ ჩაითვლება ის სიკეთე, რომლის ფარგლები განსხვავდება სხვადასხვა ადამიანისთვის მათი სუბიექტური შეხედულებების გამო. უფლება თავისთავად გულისხმობს ადამიანის იმ ინტერესს, რომელიც გარკვეული ხარისხით უნივერსალობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს.“[427]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ *„ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება* იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე ფაქტები, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და შესაბამისად, ამის ვალდებულება აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს''.[428]

ამავე გადაწყვეტილების თანახმად: *„გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ,*

426 იქვე
427 იქვე
428 იქვე

როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“[429]

უხამსობა სიტყვათა შეურაცხყოფითი ბუნებაა, რაც განსხვავდება სარკაზმისა და რიტორიკისაგან. ასევე ყურადსაღებია დამკვიდრებული მორალური ნორმების ფარგლებში შესაფასებელი წინადადებების მოქცევა. ამ კუთხით ქართულ რეალობაში არსებობს საყოველთაოდ ცნობილი „ნიშნის მოგებით“ საუბარიც, რომელიც არ ატარებს უხამსობის ბუნებას და არა სიტყვა სიტყვითი განმარტებით გააჩნია აზრობრივი დატვირთვა, არამედ წინადადებაში გადმოიცემა, რაც შეიძლება არამც თუ სასიამოვნო, არამედ მიუღებელიც კი იყოს მეორე მხარისათვის.[430]

ამდენად, ნამდვილობის მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტთან (ცნობასთან) და არა მოსაზრებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე ფაქტებთან მიმართებაში დაცული სფერო შედარებით შეზღუდულია, რადგან აზრის თავისუფლების ფარგლებში არსებითად ცრუ ფაქტების დაცვა გამორიცხულია. მოსაზრებები, თუნდაც ისინი იყვნენ შეურაცხმყოფელნი, ნამდვილობის მტკიცებას არ ექვემდებარებიან.[431]

არსებობს, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა გამოყენება ხდება შეფასებისას. მომჩივანის მიერ მის პოზიციაში გამოყენებულია სუბიექტური შეფასების კრიტერიუმი. კომისია არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობით დატვირთული, იგი წარმოადგენს პროფესია ადვოკატის დამცველ შემადგენლობას, გუნდს, რომელიც იცავს მას არაეთიკურად, არაპროფესიონალურად მოქმედი ადვოკატებისაგან, რა დროსაც მან მუდმივად უნდა ეძებოს ბალანსი, მათ შორის ისეთი უფლების ქვაკუთხედთან, როგორიც სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლებაა. ზემოთჩამოთვლილი წინადადებები მიუღებელია მომჩივანისათვის, რასაც კომისია ვერ შეაფასებს, რამეთუ შესაფასებელია ადვოკატის სიტყვები და ისინი არ წარმოადგენენ უხამს ან ისეთ „ენას“, რომლის გამოც შეიძლება ვარაუდის სახით მივიჩნიოთ ადვოკატის არაეთიკურ ქცევად და დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში არსებობდეს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ შეეზღუდოს „მსგავსი ხელწერით“ საუბარი. კომისიამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში რა სიტყვები და წინადადებები უნდა გამოიყენოს ადვოკატმა საამისო კონკრეტული რაიმე სახის „რეცეპტი“ არ არსებობს.[432]

საჩივრის ავტორს უფლება აქვს მიიჩნიოს ყოველივე უსწოროდ და მიუღებლად, შეურაცხყოფად და პატივის, ღირსების შემლახავ ფორმად, რის გამოც

429 იქვე
430 იქვე
431 იქვე
432 იქვე

ასევე უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კანონით რეგულირებული მდგომარეობა.[433]

კომისიამ ყურადღება გაამხვილა საჩივრის ავტორის სტატუსზეც, როგორც ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრისა და „ქვაზი მოსამართლის“ როლზე, რაც შეაფასა არსებული პრატიკით:

ეთიკის კომისიამ 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N2741/05/07 სასამართლოს მომართვის საფუძველზე შეაფასა ადვოკატების გამონათქვამები სასამართლოზე: *„ჩაქუჩს ნუ მიბრახუნებ კაცო“, „როგორც ბადრიჯანს არ გამოუვა ყურები ისე ამ სასამართლოში სიმართლეს ვერ გავიტან“* და დაადგინა, რომ მოცემული ფრაზები შინაარსობრივად მთლიანობაში წარმოადგენდა არაშეურაცხმყოფელ ხალხურ, პათეტიკურ /პათეტიკური გამონათქვამები საყოველთაოდ მიჩნეულია ეთიკურად/ გამონათქვამს და იმ შემთხვევაში თუ ამას სასამართლო მიიჩნევდა არა-სათანადო ქცევად, გამოიყენებდა კანონით მინიჭებულ უფლებას რეაგი-რებისთვის, რაც გამოიყენა კიდეც. ასევე ამავე გადაწყვეტილებაში შეფასდა მეორე ადვოკატის მიერ სასამართლოზე გამოთქმული ფრაზები: *„არ გრცხვენიათ, გაძევებულ პირს არ აჯარიმებენ“* და *„კანონში ცოტა მაინც ჩაიხედეთ.“ კოლეგიის შეფასებით ეს ფრაზები ასევე არ წარმოადგენდა შინაარსობრივად რაიმე შეურაცხყოფის მატარებელს, თანაც ადვოკატის ასეთი გამონათქვამებით არ ირღვეოდა პროფესიული ქცევის კოდექსის არც ერთი ნორმა. ზოგადად არ შეიძლება ასეთი ფრაზები მოექცეს არაეთიკურ ქცევის ფარგლებში, რადგან ისინი არ არის პროფესიულად შეურაცხმყოფელი ან არაეთიკური ხასიათის.*[434]

ასევე:
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში skalka vs Poland (განაცხადი N43425/98 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცემათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი ფიგურები საზო-გადოებაში, წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისაგან.”[435]

გამომდინარე მსჯელობიდან ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულა-ციებიდან, პრეცედენტებიდან საჩივრის ავტორის, ეთიკის კომისიის წევ-

433 იქვე
434 იქვე
435 იქვე

რის, პოზიცია ჩაითვალა სუბიექტურ დამოკიდებულებად ადვოკატის მიერ მიმართული „თვალსაზრისის“ ირგვლივ, განხილული წინადადებებისა და მოსაზრებების ირგვლივ, როგორც მიჩნევა პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციად, შეურაცხყოფელ წინადადებებად. კომისიამ აღნიშნული არ მიიჩნია საკმარისად იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ გამოხატული წერილობითი მოსაზრებების გამო ადვოკატის ამ კუთხით შეზღუდვის ვარაუდი დაეშვა. ყოველივე წარმოადგენდა არასასურველ მოსაზრებებს, კრიტიკას, რომელიც მძაფრადაც კი იქნა წარმოჩენილი და პროფესიისათვის იმაზე მეტად სახიფათო არ არის, ვიდრე შეზღუდვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული რეცეპტის მოთხოვნა. კომისიის განმარტებით, სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება დაბალანსებული ადვოკატის ამ წინადადებებისა და მისი მსგავსის აკრძალვით ან რაიმე სახის შეზღუდვით.[436]

მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.
2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.
3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.
4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)[437]

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შენარჩუნებას და პა-

436 იქვე
437 აპეკ-ი მუხლი 10

ტივისცემას, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, როგორც ადვოკატებს შორის ურთიერთობისას, ასევე კლიენტებთან და სხვა მესამე პირებთან პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობებისას.[438]

კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატებს, შეინარჩუნონ კეთილსინდისიერება კოლეგების მიმართ და არ დაუშვან მათ მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა.[439]

კოლეგებისადმიგამოხატულითავაზიანობადაპატივისცემაარისცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.[440]

კოლეგიალობის პრინციპით განსაზღვრული - ადვოკატის მიერ პროფესიული ღირებულებების დაცვა გულისხმობს მათ მიერ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პირადი ღირსების, პატიოსნების, შეუვალობის, კომპეტენტურობის, კანონიერების დაცვას, ასევე პროფესიული პრინციპების - დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას.[441]

აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა კორპორატიული ერთობის და მათი საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.[442]

10.1 კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლები

ადვოკატი ვალდებულია, იზრუნოს მისი პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მას არა

438 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ.121
439 იქვე
440 იქვე
441 იქვე
442 იქვე

აქვს უფლება უგულვებელყოს აღნიშნული პრინციპის დაცვის ვალდებულება და უპატივცემულოდ მოეპყრას კოლეგას, რაც ხელს შეუშლის საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებას და რელურად უარყოფითად აისახება მთელს კორპორაციაზე - ადვოკატებისადმი საზოგადოების შეფასებაზე.[443]

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის საჩივარი კოლეგის მიმართ. მოპასუხე ადვოკატმა მომჩივან ადვოკატთან შეხვედრების ოთახში ბრალდებულთან გასაუბრებისას კონფლიქტისას უწოდა მას შემდეგი სიტყვები: *„გაუზრდელი, არ იცის საქციელი“* და „ვინც არ უნდა ყოფილიყო, მსგავსი ქცევის შემთხვევაში „თავს წააცლიდა“, *„შენ პატარა ნაბიჭვარი ხარ. რა ამბავში ხარ? ნაძირალა;“* ადვოკატმა მომჩივანი ადვოკატის კლიენტს „თავზე დაამხო ყველაფერი“. ადვოკატმა შეხვედრების ოთახში, კლიენტთან საუბრისას, მომჩივან ადვოკატს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა ფეხის ჩარტყმით. კონფლიქტისას მოპასუხე ადვოკატი აქცენტს აკეთებდა წარსულში მის საპროკურორო საქმიანობაზე. ადვოკატებს შორის კონფლიქტი გამოიწვია მოპასუხე ადვოკატის მოქმედებამ, კერძოდ მომჩივანმა ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ მოპასუხე ადვოკატს ამოწერილი ჰქონდა ორდერი და შეხვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი ინფორმირების გარეშე, როცა იცოდა რომ მისი კლიენტი წარმოდგენილი იყო ადვოკატით.[444]

კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თავისუფლად, ღირსეულად, კანონისა და ეთიკის წესების შესაბამისად. ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა პატივი სცეს თავის კოლეგას.[445]

კომისიამ ჩათვალა, რომ ადვოკატის მიერ კოლეგისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებამ, აქტიურმა მითითებამ პროფესია პროკურორზე დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიის პატივისცემის ვალდებულება. კონფლიქტის დროს მინიშნება პროფესია პროკურორზე, მაშინ, როდესაც არსებობს ადვოკატის უფლებამოსილების განხორციელების მდგომარეობა, არ წარმოადგენს კოლეგიურ დამოკიდებულებას და ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული არსის იმ ნაწილს, რომელიც ადვოკატთა კორპორატიულ ერთობას გულისხმობს, რაც კოლეგიალობაშიც გამოიხატება. პროფესია პროკურორს გააჩნია არსებითად განსხვავებული დანიშნულება და როლი, რაც განსხვავდება ადვოკატის პროფესიული არსისაგან. თავად კოლეგიალობა კი მდგომარეობს საერთო საქმიანობის

443 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 122

444 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 094/14, 27 მაისი 2015 წელი

445 იქვე

არსებობას და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. თავად პროფესია პროკურორის პროფესიულ ბუნებაშიც არ შედის მსგავსი ქცევის გამართლება, რამეთუ სასამართლო იურისტების პროფესიები დგანან ხალხის უფლებებისა და მართლმსაჯულების სადარაჯოზე.[446]

ადვოკატის ქცევა - გამოხატული სიტყვიერად არ შეესაბამება პროფესიული საქმიანობის ბუნებას, არ გამომდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან, არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიმართულია მომჩივანი ადვოკატის პროფესიული და პირადი დისკრედიტაციისაკენ. ქცევა - გამოხატული ფიზიკურად, საჩივრის ავტორისათვის ფეხის ჩარტყმით კატეგორიულად მიუღებელია როგორც ფიზიკური შეურაცხყოფის, ძალის გამოყენების კუთხით, ასევე ადვოკატის პროფესიული ბუნებიდან გამომდინარე, როგორც აკადემიური ხასიათის, გონებრივი შესაძლებლობების გამოვლინების, ცოდნის, უნარებისა და პატიოსნების გამომჟღავნების და არა ძალისა და ღირსების შემლახავი ქცევის გამოვლინების. ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას.[447]

10.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა

კოლეგიალობის პრინციპის დაცვამ არ უნდა შეიწიროს კლიენტის კანონიერი ინტერესი და მისი დაცვის ვალდებულება, რომელიც უპირატესია კოლეგიალობის პრინციპზე და პროფესიულ ინტერესზე.

რიგ შემთხვევებში, პროფესიის კორპორაციული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, მათი კლიენტების სასარგებლოდ, სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

კლიენტის უფლებების დაცვისა და მათი ინტერესების უპირატესად რეალიზებისათვის, ადვოკატების კოორდინირებული მოქმედება მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესების დაცვისაკენ. საქმის წარმოების პროცესში, კლიენტთან შეთანხმებით, შესაძლებელია ადვოკატებმა გაცვალონ გარკვეული სახის ინფორმაცია, მიაწოდონ ერთმანეთს მტკიცებულებები, საქმესთან დაკავშირებით გააკეთონ განმარტებები, რაც მიზნად ისახავს მათ შორის თანამშრომლობის დამყარებას, როგორც კოლეგიალობის პრინციპის სასარგებლოდ, აგრეთვე, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდაც. მოცემულ

446 იქვე
447 იქვე

შემთხვევაში კოლეგიალობის პრინციპი, კლიენტის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ თუ ინფორმაციის ამგვარად გამჟღავნება ეწინააღმდეგება კლიენტის ინტერესებს, მაშინ უპირატესობა ენიჭება კლიენტის ინტერესებს, კლიენტის საქმეების კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულებას.[448]

კლიენტის ინტერესების უპირატესობა კოლეგიალობის პრინციპთან შედარებით, არ გულისხმობს ერთი პრინციპის უგულვებელყოფას მეორეს უპირატესობის ხარჯზე, კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვა არ ავალდებულებს ადვოკატს, დაარღვიოს კოლეგიალობის პრინციპი, მაშინაც კი, როდესაც კლიენტი, მისი ინტერესიდან გამომდინარე, მოითხოვს ამგვარი „დაცვის" განხორციელებას და კოლეგის მიმართ უხეშ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას.[449]

„ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს"[450], კანონის და პროფესიული ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე, ადვოკატი არაა ვალდებული დაემორჩილოს კლიენტის არაკანონიერ მოთხოვნებს და მისი ინტერესების დაცვის მიზნით დაარღვიოს კანონი და პროფესიული ეთიკის კოდექსი.[451]

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატ "A"-ს საჩივარი კოლეგის - "B"-ს წინააღმდეგ**,** პრეტენზია გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატმა "B"-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარადგინა აპელანტების დამატებითი მოსაზრებები, სადაც ადვოკატმა „B"-მ მას და მის კლიენტებს ბრალი დასდო ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით და წინასწარი შეთანხმებით თაღლითობაში თანამონაწილეობაში. ადვოკატ „A"-ის განმარტებით, იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შესაბამისად და გამოთქვა კლიენტის ვარაუდი.[452]

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ "B" - ს აპელანტების დამატებით მოსაზრებებში გამოთქმული განცხადებები შეიცავს დანაშაულის ბრალდებას, კერძოდ თაღლითობის მცდელობას ორგანიზებული ჯგუფის მიერ. გამოძიების დაწყების ფაქტი ადვოკატს არ აძლევდა იმის საფუძველს, რომ მიეთითებინა დასრულებულ დანაშაულზე და ადვოკატი „A" ან პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე მოეხსენებინა თაღლითობის თანამონაწილედ. ამასთან, განცხადებაზე

448 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 123
449 იქვე
450 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1
451 იქვე
452 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 037/13, 25 დეკემბერი 2015 წელი

ხელის მოწერა მისი შინაარსის გაცნობის გარეშე არ ათავისუფლებს ადვოკატს მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობისგან. ვინაიდან არ არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, ადვოკატი „A“ ითვლება უდანაშაულოდ და ადვოკატ „B”-ს მიერ მისი თაღლითობის თანამონაწილედ მოხსენიება შეიძლება ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად.[453]

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა, თუმცა, კომისია მიიჩნევს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“[454]

კომისიის შეფასებით, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იწვევს პიროვნული და პროფესიული პატივისა და ღირსების შელახვას. შესაბამისად ადვოკატ A-ის მიერ დამატებითი მოსაზრებების ტექსტში ადვოკატი B მოხსენიებულია ისეთ კონტექსტში, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პირად, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას და წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას.[455]

ეთიკის კომისიამ გასცა რეკომენდაცია მედიაციის სესიაზე ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებების ეთიკურობის შესახებ, კერძოდ მოსარჩელე მხარის ადვოკატმა მოპასუხე მხარეს მიმართა ყვირილით: „შე ტუტუცო, უზრდელო, მატყუარა, უპასუხისმგებლო, შენნაირისთვის დაიღუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში? შენნაირისთვის გავზარდე შვილი?“ ადვოკატი მოპასუხე მხარის ადვოკატს დაემუქრა: „მე ვიცი შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ, შე ტუტუცო, უზრდელო.“ მიუხედავად მედიატორის თხოვნისა, ისტერიული კივილი გაგრძელდა დაახლებით ნახევარი საათის მანძილზე, აგრეთვე გაგრძელდა მოპასუხე მხარის ადვოკატისათვის არაერთგზის შეურაცხყოფის მიყენება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და ამიტომ იქცევა ასე, თქვენ

453 იქვე
454 იქვე
455 იქვე

შეგყავთ მხარე შეცდომაში, თქვენ არ იცნობთ ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას, გირჩევთ წაიკითხოთ.“ ასეთი რეაქცია გამოიწვია მოპასუხე მხარის მიერ დასმულმა კითხვამ: „თქვენ ქმარი გყავთ?“[456]

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ კოლეგის შეურაცხყოფა, დადასტურების შემთხვევაში, არღვევს ადვოკატებს შორის არსებულ კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია აპეკ-ის მე-7 მუხლითა და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით. ადვოკატის მიერ შეკითხვაში მითითებული ფრაზების „შე ტუტუცო“, „უზრდელო“, „შენნაირისთვის დაიღუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში“, „შენნარისათვის გავზარდე შვილი?“, გამოყენება სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას და მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისაკენ, სავარაუდოდ შეურაცხყოფისაკენ. აღნიშნული სიტყვები არ ასახავს საადვოკატო საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სიტყვების გამომხატველი ადვოკატი იმყოფება მისი კლიენტის საკითხის განხილვისას სასამართლოს მსგავს ინსტიტუციაში და უნდა წარმოადგენდეს მისი კლიენტის ინტერესებს იურიდიულ ფორმატში, არც ერთი ამ ფრაზებთაგანი არ ემსახურება აღნიშნულს. შესაბამისად, ადვოკატის ეს მოქმედება არ არის საადვოკატო საქმიანობა, ანუ ადვოკატი ამ მომენტში არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს და არ ასრულებს საკუთარ პროფესიულ მოვალეობას. შეკითხვაში მითითებული სიტყვები გამოხატავენ კონკრეტული პიროვნების მახასიათებელს, რაც მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისაკენ, სავარაუდოდ შეურაცხყოფისაკენ, რაც არ შედის ამ ფრაზების გამომხატველი ადვოკატის კლიენტის ინტერესებში – სიტყვიერად შეურაცხყოს მისი მოწინააღმდეგე მხარე. მოცემული სიტყვების ავტორი შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას, კლიენტის ინტერესებს და არ შეესაბამებოდეს საკითხის განმხილველი სასამართლოს მსგავს ორგანოში არსებულ წესებს და, პირიქით, ხელს უშლიდეს იურიდიულ პროცედურას.[457]

როგორც შეკითხვის მოცემულობიდან ირკვევა ადვოკატი ყვიროდა კიდეც და მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ მოპასუხე მხარეს უთხრა: „მე ვიცი შენ რას გიზავ, აქედან რომ გავალთ“ – აღნიშნული სავარაუდოდ იყო მიმართული მოპასუხე მხარის ადვოკატის კლიენტისადმი. ეს სიტყვები შეიცავს სამომავლო სავარაუდო ნეგატიური მოქმედების, ზეწოლის ან სხვა სახის მოქმედების განხორცილების შინაარსს, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად. აღნიშნული ასევე არ წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას და შესაძლოა მიმართული იყოს მოწინააღმდეგე მხარის ზეწოლისაკენ შეასრულოს ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისაგან, რაც მოსარჩელე მხარის ადვოკატის აზრით მისი კლიენტის ინტერესებისათვის სარგებლის მომტანი იქნება. ნიშანდობლივია

456 წერილობითი რეკომენდაცია 006/15, 04 სექტემბერი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/11/27/4b56c4532cf7f20dbbf3e4e124f1a1bb.pdf
457 იქვე

ადვოკატის სიტყვობრივი გამოხატულების ფორმა – ანუ შესაძლოა ეს არა მხოლოდ მორალურად იყოს მიუღებელი, არამედ კანონდარღვევით ხასიათსაც ატარებდეს, რამაც შეიძლება ერთი ორად გაზარდოს ადვოკატის პროფესიული ქცევის ნეგატიურად შეფასების ხარისხი. [458]

საყურადღებოა მოსარჩელე ადვოკატის მიერ მოპასუხე ადვოკატის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა სიტყობრივად და ხმამაღალი, ყვირილით შეფასება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე". აღნიშნული შეიძლება მეტყველებდეს მოსარჩელის ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული არსის და იურიდიული მოქმედებების გაუაზრებლობაში, რამეთუ ის მოწინააღმდეგე მხარეა, რაც ინტერესების, პოზიციურ დაპირისპირებას გულისხმობს. საამისო მოლოდინი, ასეთ დროს, ყოველთვის უნდა გააჩნდეს ადვოკატს. აღნიშნულს ემატება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მცდელობა, რადგან ის გულისხმობს ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას.[459]

თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მოქმედებს შეკითხვაში აღწერილი სახით, უფლება აქვს მოუწოდოს პროფესიული კორექტულობისა და სიტყვის თავისუფლების ზღვარის გადალახვის შეჩერების თაობაზე, მოუწოდოს ადვოკატის მისიის ანუ პროფესიული დანიშნულების შეხსენებისაკენ, რაც არ მდგომარეობს მოწინააღმდეგე მხარის პიროვნულ შეურაცხყოფაში. პროფესია ადვოკატი არის ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დამცველი და პროფესიულ მიზანს არ წარმოადგენს პიროვნების დახასიათება ნებისმიერი სახით. ასევე ადვოკატს უფლება აქვს მოუწოდოს, რომ დაუშვებელია მედიაციის ან სხვა განხილვებისას, სადაც კლიენტთა ინტერესებია წარმოდგენილი ადვოკატების მეშვეობით კომუნიკაცია მიმდინარეობდეს ადგილობრივი და საერთაშორისო კანონების დარღვევით. აღნიშნული შესაძლებელია გაკეთდეს განხილვის პროცესში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით და მოთხოვნილ იქნას (თუ რეგულაცია ითვალისწინებს) განმხილველი ორგანოს კონკრეტული პოზიცია მის განაცხადთან დაკავშირებით.[460]

ადვოკატმა კოლეგის მიმართ შემოიტანა საჩივარი. ადვოკატის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მისი ყოფილი კლიენტის ამჟამინდელმა ადვოკატმა საჩივრით მიმართა კომისიას მისი კლიენტის სახელით და საჩივარში მომჩივანი ადვოკატი მოიხსენია „სახელმწიფო ბაჟის მიმთვისებელ" და „უღირს ადვოკატად". ადვოკატის განცხადებით, მოპასუხე ადვოკატი ვალდებული იყო პატივი ეცა მისთვის, როგორც კოლეგისათვის, არ შეელახა მისი ღირსება და განცხადების შეტანამდე მასთან გაერკვია, თუ რატომ ვერ დაუბრუნა ადვოკატმა

458 იქვე
459 იქვე
460 იქვე

ყოფილ კლიენტს დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მისმა ყოფილმა კლიენტმა შეიცვალა მისამართი, რომელიც მისთვის არ უცნობებია და მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა, რაც გახდა მისთვის დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის გადაუცემლობის მიზეზი.[461]

მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიაში მარწმუნებლის თხოვნით ჩააბარა განცხადება, რომლის შედგენაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული განცხადებით, მომჩივანი ითხოვდა ყოფილი რწმუნებულისგან მისი კუთვნილი სახელმწიფო ბაჟის თანხის დაბრუნებას. მომჩივანი ცხოვრობს მიუსაფართა თავშესაფარში, ე.წ. „კარვების ქალაქში", მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე და მისთვის ადვოკატის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით დასაბრუნებელი თანხა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მომჩივანის წყობილებიდან გამოსვლა, დაუფიქრებელი ბრალდებები, განცხადების აღელვებული და შეურაცხმყოფელი ტონი განაპირობა მისმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ.[462]

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.[463]

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას." საქმეზე საბოლოო შედეგის მისაღებად ადვოკატი სამოქმედო ტაქტიკას ათანხმებს კლიენტთან, რომელიც შესაძლოა მეორე მხარისთვის არ იყოს მისაღები და მოსაწონი, მაგრამ იყოს კანონშესაბამისი.[464]

---

461 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 086/14, 18 დეკემბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/09/21/f67cb0fe75aa316b943982482a61ebdb.pdf
462 იქვე
463 იქვე
464 იქვე

კომისიამ მოპასუხე ადვოკატის მოქმედება შეაფასა ეთიკურად, ვინაიდან ადვოკატმა იმოქმედა კლიენტის კანონშესაბამისი მითითების შესაბამისად. კომისიამ არ გაიზიარა მომჩივანი ადვოკატის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ადვოკატმა მას უწოდა სახელმწიფო ბაჟის მიმთვისებელი და უღირსი ადვოკატი. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მას მარწმუნებლისთვის საჩივარი არ შეუდგენია და მხოლოდ მარწმუნებლის დაწერილი განცხადება ჩააბარა ეთიკის კომისიაში, შესაბამისად, მის შინაარსზე პასუხს ვერ აგებს. ეთიკის კომისიაში შემოტანილ განცხადებას (საჩივარს) ხელს აწერს მარწმუნებელი, ხოლო მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ განცხადება არის მოპასუხე ადვოკატის დაწერილი.[465]

10.2.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიის კორპორაციული მიზანი

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის საჩივარი კოლეგის მიმართ. ადვოკატის განმარტებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის განცხადება პროცესის მონაწილის მიმართ, რომელიც შეიცავდა შემდეგ ფრაზებს: *„მოვუწოდებ ბატონ ...-ს, შეწყვიტოს „ბრუნვა“ ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და მიხედოს საკუთარ ალკოჰოლდამოკიდებულებას“; „ნუ მაიძულებს ...* დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში აქვს აღებული“; „და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული!“ მომჩივანი ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული განცხადებები მიზნად ისახავს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და არის შეურაცხმყოფელი, განსაკუთრებით იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების უკანონო მოქმედებების შედეგად გადაიტანა უდიდესი ოჯახური ტრაგედია. მოპასუხე ადვოკატის განცხადებები ვერ იქნება დაცული გამოხატვის თავისუფლებით. ვინაიდან კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აზრის თავისუფლება, ასევე ინფორმაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები შესაძლოა შეიზღუდოს, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებსა და ღირსებას.[466]

საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განცხადებების ადრესატი თავად არ ყოფილა და უშუალო ზიანი მას არ მისდგომია, მოპასუხე ადვოკატის ფრაზეოლოგია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთლიანად ადვოკატთა ასოციაციის საიმედოობას და ეთიკურობას, ვინაიდან არის სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი. მსგავსი განცხადებების გაკეთება უარყოფით დამოკიდებულებას აჩენს ადვოკატის

465 იქვე
466 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 042/14, 09 ოქტომბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/04/16/a92a4085c35524fdfdc7cd27d7543a13.pdf

პროფესიის მიმართ, რამაც შესაძლოა მოახდინოს აგრესიის პროვოცირება ადვოკატებისადმი. აღნიშნულის გამო, მას, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრს, გააჩნია კორპორატიული ინტერესი ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მიმართ. ადვოკატს, მისი პროფესიიდან გამომდინარე, მოეთხოვება მეტი პასუხისმგებლობა, მით უფრო განცხადების საჯაროდ გაკეთებისას.[467]

მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მან განცხადება ფეისბუქის პირად გვერდზე გამოაქვეყნა, საიდანაც იგი საინფორმაციო საშუალებებში თავად მისი ნებართვის გარეშე გავრცელდა. ადვოკატის განცხადება პროცესის მონაწილის შეურაცხმყოფელი განცხადებების პასუხი იყო, ტექსტის სრული ვარიანტი კი შემდეგია: *„მოვუწოდებ ბატონ ..., შეწყვიტოს „ბრუნვა“ ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და მიხედოს საკუთარ ალკოჰოლდამოკიდებულებას! ნუ მაიძულებს შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის ვუჩივლო სასამართლოში და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული! გარდა აღნიშნულისა, ბატონი* ... პრესით ავრცელებს ცრუ ინფორმაციებს, თითქოს წინა წლებში ვიყავი გასამართლებული და ვიხდიდი სასჯელს. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიც ის, რომ კუდ-ის თანამშრომლებმა აწამეს და მოკლეს მისი შვილი! ამიერიდან, ... ჩემგან მიიღებს ადეკვატურ რეაქციას საკუთარ აღვირახსნილ ქმედებებზე!“[468] ადვოკატის განმარტებით, მას არ გაუკეთებია განცხადება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი განცხადება იყო პირადი პასუხი, მის მიმართ, პროცესის მონაწილის მიერ, პრესაში გამოქვეყნებულ ისეთ შეურაცხმყოფელ განცხადებებზე, როგორიცაა: *„ეს პიროვნება ავადმყოფი, შიზოფრენიკი და ფსიქიკურად დაულაგებელი კაცია. გენახათ როგორ იქცეოდა სასამართლო პროცესზე; ადვოკატი რომ დაიწყებს ჩხუბს და წივილ-კივილს, ის ადვოკატი არ არის. ეს კაცი შემოგზავნილი ინტრიგანია, რომ ჩვენი მხარე გამოიწვიოს ჩხუბში, დაცვის მხარეს სხვა ბევრი ადვოკატი ჰყავს, მაგრამ ისინი ხმას არ იღებენ. ეს პიროვნება ხედავს - მე იქ ვდგავარ და ნერვებისმომშლელ, გამომწვევ განცხადებებს აკეთებს. კიდეც მომეშალა ნერვები, ვუთხარი, თუ იცი ვინ მოკლა ჩემი შვილი, თქვი და საერთოდ საჭირო აღარ იქნება ეს პროცესი მეთქი.* ... თავის დროზე ქრთამის აღებისათვის ყოფილა დაპატიმრებული. მე მას ვუთხარი, პატარა მიშა ხარ მეთქი. დარბაზში ისხდნენ სხვა ადვოკატებიც, მაგრამ ეს ძალიან აქტიურობდა, ... დაცვაც დაიწყო. პროკურორმა შენიშვნა მისცა, ... თავისი ადვოკატი ჰყავსო. გამოდიოდა, რომ ... ადვოკატი კარნახობდა, ვის რა უნდა ელაპარაკა. ამ ადვოკატს სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა არც წაუკითხავს, მას იმ სხდომაზე არაფერი ესაქმებოდა. ... არც იცოდა, ვინ იყო ეს კაცი. ... ... გვერდით იდგა და სასამართლოზეც ამიტომ მოვიდა. ... რომ მიაფურთხა, კარგადაც მოიქცა. გარეთ რომ გამოვედით, იქაც არ გაჩერდა ეს პატარა სააკაშვილი-გაჰკიოდა, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში წერია,

467 იქვე
468 იქვე

რომ ... არც უწამებიათ და არც მოუკლავთ და მე ამას დავამტკიცებო. ფურთხი ეკუთვნის არა მარტო ..., *არამედ ყველა „ნაციონალს“. ნუთუ ...* იმდენი ფული არ აქვთ, რომ ნორმალური ადვოკატი დაიქირაონ?“ ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას გააჩნია პროფესიული თმენის სტანდარტი, თუმცა, არ არის ვალდებული აიტანოს პირადი შეურაცხყოფა.[469]

ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან პროცესის მონაწილემ მას უწოდა ფსიქიკურად დაავადებული და ავადმყოფი ადამიანი, პასუხად გასცა შემდეგი ფრაზით: *„მოვუწოდებ ბატონ ..., შეწყვიტოს „ზრუნვა“ ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და მიხედოს საკუთარ ალკოჰოლდამოკიდებულებას!“* ადვოკატის განცხადებით, თუ ამ ფრაზას პროცესის მონაწილე შეურაცხმყოფელად მიიჩნევს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს პატივისა და ღირსების შელახვისათვის, თუმცა, ალკოჰოლდამოკიდებულება სამედიცინო ტერმინია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ პროცესის მონაწილეს რეალურად აქვს მიღებული კომპენსაცია მისი შვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო თუ ადვოკატი შეიტანდა სარჩელს სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვისათვის, მას, სავარაუდოდ, მოუწევდა აღნიშნული თანხის ნაწილის გადახდა.[470]

ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი განცხადებები არ აკნინებს ადვოკატის პროფესიას, რადგან ეს არის ადვოკატის პირადი განცხადება, პასუხი შეურაცხყოფაზე და არ არის კავშირში მისი კლიენტის ინტერესებთან.[471]

კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საჩივარში მითითებული ფრაზები არის ამონარიდი იმ ტექსტისა, რომელიც ადვოკატმა განათავსა სოციალური ქსელის, ფეისბუქის პირად გვერდზე და მას არ გაუკეთებია განცხადებები მასმედიის საშუალებებით, თუმცა, საჩივრის ავტორმა სწორედ მასმედიის მეშვეობით გაავრცელა ადვოკატზე ის განცხადებები, რომელთა საპასუხოდაც ადვოკატმა მხოლოდ სოციალური ქსელის თავის პირად გვერდზე გამოაქვეყნა პასუხი.[472]

კომისიამ სოციალურ ქსელში მოცემული ფრაზები შეაფასა მთლიანობაში და არ დაადგინა ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილის უფლებების შელახვა.[473]

კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ ნათქვამი ფრაზა *„და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული!“* ნიშნავს იმას, რომ თუ ადვოკატი სასამართლოში აღძრავდა სარჩელს პროცესის მონაწილის მიმართ პატივისა და ღირსების

469 იქვე
470 იქვე
471 იქვე
472 იქვე
473 იქვე

შელახვის შესახებ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამ უკანასკნელს მოუწევდა იმ თანხის ნაწილის გადახდა, რომელიც მან მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შვილის მკვლელობის საქმეზე. სხვა დატვირთვა ამ წინადადებას არ აქვს. ადვოკატსაც აქვს უფლება აღძრას სარჩელი პატივისა და ღირსების შელახვის გამო და მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია. ამიტომ დაზუსტება იმ საკითხისა, თუ კონკრეტულად რომელი თანხიდან უწევს მოწინააღმდეგე მხარეს დაკისრებული თანხის გადახდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ მხარის შეურაცხყოფად, მით უფრო მაშინ, როდესაც ადვოკატი ამ თანხის წარმოშობის საფუძველს-სასამართლო გადაწყვეტილებასაც მიუთითებს.[474]

კომისიის შეფასებით, თავისთავად ტერმინი „ალკოჰოლდამოკიდებულება“ არ შეიცავს შეურაცხყოფას, ხოლო თუ ინფორმაცია პიროვნების ალკოჰოლდამოკიდებულების შესახებ არასწორია და ლახავს ამ პიროვნების პატივსა და ღირსებას, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პროცესის მონაწილის მიმართ ადვოკატის მიერ გამოყენებული ფრაზები იყო მხოლოდ პასუხი მის მიერ ამ ადვოკატის შესახებ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინტერვიუებზე.[475]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს გააჩნია გარკვეული პროფესიული თმენის სტანდარტი, რომელიც არ არის ამოუწურავი და უსაზღვრო. ადვოკატს უფლება აქვს პასუხი გასცეს მის მიმართ გავრცელებულ არასწორ და მისი აზრით შეურაცხმყოფელ ინფორმაციაზე, მით უმეტეს, როდესაც ეს პასუხი მიზნად არ ისახავს მეორე მხარის შეურაცხყოფას.[476]

კომისიის შეფასებით, ადვოკატის ზემოთაღნიშნული კომენტარი წარმოადგენს ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, ადვოკატმა სოციალურ ქსელში გამოთქვა ეჭვი და ვარაუდი სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებების თაობაზე და მისი მონაწილის - დაზარალებულის მიმართ გააკეთა შეფასებები. ადვოკატმა, სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებას მიაწოდა საკუთარი მოსაზრებები და ეჭვები საქმის მიმდინარეობისა და მონაწილე პირის თაობაზე. ადვოკატმა გამოთქვა აზრი, რაც წარმოადგენდა კონკრეტულ საკითხზე ადვოკატის შეფასებით მსჯელობას და შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე.[477]

კომისიამ მიიჩნია, რომ ღირსების შელახვის თაობაზე საჩივრის ავტორი ადვოკატის მოსაზრება განპირობებული იყო სუბიექტური ფაქტორის, მისი დამო-

474 იქვე
475 იქვე
476 იქვე
477 იქვე

კიდებულებით და სოციალურ ქსელში გამოთქმული მოსაზრების შეფასებით და არ ემყარებოდა ობიექტურ გარემოებებს. შესაძლოა საჩივრის ავტორ ადვოკატს არ მოსწონდეს ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მიცემული ინტერვიუს შინაარსს არ ეთანხმებოდეს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ადვოკატმა უსათუოდ შეზღუდა დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის, უფლებები და შეულახა ღირსება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად.“ (“საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”). ადვოკატის მოსაზრებები თავისი შინაარსით არ იყო შეურაცხმყოფელი და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფას.[478]

ეთიკის კომისიას შეკითხვით მომართა ადვოკატმა თუ რამდენად ეთიკური იყო ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლო წარმომადგენლობა. კერძოდ, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს საზოგადოებრივი (ე.წ. სახაზინო) ადვოკატის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსში. სამინისტროს სამსახური შემდგომში „გარდაიქმნა“ დამოუკიდებელ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურად.[479]

ადვოკატს უარი ეთქვა ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე საკონკურსო კომისიის მიერ. კონკურსანტმა ადვოკატმა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გაასაჩივრა საპრეტენზიო-საკონკურსო კომისიაში დაუსაბუთებელი უარი, რომელმაც ზეპირი მოსმენით განიხილა საჩივარი კონკურსანტის მონაწილეობით.[480]

საპრეტენზიო-საკონკურსო კომისიაში შემავალი 3 წევრიდან ერთი იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომელი (იურისტი) იყო, ხოლო დანარჩენები ამავე სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები იყვნენ.[481]

აღნიშნულმა საპრეტენზიო კომისიამ არ გაითვალისწინა და უგულებელყო ის, რომ თავდაპირველ კომისიას არ უწარმოებია კანონმდებლობით დადგენილი

478 იქვე
479 წერილობითი რეკომენდაცია 003/15, 06 მაისი 2015 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/07/28/e6d6d704181ff84b02ee860990b6d07b.pdf
480 იქვე
481 იქვე

სხდომის ოქმი კონკურსის მსვლელობის დროს და არსებობდა სხვა მთელი რიგი უხეში დარღვევები, რაც შეკითხვის მიზანს არ ემსახურებოდა. ადვოკატმა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს უარი და საბოლოო ადმინისტრაციული აქტი კონკურსის შედეგის ბათილად ცნობის ნაწილში გაასაჩივრა სასამართლოში, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკურსანტ ადვოკატის წინააღმდეგ თავის წარმომადგენლად გაგზავნა ისევ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული საზოგადოებრივი ადვოკატები და არა, თავისივე ადმინისტრაციის სამსახურის იურისტები და ობიექტურად ამის დაბრკოლება სამსახურს არ გააჩნდა.[482]

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა აღნიშნულ საქმეზე იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლობა გასწიეს სამივე ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის წინააღმდეგ.[483]

კომისიის დასკვნით, ადვოკატების მიერ თავისი კოლეგის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება თავისთავად არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას, კერძოდ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატები სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების დაცვისას პროფესიულ ფუნქციას ასრულებდნენ.[484]

10.3 კომპენსაციის მიღების აკრძალვა რეკომენდირებისას

10.3.ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მუხლის დათქმას უკავშირებენ რეკომენდირების აკრძალვას, არადა აპეკ-ის მე-10 მუხლის მე- 3 პუნქტი კრძალავს არა რეკომენდირებას, არამედ ადვოკატის მიერ სარგებელის (კომპენსაციის) მიღებას სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.[485]

მნიშვნელოვანია სწორი შეფასება მიეცეს აღნიშნული მუხლის დეფინიციას, რათა მართებულად იქნას გააზრებული ადვოკატების მიერ აპეკ-ის მე-10

482 იქვე
483 იქვე
484 იქვე
485 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 125

მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.[486]

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.[487]

მოცემული მუხლი სრულად მოიცავს საადვოკატო საქმიანობის ჩამონათვალს, რომელშიც ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის რეკომენდირება, როგორც საქმიანობა, მით უმეტეს ანაზღაურებადი მითითებული არ არის.[488]

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის პასუხისმგებლობა კლიენტის წიანაშე უშუალოა, და ის კანონის ფარგლებში უშუალოდ თავადაა პასუხისმგებელი მის მიერ განხორციელებული პროცესუალური მოქმედების მართებულობასა და მის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე.[489]

სხვა ადვოკატის რეკომენდირების შემთხვევაში, თუ რეკომენდატორი ადვოკატი მიიღებს სარგებელს, ის უშუალოდ მაინც არ იქნება პასუხისმგებელი რეკომენდირებული ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებით დამდგარ შედეგზე, იმავდროულად დაზარალებულ კლიენტს არ აქვს პროცესუალური შესაძლებლობა, პასუხი მოსთხოვოს და მოედავოს რეკომენდატორს, მით უმეტეს, როდესაც ის უშუალოდ არ წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტს და უშუალოდ არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.[490]

მსგავს შემთხვევებში, ადვოკატები დაემსგავსებოდნენ მაკლერებს, რომლებიც დაკავებული იქნებოდნენ მხოლოდ მომსახურეობის შეთავაზებით, ხოლო მომსახურებაზე და მის სათანადოობაზე აირიდებდნენ პასუხისმგებლობას.[491]

---

486 იქვე
487 იქვე
488 იქვე
489 იქვე
490 იქვე
491 იქვე

10.4 ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესი

10.4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)

აღნიშნული დათქმით ყურადღება ექცევა არა მარტო პროფესიის რეპუტაციას და ზოგადად კორპორაციის ინტერესებს, არამედ პროცესის სამართლიანად წარმოების საკითხსაც. შესაბამისად, ადვოკატს მოეთხოვება კარგად გაითვალისწინოს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვის ვალდებულება. აღნიშნული მოქმედების განუხორციელებლობა არღვევს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს და გარკვეულწილად კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში, თუ პირი წარმოდგენილია ადვოკატით და პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი მისი გვერდის ავლით ცდილობს მოლაპარაკებების წარმოებას, იმის გამო, რომ ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას მოწინააღმდეგე მხარეზე პროცესუალური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა იბიექტურად აქვს. ადვოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით და კანონის არასათანადო ცოდნით, არათანაბარ პირობებში, უპირატესობა მოიპოვოს მასზე. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის უგულვებელყოფას, რაც ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრებას ეთიკურად უქმნის პრობლემას, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.[492]

საკმაოდ საინტერესოა ამ მხრივ ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის მოდალური კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატის კომუნიკაციის საკითხი იმ პირებთან, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავთ. „ამერიკელ ადვოკატებს არ ეკრძალებათ კომუნიკაცია იმ პირებთან, რომლებიც მონაწილეობენ და ჩართულნი არიან კლიენტის საქმეში და არ ჰყავთ ადვოკატი, მაგრამ კოდექსით დაწესებულია ასეთ პირებთან ურთიერთობის ფარგლები. პირველ რიგში, ადვოკატს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, თავი შეიკავოს პირდაპირი ან ირიბი განცხადებისაგან. ადვოკატი ვალდებულია განაცხადოს, რომ მას არ აინტერესებს საკითხი, რომელსაც მას ატყობინებენ. აშშ-ში ადვოკატის მიერ

492 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 126

წარმომადგენლობის არმქონე პირისათვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მეტიც, თუ ადვოკატმა იცის, რომ წარმომადგენლობის არმქონე პირი არასწორად აღიქვამს საქმეში ადვოკატის ინტერესს, იგი ვალდებულია მკაფიო განმარტება მისცეს პირს ადვოკატის როლის შესახებ."[493]

აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ადვოკატებს ეკრძალებათ სამართლებრივი ხასიათის რჩევები მისცენ წარმომადგენლობის არმქონე პირებს, რომლებთანაც მათ გარდაუვალად აქვთ ურთიერთობა, ერთადერთი გამონაკლისია რჩევა ადვოკატის (წარმომადგენლის) აყვანის თაობაზე. ადვოკატებს უფლება აქვთ მხოლოდ წარმომადგენლობის არმქონე პირებისაგან შეკრიბონ ინფორმაცია, აღნიშნული საკითხი ეხება მოწმეებთან გასაუბრებას, მათგან ინფორმაციის მოპოვებას ფაქტების შეკრებისა და გამოძიების მიზნით" [494]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაცია გასცა ადვოკატით წარმოდგენილ მხარესთან კომუნიკაციის წესზე. თუ A არის ადვოკატი, X კლიენტი, პროცესუალური მოწინააღმდეგეა კლიენტი Y, მისი ადვოკატი B. A უკავშირდება X - ის მოწინააღმდეგე მხარეს - Y-ს ისე რომ, B - ს თანხმობა პირადად არ აქვს მიღებული, მაგრამ Y აცხადებს, რომ მისი ადვოკატი ამ კომუნიკაციაზე თანახმაა. უნდა გადაამოწმოს თუ არა A-მ B-ს თანხმობის რეალურობის საკითხი და რა ფორმით?[495]

მოცემულ შემთხვევაში შეკითხვა არ შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად ინფორმირებული იყო ადვოკატ A-ს კლიენტი მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის შესაძლო კომუნიკაციის შესახებ. ეს ინფორმაცია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან ადვოკატი უპირველეს ყოვლისა კლიენტის წინაშეა პასუხისმგებელი და ვალდებულია დროულად მიაწოდოს მას ყველა ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).[496]

კომისიის განმარტებით, აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ავალებს ადვოკატს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. თუ ობიექტურად შეუძლებელია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება, ბუნებრივია ადვოკატი უნდა დასჯერდეს მიღებულ ინფორმაციას და ჩათვალოს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ

493 იქვე
494 იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა 2009 წ
495 წერილობითი რეკომენდაცია 006/14, 22 აგვისტო 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/25/c557f578c39acd6bb45ff8dd11033bdf.pdf
496 იქვე

მიწოდებული ინფორმაცია მისი ადვოკატის ინფორმირებულობის შესახებ არის ნამდვილი. თუ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება შესაძლებელია, კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს.[497]

კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა საქმის განხილვა გაართულოს, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე.[498]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი A უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ B-ს, თუ მასთან დაკავშირება ობიექტურად შესაძლებელია და მხოლოდ ამის შემდეგ, ადვოკატი B-ს თანხმობის შემთხვევაში უნდა შეხვდეს მოწინააღმდეგე მხარეს. იმავდროულად მოწინააღმდეგე მხარესთან შესაძლო კომუნიკაციის შესახებ დროულად უნდა იქნას ინფორმირებული მისი, ადვოკატი A-ს კლიენტი და ეს შეხვედრა უნდა შედიოდეს მის ინტერესებში.[499]

10.5 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში კოლეგის მიმართ გაკეთებული შეფასება

ეთიკის კომისიის მიერ განხილული საკითხი ეხებოდა ადვოკატის მიერ საკუთარი სოციალური ქსელის facebook-ის გვერდზე გავრცელებულ სტატიაზე სხვა ადვოკატის მისამართით გაკეთებულ კომენტარს. სტატია ეხებოდა მოწმის სტატუსსა და დაკითხვის წესს, რაზეც თავის მოსაზრებას აფიქსირებდა ერთ-ერთი ადვოკატი. ადვოკატის კომენტარს წარმოადგენდა: *„(ადვოკატის ვინაობა)* შიგ ხომ არ აქვს ამას რომ ამბობს?“ ადვოკატის არაეთიკური განცხადებები გავრცელდა საჯაროდ და მისი ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ კოლეგებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს და კლიენტებს. მომჩივანმა ადვოკატმა

497 იქვე
498 იქვე
499 იქვე

ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ადვოკატს მისი ვინაობა რომც არ სცოდნოდა, ადვილად გადასამოწმებელი და ობიექტურად შესაძლებელიც იყო იმ ფაქტის დადგენა, რომ აღნიშნული კომენტარის ადრესატი ადვოკატია.[500]

საგულისხმოა, რომ ადვოკატმა ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის მიზანი განმარტა, როგორც ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, რომელიც ყველა ადვოკატის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.[501]

მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ინტერნეტგამოცემის სტატიაში არ იყო ინფორმაცია, რომ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება ეკუთვნოდა ადვოკატთა ასოციაციის წევრს და არც თავად სტატია წარმოადგენდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესს. ვინაიდან მას საჩივრის ავტორთან პირადი ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთიერთობა არ ჰქონია, მან არ იცოდა, რომ მისი კომენტარის ადრესატი ადვოკატი იყო. მომჩივანი ადვოკატი ბოლო პერიოდში ხშირად აკეთებდა განცხადებებს თბილისის მერიასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამიტომ მოპასუხე ადვოკატს ეგონა, რომ საჩივრის ავტორი მერიის თანამშრომელი ან წარმომადგენელი იყო.[502]

ადვოკატის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატს კოლეგიალობის დაცვის ვალდებულებას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ავალდებულებს, ის სიტუაცია კი რაშიც მან განცხადება გააკეთა, არ იყო საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესი. ადვოკატის შეფასებით, მისი კომენტარი არ არის სწორი და ეთიკური, თუმცა ამით ეთიკის კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.[503]

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატები გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. ადვოკატის კომენტარმა - *„(ადვოკატის ვინაობა)* შიგ ხომ არ აქვს ამას რომ ამბობს?“ შეურაცხყო ადვოკატი, რომელზეც განაცხადა, რომ არ იცოდა მისი პროფესიის შესახებ, თუმცა მას რამოდენიმე თვე ჰქონდა საორიენტაციოდ. აქვე, მან დაადასტურა, რომ იცის, რომ მისი განცხადების ადრესატი იურისტია და მას უნდა ევარაუდა, რომ ეს იურისტი იქნებოდა ადვოკატი. ადვოკატმა მოცემული სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა პროფესიას, რომელიც აკადემიური და ზნეობრივი ბუნებისაა. გაჟღერებული სიტყვები პირდაპირ სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას და კატეგორიულად მიუღებელია, როგორც ადვოკატისათვის,

500 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 034/14, 25 ნოემბერი 2014 წელი http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/02/a4cce53b83429a820884fd4083479715.PDF

501 იქვე

502 იქვე

503 იქვე

ისე არაადვოკატისათვისაც. საჯაროდ ადვოკატის მსგავსი განაცხადი კატეგორიულად მიუღებელია პროფესიისათვის, მისდამი ნდობისათვის, მისი მისიისა და როლისათვის. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოების მიერ ამ სიტყვებით იქნას შეფასებული არა მხოლოდ ეს ადვოკატი.[504]

აპეკ-ის მე-7 მუხლის შესაბამისად „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“ ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“ ხსენებული დეფინიციები არ განსაზღვრავს მხოლოდ ადვოკატი კოლეგების მიმართ პატივისცემას და კომისიას მიაჩნია, რომ სიტყვა „კოლეგა“-ში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მოიაზრებს იურისტ კოლეგებსაც, ვინაიდან დაკონკრეტებული არ არის. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატს რომც არ სცოდნოდა, რომ მომჩივანი პირი იყო ადვოკატი, მას მაინც ევალებოდა პროფესიული ღირებულებების დაცვა.[505]

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადასტურებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტისადმი სწრაფვას, რაც ბუნებრივია, ნაკარნახევია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატთა განსაკუთრებული როლით მართლმსაჯულების სისტემაში.[506]

მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)
2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. (08.12.2012.)
3. (ამოღებულია 08.12.2012).

---

504 იქვე

505 იქვე

506 ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 132

აპეკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში." შესაბამისად, პირს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომელიც შეიძლება შეიცავდეს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია პირის მიერ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებამდე; მაგალითად, მაშინ, როდესაც იგი ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ასევე არ დაეკისრება პირს პასუხისმგებლობა, თუ სახდელის განსაზღვრის მომენტისათვის, ის აღარ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მას საკუთარი განცხადებით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით შეუწყდა ასოციაციის წევრობა.[507]

ყურადსაღებია აპეკ-ის მე-11 მუხლის დათქმა, რომელიც მიუთითებს ადვოკატის პასუხისმგებლობაზე იმ პირთა ეთიკური ქცევის გამო, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ასეთ ქმედებას.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნები გამომდინარეობს აპეკ-ის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებიდან, რომლის თანახმად ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა იგივე სტანდარტით.[508]

აპეკ-ის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დათქმა ეხება ადვოკატის ოფისში მომუშავე არაადვოკატ პირებს, ადვოკატის თანაშემწეს, სტაჟიორს, იურისტს, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ ხელი მიუწვდება იმ მასალებზე და ინფორმაციაზე, რომლის კონფიდენციალურად შენახვა და დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.[509]

---

507 იქვე
508 იქვე
509 იქვე

როგორ უნდა დაიცვას ამ შემთხვევაში თავი ადვოკატმა და კანონით განსაზღვრული წესით აირიდოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ თანაშემწემ, იურისტმა გაამჟღავნა კონფიდენციალური ინფორმაცია.[510]

ადვოკატი ვალდებულია, იმ პირებს, ვინც მოქმედებენ ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებენ ქმედებას, საქმიანობის დაწყებისთანავე გაუფორმოს ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იქნება პირის ვალდებულება კონფოდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით და ასევე მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა (მაგ. ფინანსური სანქციის სახით) მის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში.[511]

წერილობითი სახით გაფორმებული ხელშეკრულება, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ადვოკატს აუნაზღაუროს კლიენტს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟაღვნებით მიყენებული ზიანი, ამასთან, ადვოკატი კანონით განსაზღვრული წესით, თავიდან აირიდებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომელიც მას დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ მიიღებს კონფიდენციალურობის დაცვისათვის აუცილებელ ზომებს იმ პირების მიმართ, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას.[512]

11.1 ეთიკის კოდექსის გავრცელება კომპანიის იურისტზე

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციათა სისტემის ფარგლებში პასუხი გასცა ჰიპოთეტურ შეკითხვას: ვრცელდება თუ არა კომპანიის იურისტზე სამართალწარმოების დროს ყველა „ეთიკური ნორმა“? თუ პასუხი დადებითია, რა დოზით ვრცელდება? კომპანიის იურისტი, ამავდროულად, მოქმედი ადვოკატია.[513]

ეთიკის კომისიის განმარტებით, კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იურისტი ირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.

კომისიის განმარტებით, იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა - ადვოკატის, თავისუფალი

510 იქვე
511 იქვე
512 იქვე
513 ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 012/14, 29 ნოემბერი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/02/16/0922e3b639298794de67bcfd4910fd8d.pdf

პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც წევრობა შეჩერებული არ აქვთ, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.[514]

ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.[515]

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა შესაძლოა „არაორგანიზებულად" განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა - მას მხოლოდ რჩევა სთხოვონ დამოუკიდებლად იმისა, შემდეგ გაფორმდება თუ არა მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ან თანახმა იქნება თუ არა ადვოკატი განახორციელოს ამ პირის წარმომადგენლობა. ამის მიუხედავად, ადვოკატზე პასუხისმგებლობა მაინც გავრცელდება, რადგან იგი ადვოკატის სტატუსის მატარებელი და პროფესიის წარმომადგენელია მას შემდეგ, რაც გაწევრიანდა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ადვოკატზე პროფესიული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, თუ იკვეთება სამართლებრივი რჩევის მიცემა, პროფესიული დავალება თუ სხვა არაერთჯერადი დახმარება.[516]

კომისია მიიჩნევს, რომ შეკითხვის განმარტებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში უნდა განიხილოს ის გარემოებებიც, როდესაც ადვოკატი არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის დარგში და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან-სისხლის სა-

514 იქვე
515 იქვე
516 იქვე

მართლის სპეციალიზაციის ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველ ინსტანციაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როგორც კომპანიის იურისტი. ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დაუცველობის საფუძვლით.[517]

კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომელიც ეხება საადვოკატო საქმიანობას, ვრცელდება იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან რეესტრში და წარმოადგენენ სამინისტროებს თუ კერძო კომპანიებს. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ამ სტატუსის მქონე პირებზე უნდა გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების რეგულაცია.[518]

ეთიკის კომისიამ, რეკომენდაციის გაცემისას, გაითვალისწინა არსებული პრაქტიკული ტენდეცია, რომლის მიხედვით, კერძო იურიდიულ ფირმებში, იურისტის მიღებისას, გახშირდა მოთხოვნა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მქონე იურისტებზე, რაც განპირობებულია იმ მიზეზით, რომ კომპანიას აღარ დასჭირდეს გარე იურისტის დახმარებით სარგებლობა და მისსავე თანამშრომელს შეეძლოს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე კომპანიის ინტერესების წარმოდგენა. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრად რიცხული ადვოკატის კომპანიის იურისტად დაქირავების მოთხოვნა არსებობს, კომპანიის მიერ დაქირავებულ ადვოკატთა ასოციაციის წევრ იურისტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება არ ცვლის ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს; რეკომენდაციის გაცემისას კომისია მიუთითებს, რომ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსაც უფორმდებათ შრომითი ხელშეკრულება, ხსენებული სამსახურის იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან ადვოკატთა ერთიან სიაში, ვრცელდება პროფესიული ეთიკის მოთხოვნები.[519]

პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც კომპანია უჩივის თავის იურისტს ეთიკის კომისიაში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზეა დასაქმებული, იმავდროულად ადვოკატთა ასოციაციის წევრია.[520]

ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხულ ყველა ადვოკატზე, რომელიც ახორციელებს საქმიანობას, კომპანიის იურისტად და სხვ. ვრცელდება ადვოკატთა

517 იქვე
518 იქვე
519 იქვე
520 იქვე

პროფესიული ეთიკის ნორმები. ამ დროს ადვოკატთა ასოციაციისათვის კომპანიის იურისტის კლიენტს წარმოადგენს მისი დამქირავებელი. ამ ვითარებიდან გამონაკლის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ვითარება, როდესაც კომპანიის იურისტს შრომით ხელშეკრულებაში უწერია, რომ დაქირავებულია მხოლოდ იურისტად.[521]

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას, გაითვალისწინა საკითხთან დაკავშირებით არსებული მიდგომები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულ მიდგომებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება.[522] ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანიის იურისტებს მოეთხოვებათ იყვნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები და, შესაბამისად, დაიცვან ადვოკატთა ქცევის ის წესები, რომელიც შესაძლოა მოეთხოვოს კომპანიის იურისტს კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, ადვოკატის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ისინი კომპანიაში იღებენ ხელფასს, როგორც თანამშრომლები-დაქირავებული მუშაკები. შესაძლებელია აღნიშნული იურისტი ასრულებდეს კომპანიის მხოლოდ შიდა სამუშაოს- დოკუმენტების შედგენა, ხელშეკრულებაზე მუშაობა, სამუშაო პროცესის კანონთან შესაბამისობა და ა.შ. თუმცა, როდესაც კომპანიის იურისტი გამოდის სასამართლოში კომპანიის ინტერესებისათვის, მან უნდა დაიცვას ქცევის წესები მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან, მოწმესთან და სასამართლოსთან მიმართებით. აშშ-ის მიდგომის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, კომპანიის იურისტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები იმ ფარგლებში, რაც შეესაბამება კომპანიის იურისტის როლს.[523]

რაც შეეხება ევროპულ მიდგომას, კომპანიის იურისტებისათვის არსებობს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს კონკრეტულად მათ ქმედებებს. კოდექსში გაწერილი ვალდებულებები მსგავსია ადვოკატთა ეთიკური ვალდებულებებისა და შეეხება კვალიფიციურობას, კონფიდენციალურობას, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას და ა.შ.[524]

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №002/14, განმარტა: „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მიზნიდან გამომდინარე, პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების

521 იქვე
522 იქვე
523 იქვე
524 იქვე

მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა)...[525]

ადვოკატის სტატუსის მქონე პირისაგან საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა მოიცავს იმგვარ დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი, როდესაც პირს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. კომისია განმარტავს, რომ კლიენტი, მარწმუნებელი, რომელსაც სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს თუ სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, ამ უკანასკნელისაგან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას მოელის."[526]

11.2 ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის საჩივარი, რომლის მიხედვითაც ის სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს, ხოლო მოპასუხე მხარე პროფესიით ადვოკატი იყო. მოპასუხე ადვოკატი სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტებში მომჩივან ადვოკატს მოიხსენიებდა როგორც უცოდინარ, გაუნათლებელ და არაკომპეტენტურ ადამიანს, ხოლო სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მისდამი გამოხატავდა აგრესიას სიტყვიერი შეურაცხყოფის ფორმით, რის გამოც მოსამართლემ დააჯარიმა. სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ მოუწოდა მოპასუხე ადვოკატს, რომ ის იყო ადვოკატი და უნდა მოქცეულიყო კანონის შესაბამისად. მომჩივანის განმარტებით, იგი ცდილობდა არ გამოეწვია მოპასუხე ადვოკატის გაღიზიანება, ამიტომ მის ქცევაზე არ რეაგირებდა. ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ, როდესაც სასამართლო გასული იყო სხდომის დარბაზიდან მომჩივანი ადვოკატის კლიენტი ადვოკატთან მივიდა და უთხრა: *„შენზე რასაც ამბობენ ზუსტად ისეთი ხარ, ფუი შენს კაცობას"* და ა.შ., კლიენტს მიუახლოვდა მომჩივანი ადვოკატი, რომელიც ცდილობდა კლიენტის დამშვიდებას. მოპასუხე ადვოკატმა ამ დროს მოიქნია ფეხი, რომელიც ადვოკატს მოხვდა.[527]

მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ის აღნიშნულ საქმეში მონაწილეობდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც მოპასუხე მხარე, ეს იყო მისი პირადი საქმე, ის არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და მასზე ეთიკის კოდექსი არ ვცელდებოდა, რაც გულისხმობდა მის მიმართ საქმის წარმოების

525 იქვე
526 იქვე
527 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 164/13, 16 ივლისი 2014 წელი
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/06/05/bc91ba75b67d1db86ebc5794037a73ae.PDF

შეწყვეტას. ადვოკატის განმარტებით, ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ, მან ჩანთაში დოკუმენტების ჩალაგება დაიწყო, მასთან მივიდნენ მოსარჩელე, მისი ადვოკატი და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც მან გასცა საკადრისი პასუხი კანონის ფარგლებში. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია მის მიმართ.[528]

ადვოკატის განცხადებით, სასამართლოს პროცესზე მოსარჩელის ადვოკატმა მის შვილს ჰკითხა ისიც თამაშობდა თუ არა მეუღლესთან ერთად აზარტულ თამაშებს, რის გამოც მან მომჩივან ადვოკატს უწოდა *„უზრდელი“*. ადვოკატის განცხადებით, სასამართლოში წარდგენილ სარჩელში მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ისეთი ფაქტებია მოყვანილი, რომ ის გამოჰყავს გამომძალველი და თაღლითი, რამაც გამოიწვია მისი აგრესია საჩივრის ავტორის მიმართ.[529]

ეთიკის კომისიამ შეაფასა რა მოპასუხე ადვოკატის ქცევა, მიიჩნია, რომ დაირღვა პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები და სასამართლოში ქცევის წესები.[530]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატზე ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსი უნდა გავრცელებულიყო და არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომ ვინაიდან ის მოცემულ სამოქალაქო დავაზე თავად იყო მოპასუხე მხარე და არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, მასზე კოდექსი არ გავრცელდებოდა. მოპასუხე მხარე ვინაიდან ადვოკატი იყო, მის პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენდა, რომ სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება შესაბამისობაში ყოფილიყო ადვოკატის პროფესიულ ღირსებასთან, პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან, რომლის შენარჩუნებაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი მიუხედავად იმისა წარმოადგენს იგი კლიენტს თუ თავად არის მხარე სამართალწარმოების განხორციელებისას. ადვოკატს მისი სტატუსიდან გამომდინარე ევალდება პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს და არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები. მოსარჩელე მხარისათვის და სასამართლოსთვის ადვოკატის პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება.[531]

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი მოსარჩელე მხარის ადვოკატის მიმართ მისი ქცევით არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, ღირსებას და საზოგადოების წინაშე ნდობას. მისი ქცევა არაეთიკური იყო და ეწინააღმდეგებოდა სასამართლოში მოქცევის წესებს.[532]

528 იქვე
529 იქვე
530 იქვე
531 იქვე
532 იქვე

კომისია დაეყრდნო ეთიკის კომისიის მანამდე არსებულ პრაქტიკას და მიუთითა 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაზე, (დისციპლინური საქმე N075/10), რომელშიც დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე უცვლელი დარჩა.[533]

533 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/5-15
http://gba.ge/uploads/resolutions/2015/06/05/da1b62999643fa1906aaf917b9054ca7.PDF
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „მართალია ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებისას, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ ადვოკატი გამოდიოდა მხარედ და არა წარმომადგენლად, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ეთიკის კოდექსის მე-7, მე-9, მე-10 მუხლები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში. როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ... ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“

„ადვოკატთა შესახებ"
საქართველოს კანონი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ადვოკატი

1. საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი.
2. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. *(29.12.2004 N 970)*

მუხლი 2. საადვოკატო საქმიანობა *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

მუხლი 3. საადვოკატო საქმიანობის პრინციპები

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;

გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;

ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;

ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;

თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

თავი II
ადვოკატის ზოგადი
უფლებები და მოვალეობები

მუხლი 4. ადვოკატის უფლებები

1. ადვოკატს უფლება აქვს:

ა) წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; *(24.09.2010 N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

ბ) კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები;

გ) დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა;

დ) ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით.

მუხლი 5. ადვოკატის მოვალეობები *(17.11.2009 N 2040)*

ადვოკატი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;

ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

გ) არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები;

დ) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;

ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში.

ზ) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის აღნიშნული კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას. *(27.11.2013. N1639)*

მუხლი 6. კლიენტის ინტერესების დაცვა

1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

2. ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

მუხლი 7. პროფესიული საიდუმლოება

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმა-ცია.

1^1. ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. *(27.11.2013. N1639)*

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.

3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 9. ადვოკატის დაზღვევა

ადვოკატი ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.

თავი III ადვოკატი

მუხლი 10. მოთხოვნები ადვოკატისადმი *(29.12.2004 N 970)*

1. ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა; *(22.06.2007 N 5029)*

გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. *(13.09.2011 N5036)*

მუხლი 11. ადვოკატთა ტესტირება

1. ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს.

2. ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ტესტირების ჩატარების წესს, პროგრამას ამტკიცებს და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. *(25.11.2005 N 2155)*

3. ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით.

4. ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.

5. საერთო ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

გ) ადმინისტრაციული სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;

ე) სისხლის სამართალი;

ვ) სისხლის სამართლის პროცესი;

ზ) სამოქალაქო სამართალი;

თ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.

6. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:
ა) საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი;
დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
ე) სამოქალაქო სამართალი;
ვ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.
7. სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:
ა) საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი;
დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
ე) სისხლის სამართალი;
ვ) სისხლის სამართლის პროცესი.
8. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.
9. ტესტირება ტარდება სახელმწიფო ენაზე.
10. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პირი იღებს ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელ მოწმობას.
11. ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას.

მუხლი 12. ამოღებულია *(29.12.2004 N 970)*
მუხლი 13. ამოღებულია *(29.12.2004 N 970)*
მუხლი 14. ამოღებულია *(29.12.2004 N 970)*
მუხლი 15. ამოღებულია *(29.12.2004 N 970)*

თავი IV
ადვოკატის სტაჟიორი. ადვოკატის თანაშემწე

მუხლი 16. ადვოკატის სტაჟიორი
1. ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულმა პირმა, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის

სტაჟიორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 5 დღისა აცნობებს შესაბამის ადვოკატთა ასოციაციას. *(22.06.2007 N 5029)*
2. საადვოკატო სტაჟირების პერიოდი შედის შრომის საერთო და პროფესიული საქმიანობის სტაჟში.
3. სტაჟიორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი ადვოკატის დავალებით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.
4. სტაჟიორი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 17. ადვოკატის თანაშემწე
1. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე. იგი არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*
2. ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებული საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*
3. ადვოკატის თანაშემწე არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მასზე ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

თავი V
საადვოკატო საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 18. საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა
1. ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით. *(17.11.2009 N 2040)*
2. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის

ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას.
3. საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესს და სტრუქტურას განსაზღვრავს ბიურო.

მუხლი 19. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი
1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშე-კრულების საფუძველზე.
2. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*
2[1]. იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი საწესდებო მიზნების მისაღწევად ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების საგრანტო ან სახელმწიფო პროგრამას, მას უფლება აქვს ადვოკატთან ხელშეკრულების საფუძველზე გასცეს ორდერი. *(29.12.2006 N4332)*
3. ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

თავი VI
ადვოკატთა ასოციაცია (29.12.2004 N 970)

მუხლი 20. ადვოკატთა ასოციაციის სტატუსი *(29.12.2004 N 970)*
1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
2. ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.
3. ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადება და მე-11 მუხლი. *(17.11.2009 N 2040)*

მუხლი 21. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება *(29.12.2004 N 970)*
1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირი განცხადებით მიმართავს ადვოკატთა ასოციაციას. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების

ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ. *(17.11.2009 N 2040)*
2. პირმა ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემები:
ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;
ბ) საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი;
გ) სპეციალიზაცია, თუ მას ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით.
2^1. ადვოკატთა ასოციაციას უნდა წარედგინოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში. *(17.11.2009 N 2040)*
2^2. ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის ორგანიზების ინტერესიდან გამომდინარე, დამატებითი მონაცემების (მათ შორის, მონაცემების ცვლილებების) წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით. *(17.11.2009 N 2040)*
3. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძვლებია:
ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
ბ) მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი;
გ) მას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ამ კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი.
3^1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა. *(13.09.2011. N5036)*
4. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს უარი ასოციაციაში გაწევრიანებაზე შეიძლება უარის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.
5. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიას აქვეყნებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. *(17.11.2009 N 2040)*

მუხლი 21^1. ადვოკატის ფიცი *(29.12.2004 N 970)*
1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირი ვალდებულია დადოს შემდეგი ფიცი:
„ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!“. *(17.11.2009 N 2040)*

2. თუ პირი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, იგი ფიცის ნაცვლად წერს განცხადებას, რომლითაც ადასტურებს, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს ამ კანონით დადგენილ ადვოკატის მოვალეობებს.
3. ფიცის (განცხადების) ტექსტს ხელს აწერს პირი და იგი ინახება მის პირად საქმეში.
4. ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

მუხლი 21^{2}. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება *(29.12.2004 N 970)*
1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^{3} მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
გ) ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წევრობის შეჩერების შემთხვევაში ადვოკატი თავისუფლდება ადვოკატთა ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდისგან და ეკრძალება ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობა.
3. ადვოკატს წევრობა აღუდგება შესაბამისი განცხადების შეტანის ანდა ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ან ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში.
4. პირს, რომელსაც ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არ შეუძლია გახდეს ადვოკატი და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, უფლება აქვს მიმართოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს გაწევრიანების თაობაზე. ასეთ პირს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდება წევრობა.
5. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 21^{3}. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა *(29.12.2004 N 970)*
1. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
გ) თუ სასამართლომ ცნო შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუ-უნაროდ, აღია-

რა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდა-ცვლილად;
დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის;
ე) ამოღებულია *(4.07.2007 N5209)*
ვ) თუ ცნობილი გახდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რისი დროულად აღმოჩენაც გამოიწვევდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე მისთვის უარის თქმას;
ზ) თუ არ იხდის საწევრო გადასახადს;
თ) გარდაცვალების შემთხვევაში.
2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო „ა“, „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს იღებს ცნობად. *(4.07.2007 N5209)*
3. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად ან იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 22. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 23. ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა
1. ადვოკატთა ასოციაციაში ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად იქმნება:
ა) აღმასრულებელი საბჭო;
ბ) ეთიკის კომისია;
გ) სარევიზიო კომისია.
2. ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად შექმნას სხვა სტრუქტურული დანაყოფებიც, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება შესაბამის დანაყოფთა დებულებებით. თითოეულ დანაყოფს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას.

ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით. *(17.11.2009 N 2040)*

მუხლი 24. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება *(17.11.2009 N 2040)*

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით:

ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით;

გ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;

დ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.

მუხლი 25. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი *(29.12.2004 N 970)*

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 26. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო *(17.11.2009 N 2040)*

1. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომლის სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.

2. აღმასრულებელი საბჭოს წევრისთვის საბჭოს სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

3. აღმასრულებელი საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 11 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.
4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში.
5. აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
6. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:
ა) კოლეგიურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;
ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;
გ) ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;
დ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;
ე) განსაზღვრავს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი შესრულების წესს;
ვ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას;
ზ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისათვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;
თ) წელიწადში ერთხელ საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
ი) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;
კ) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესსა და პროგრამას, განსაზღვრავს ტესტირების ჩატარების თარიღს;
ლ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას;
მ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს;
ნ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;
ო) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწ-მობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშს;
პ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოცი-აციის წარმომადგენელი;
ჟ) აწარმოებს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირად საქმეებს;
რ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან

წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;
ს) გამოსცემს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენს ან სხვა პერიოდულ გამოცემას;
ტ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;
ტ[1]) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ირჩევს იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს; *(13.12.2013 N 1780)*
უ) ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

მუხლი 26[1]. იურიდიული დახმარების საბჭოს წევრის არჩევის წესი *(13.12.2013 N 1780)*
1. იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ირჩევს აღმასრულებელი საბჭო. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე დამსწრე ნებისმიერ წევრს.
2. იურიდიული დახმარების საბჭოში ადვოკატთა ასოციაციის წევრის წარსადგენად აუცილებელია მისი წინასწარი თანხმობა.
3. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ასარჩევზე ნაკლები რაოდენობის კანდიდატმა მიიღო, იმ კანდიდატებს, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ხელახლა ეყრებათ კენჭი. არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. ამასთანავე, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 1/3-ზე ნაკლები.
4. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ასარჩევზე მეტი რაოდენობის კანდიდატმა მიიღო, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

მუხლი 27. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე
1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. *(17.11.2009 N 2040)*
2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.
3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილებების განხორციელების

პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა. *(17.11.2009 N 2040)*

მუხლი 28. ეთიკის კომისია *(17.11.2009 N 2040)*

1. ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან არანაკლებ 12 ადვოკატია. ეთიკის კომისიის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით.
2. ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
3. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით.
4. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე.
5. ეთიკის კომისიის წევრის ხელახლა არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
6. ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.
7. ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.
8. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.
9. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 29. სარევიზიო კომისია *(17.11.2009 N 2040)*

1. სარევიზიო კომისია იქმნება ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების მიერ ამ კანონისა და ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.
2. სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით არჩეული 5 წევრისაგან.
3. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
4. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს თავად კომისია.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 30. აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრად ადვოკატის არჩევის შეზღუდვა

1. ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად, თუ:

ა) შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება;

ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში;

გ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა ასოციაციის წევრობა. *(29.12.2004 N 970)*

2. ასოციაციის თავმჯდომარის ანდა აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 31. ადვოკატისთვის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრის უფლება-მოსილების შეწყვეტა

1. ადვოკატს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების შემთხვევაში;

გ) უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი წევრის არჩევისთანავე; *(17.11.2009 N 2040)*

დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში. *(29.12.2004 N 970)*

2. თუ ადვოკატს ვადაზე ადრე უწყდება აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება, მაშინ უახლოეს საერთო კრებაზე, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი წევრი. თუ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობა ნახევარზე ნაკლები აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება ახალი წევრების ასარჩევად.

თავი VII
ადვოკატის პასუხისმგებლობა

მუხლი 32. ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები

1. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება:

ა) ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

2. ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპ-

ლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. *(17.11.2009 N 2040)*

მუხლი 33. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა

ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. ეთიკის კომისია ინფორმაციის შემოსვლიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 34. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეები. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები

1. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით;

გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. *(29.12.2004 N 970)*

2. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია:

ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;

ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. *(29.12.2004 N 970)*

მუხლი 35. ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დადების წესი

1. ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხი ეთიკის კომისიის სხდომაზე განიხილება კოლეგიურად, კომისიის 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ადოკატისათვის სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ 12 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 10 წევრის ხმა. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში იგი დაერთვის გადაწყვეტილებას. *(17.11.2009 N 2040)*

2. ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით. *(17.11.2009 N 2040)*

3. ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია, ხოლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

4. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხის განხილვა გადაიდება 10 დღით. ამასთან, ადვოკატის არასაპატიო

მიზეზით, ხელმეორედ გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის განხილვას.
5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას.
6. ადვოკატს უფლება აქვს მისთვის გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს იგი უზენაეს სასამართლოში.

მუხლი 35[1]. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა *(29.12.2006 N4332)*
სასამართლო უფლებამოსილია სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის ან დაცვის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში წარდგინებით მიმართოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების მოთხოვნით.

მუხლი 36. ადვოკატის პასუხისმგებლობა
ადვოკატს სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით.

მუხლი 37. ადვოკატის წახალისება
ადვოკატის წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ასოციაციის საერთო კრებამ შეიძლება დაადგინოს ადვოკატთა წახალისების ფორმები და წესი.

თავი VIII
ადვოკატის სამართლებრივი დაცვა

მუხლი 38. ადვოკატის სამართლებრივი დაცვა
1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია.
2. ადვოკატები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.
3. არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი).
4. ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისა-თვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.
5. ამოღებულია *(20.04.2005 N 1364)*
6. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან.
7. ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და

ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა –ხელშეუხებელი.
8. ადვოკატის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე განხილულ უნდა იქნეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განსჯადობის მიხედვით. *(20.04.2005 N 1364)*

თავი IX
ადვოკატის მანტია

მუხლი 39. ადვოკატის მანტია
1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ადვოკატისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული ჩაცმულობა – მანტია.
2. ადვოკატის მანტიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ადვო-კატთა ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

თავი X
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40. ადვოკატთა ტესტირება გარდამავალ პერიოდში
1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. *(29.12.2004 N 970)*
2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის არანაკლებ ნახევარს შეადგენენ საქართველოს ადვოკატთა და იურისტთა სხვა გაერთიანებების (საადვოკატო ფირმა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ა.შ.) წარმომადგენლები. *(14.12.2006 N3980)*
3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის წესს, ტესტირების პროგრამას, აგრეთვე ტესტირების ჩატარების წესსა და ვადებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
4. პირებს, რომლებსაც გავლილი არა აქვთ ადვოკატთა ტესტირება და მიღებული არა აქვთ ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობები, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. *(29.12.2006 N4332)*

მუხლი 41. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე *(29.12.2004 N 970)*
1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში

გაწევრიანების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
2. ტესტირებაგავლილ პირთა სიას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 42. ადვოკატთა ასოციაციის პირველი საერთო კრება და ადვოკატთა ტესტირება *(29.12.2004 N 970)*
1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი ორი ტესტირების ჩატარების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2005 წლის 1 მარტისა მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:
ა) წერილობით გამოთქვამს სურვილს, გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში, და შესაბამისად წარადგენს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არა უგვიანეს 2005 წლის 31 იანვრისა;
ბ) აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოსული განცხადებების საფუძველზე ადგენს და 2005 წლის 15 თებერვლამდე აქვეყნებს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სიას. განმცხადებელი, რომელიც არ იქნება შეყვანილი დამფუძნებელ კრებაში მონაწილეთა სიაში, უფლებამოსილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.
3. დამფუძნებელი კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება იმ პირთა ნახევარზე მეტი, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრებაში და რომლებმაც ადვოკატის ფიცი დადეს კანონით განსაზღვრული წესით. დამფუძნებელ კრებაზე გადაწყვეტილებები, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. დამსწრე წევრთა რაოდენობა დაითვლება ყოველი კენჭისყრის წინ. *(25.11.2005 N 2155)*
4. დამფუძნებელ კრებას ხსნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დამფუძნებელ კრებას თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება დამსწრე უხუცესი წევრი.
5. უხუცესი წევრი კითხულობს ადვოკატის ფიცს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამსწრე წევრები წარმოთქვამენ „ვფიცავ“ და ხელს აწერენ ფიცის ტექსტს. პირი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, წერს განცხადებას.
6. დამფუძნებელი კრება ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დამფუძნებელ კრებაზე ასარჩევი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების წევრობის კანდიდატთა დასახელებული კანდიდატურების ბიულეტენებში შეტანას და საერთო კრების წევრთათვის ბიულეტენების დარიგებას.

7. დამფუძნებელი კრების ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლება, დაასახელოს ასოციაციის თავმჯდომარეობის, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის, ეთიკის კომისიის წევრობის, სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატთა კანდიდატურები.
8. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელებული იქნეს როგორც აღმასრულებელი საბჭოს, ისე ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატად.
9. ასარჩევ ორგანოში დასახელებული ყოველი კანდიდატი საჯაროდ, საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე აცხადებს თავის თანხმობას კანდიდატად კენჭისყრაზე. თუ რომელიმე პირი დასახელებული იქნება ერთდროულად ორივე ან სამივე ორგანოს წევრობის კანდიდატად, მაშინ იგი განაცხადებს საკუთარ სურვილს და თანხმობას მხოლოდ ერთი ორგანოს წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე და შესაბამისად საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე მისი კანდიდატურა შეიტანება მხოლოდ ერთ ბიულეტენში.
10. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 35 ხმისა. თანაბარი რაოდენობის ხმათა მიმღებ კანდიდატებს შორის, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო კანონით გათვალისწინებული ორგანოს წევრთა რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე, მაგრამ 35 ხმაზე ნაკლების მიმღებ იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი. თუ ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობაზე მეტ კანდიდატს აღმოაჩნდა თანაბარი საუკეთესო შედეგი ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, განმეორებით კენჭი ეყრება ყველა ზემოაღნიშნულ კანდიდატს. იმ შემთხვევაში, თუ ორი კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა ვერ დააგროვეს ხმათა მინიმალური რაოდენობა კანონით გათვალისწინებული ორგანოს დარჩენილ წევრთა რაოდენობის შესავსებად, ტარდება ხელახალი არჩევნები. *(25.11.2005 N 2155)*
11. ხმის დამთვლელი კომისია ჩატარებული არჩევნების შედეგებს აფორმებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. საბოლოო შედეგებს საერთო კრებაზე აცხადებს ხმის დამთვლელი კომისიის თამჯდომარე.

მუხლი 43. საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია გარდამავალ პერიოდში
1. საერთო სასამართლოებმა სამეწარმეო იურიდიული პირის სახით შექმნილი საადვოკატო ბიუროების რეგისტრაცია 2005 წლის 1 თებერვლიდან მოახდინონ ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.
2. სამეწარმეო იურიდიული პირის სახით 2005 წლის 1 თებერვლამდე შექმნილი საადვოკატო ბიუროების სარეგისტრაციო დოკუმენტები 2006 წლის 1 ივნისამდე შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებთან. *(02.06.2003 N 2303)*

მუხლი 44. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცება
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირველი საერთო კრების მოწვევიდან 3 თვის ვადაში ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

მუხლი 45. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული და მისაღები ნორმატიული აქტები
1. ამ კანონით დადგენილი წესით ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“.
2. 2002 წლის 1 ივნისამდე მიღებულ იქნეს საქართველოს კანონები „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“ და „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ“.
3. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტმა ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადებები ადვოკატთა დაბეგვრის განსაკუთრებულ რეჟიმთან დაკავშირებით.
4. „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის შესახებ» საქართველოს კანონის მიღებამდე საზოგადოებრივ (სახაზინო) მომსახურებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი–საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური, რომელსაც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ქმნის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 46. კანონის ამოქმედება
1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის მე-9 მუხლი და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში ამოქმედდეს „ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
2001 წლის 20 ივნისი.
N 976 - IIს

დანართი 2

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია” ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი

ცვლილებები და დამატებები მიღებულია 2012 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

თავი I ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები

მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინ-ტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და-მოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (08.12.2012.)

2.ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული

ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. (08.12.2012.)

მუხლი 3. ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. (08.12.2012)

მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი

1.ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს.

კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (08.12.2012)

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის წინააღმდეგ;
ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. (08.12.2012)

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მი-

ღებისათვის. (08.12.2012)
5.ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012)

მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (08.12.2012)

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (08.12.2012)

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (08.12.2012)

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში. (08.12.2012)

6.ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (08.12.2012)

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)

თავი II ადვოკატის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან

მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

3. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

4. ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი წერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)

5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

7.ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ

გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. (08.12.2012)

9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

10. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)

11. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. (08.12.2012)

12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება. (08.12.2012)

14.ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.

15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.

კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. (08.12.2012)

მუხლი 8 პრიმა საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება (08.12.2012)

ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

1.ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.

3.ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.

4.ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)

მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის

კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)

თავი III დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე.
ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)

2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.(08.12.2012.)

3. (ამოღებულია 08.12.2012).

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზირი 34
პიქსელის ბიზნეს ცენტრი, მე-8 სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელეფონი: +99532 291 38 70/71/73
ფაქსი:+99532 291 38 74
ელ.ფოსტა: informtbilisi@coe.int
ვებ-გვერდი: http://www.coe.ge
http://eap-pcf-eu.coe.int

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელ-მწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულე-ბას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

ევროკავშირი არის ევროპის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პლატფორმა. მისი მიზნებია: მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი 500 მილიონი მოქალაქისთვის- უფრო სამართლიან და უსაფრთხო მსოფლიოში. აღნიშნულის მისაღწევად, წევრი ქვეყნები აფუძნებენ ევროკავშირის მმართველობით და საკანონმდებლო ორგანოებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ევრო-პარლამენტი (სადაც წარმოდგენილია ევროპის მოსახლეობა), ევროკავშირის საბჭო (სადაც წარმოდგენილია ეროვნული მთავრობები) და ევროკომისია (რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს).

www.coe.int

http://europa.eu